პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№102 (12 172)

3 მაისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

მანჩესტერი წყალმა წაიღო

23 მაისი, ათენი: მილანი vs ლივერპული

გუშინ მილანში. კახა კალაძე დარენ ფლეტჩერის წინააღმდეგ

13 მაისი, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები

გიორგი ნემსაძე: დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ნეიტრალური იქნება



ლევან ბერძენიშვილი: ახალკაცი უფრო დამოუკიდებელია, ეს ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანია

2-3

თავსხმა წვიმა, დიდი ემოციები, დიდებული შოუ... ისე, ანგარიშმა და ატმოსფერომ "დინამო"-"ლივერპული" ხომ არ გაგახსენათ? ახლაც, ეს იყო ერთი გუნდის შოუ, თუმც სპექტაკლს ერთი დიდი მსახიობიც ალამაზებს. რა თქმა უნდა, "მილანის" გამარჯვება მოსალოდნელი იყო და ბევრი მასზე დებდა ფსონს, მაგრამ ამხელა უპირატესობითა და ამ ანგარიშით?

მაინც რა დაემართა "მანჩესტერს"? ცხელ კვალზე ძნელი ასახსნელია და ახლა მიზეზებში ჩაღრმავების დრო არც არის. თუმცა, ერთი შეხედვით, ასე ჩანს: ლამის ერთი ამოსუნთქვით ჩატარებული სეზონი, მოკლე სკამი, მინიმალური როტაცია და შედეგად, სრულიად გამოფიტული გუნდი, და მაინცდამაინც საპასუხო ნახევარფინალში, საპასუხისმგებლო მომენტში. ეტყობა, სერ ალექსი პრემიერიგის წარმატებული მარათონითა და თითქმის განაღდებული ტრიუმფით ისე გაერთო, რაღაც ვერ გათვალა. "მენიუს" ძალამ სწორედ "სან სიროზე" უმტყუნა. ამით, "მანჩესტერმა" ხელიდან გაუშვა შანსი, 1998/99 წლების მაგიური სეზონის დარად "ტრიპლეტისთვის" (ჩემპიონთა ლიგა, პრემიერლიგა, ასოციაციის თასი) ებრძოლა. აქვე გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ტურნირის ისტორიაში "მილანს" "მანჩესტერთან" ორრაუნდიანი დუელი არასოდეს ნაუგია. იტალიურმა გრანდმა ინგლისელი ოპონენტი, 1958 და 1969 წლებში, ასევე ნახევარფინალური ეტაპიდან დაითხოვა...

მაგრამ "მილანის" გუშინდელ გამარჯვებას მარტო "მანჩესტერის" უნიათობას ნუ დავაბრალებთ. პატივი მივაგოთ კარლო ანჩელოტის შეგირდთა თავდადებას, უაღრესად დახვეწილ და კარგად გათვლილ მოქმედებებს მოედნის ნებისმიერ წერტილში... ერთი სიტყვით, გუშინ "როსონერის" ყველაფერი გამოუვიდა. ქების ღირსია უკლებლივ ყველა მილანელი, მათ შორის კახა კალაძეც, რომელმაც ანჩელოტის ნდობა თითქმის სრულად გაამართლა ("გაძეტას" შეფასება - 6.5), კაკა (7.5), რომლის გოლმა სათავე დაუდო ფერგის სამწყსოს კრახს, გატუზოც (8.0), რომელმაც თავისი ჩვეული როლი ღირსეულად შეასრულა, მაგრამ მთავარი მაინც ზეედორფი (8.0) იყო, სამიდან ორი გოლის სულისჩამდგმელი - როგორც ავტორი და თანაავტორი...

მაშ ასე, კვლავ ორი წლის წინანდელი ფინალი, "მილანი"-"ლივერპული", ამჯერად ათენში, 23 მაისს. "მილანი", ჩემპიონთა თასის ექვსგზის ტრიუმფატორი, ბოლო ხუთ წელიწადში მესამე ფინალს ითამაშებს. თუნდაც ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით, ძალიან ძნელი იქნება იმ "ლივერპულის" დამარცხება, ვინაც ორი წლის წინ "როსონერის" სამბურთიანი ჰანდიკაპი გაუბათილა და თასი პენალტების სერიაში მოიგო. მაგრამ ასევე ძნელი იქნება იმ "მილანის" დამარცხება, რომელსაც ძველი წყენა ჯერაც ახსოვს და შურისძიებისთვის ყველა ღონესა და საშუალებას იხმარს. ნებისმიერ შემთხვევაში, ათენის ფინალი ღირსეულთა ფინალი იქნება.

მილანი–მანჩესტერი 3:0 (2:3)

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (84. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (86. ფავალი), ინძაგი (67. ჯილარდინო).

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ო'ში (77. სააა), ბრაუნი, ჰაინცე, ვიდიჩი, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, რუნი, გიგზი.

გოლები: 1:0 კაკა (11), 2:0 ზეედორფი (30), 3:0 ჯილარდინო (78)

მაყურებელი: 67 500

არბიტრი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მილანი

პირველი ჯარიმა: მანჩესტერი

პირველი კუთხური: მილანი

პირველი გაფრთხილება: მილანი

12 (7)	დარტყმა	12 (2)
11	ჯარიმა	19
4	კუთხური	5
2	გაფრთხილება	1
47%	ბურთის ფლობა	53%

ალბერტო ჯილარდინოს მესამე გოლი

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

არჩევნებამდე. ინტერვიუ გიორგი ნემსაძესთან

ფულს არჩევნებამდე არ დავხარჯავ

ხელისუფლების ნეიტრალურობაში დარწმუნებული ვარ

გიორგი ნემსაძე და ტარიელ ხეჩიკაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე დარჩა ათი დღე და კანდიდატი ჯერაც ორია - მოქმედი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გიორგი ნემსაძე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

ნემსაძე შარშანწინაც იყო ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია - კანდიდატურა მოხსნა. წლეულს კი სიტუაციაგანსხვავებულია - ქვეყნის ხელისუფლებას გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს.

შარშანდელი არჩევნები ალბათ კარგი გაკვეთილი იყო ნემსაძისთვის და უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ახლა გაცილებით უფრო კარგადაა მომზადებული საარჩევნო რბოლისთვის.

რა ეტაპზეა ნემსაძის წინასაარჩევნო კამპანია? მასთან ინტერვიუ ამ კითხთვით დავიწყეთ.

- რამდენიმე რეგიონი დამრჩა მოსავლელი. ფედერაციის ყველა სუბიექტთან მაქვს კონტაქტი, ვაცნობ მათ ჩემს შეხედულებებს და პრიორიტეტებს. ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატს.

- რა არის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების მთავარი სპეციფიკა? ყველაზე მეტად რა ფაქტორი განაპირობებს არჩევნების შედეგს?

- პროგრამა, შეხედულება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე და ნდობა - ვინ როგორ შეასრულებს დანაპირებს - ყრილობის დელეგატებში ასეთი ნდობა უნდა მოიპოვო.

- როგორ ფიქრობთ, რა უპირატესობა აქვს პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი ნემსაძეს?

- მე უფრო მაგრად მიყვარს ფეხბურთი, ვიდრე ზოგიერთებს და ზოგიერთებზე კარგად ვერკვევი წვრილმანებში, რომელთა ერთობლიობა ქმნის ბირთვს.

- კულუარებში ამბობენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იმის მომხრეა, კლასუს ტოპმიოლერს მუშაობა აცალონ - როგორია თქვენი პოზიცია?

- ზოგადად, ტოპმიოლერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მას დეკემბრამდე აქვს კონტრაქტი და უნდა იმუშაოს. მიმდინარე შესარჩევში ჩვენს ნაკრებს კიდევ ექვსი თამაში დარჩა და ჯერ რატომ უნდა იყოს ლაპარაკი ტოპმიოლერის გაშვება-არგაშვებაზე? მასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ.

- არჩევნებში ალბათ გათვლას უფრო რეგიონალურ ფედერაციებზე აკეთებთ...

- ასე არ არის, გათვლას ვაკეთებ როგორც რეგიონალურ ფედერაციებზე, ასევე უმაღლესი ლიგის კლუბებზე.

- ნოდარ ახალკაცი ფედერაციის თორმეტმა სუბიექტმა წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატად, რომელთაგან ოთხი კლუბია, ორი რეგიონული ფედერაცია. როგორ ფიქრობთ, ახალკაცს ეს თორმეტი ხმა უკვე გარანტირებული აქვს?

- მე ყველას პატივს ვცემ და ყველასთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას, მათ შორის იმ სუბიექტებთანაც, ახალკაცის კანდიდატურა რომ წამოაყენეს.

- თუ თქვენ გახდებით პრეზიდენტი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ხელფასს ფედერაცია დამოუკიდებლად გადაიხდის თუ ისევ ხელისუფლების შემყურე იქნება?

- როგორც ვიცი, ტოპმიოლერის კონტრაქტის ფული უკვე გადახდილია. ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. ისე კი, ფული იქ უნდა ჩაიდოს, სადაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

- რას გულისხმობთ?

- ეროვნული ნაკრები მწვერვალია, მაგრამ სახლის მშენებლობა სახურავიდან არ იწყება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფული მხოლოდ ფუნდამენტისთვის, მაგალითად, ბავშვთა ფეხბურთისთვის დაიხარჯოს. ინვესტიციები კომპლექსური, სინქრონული უნდა იყოს.

- თქვენი ახლანდელი ინფორმაციით, ყრილობაზე ხმების დაახლოებით რა რაოდენობას მიიღებთ?

- დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა მე დამიჭერს მხარს.

- საკუთარი კანდიდატურის წამოყენებასაც იმიტომ აჭიანურებდით, რომ ამაში უნდა დარწმუნებულიყავით?

- გაჭიანურება ამით არ იყო გამოწვეული, უბრალოდ, ასე ვთქვათ, მოთელვით სამუშაოებს ვაწარმოებდი, რეგიონებში დავდიოდი და როცა საერთო სიტუაციას გავეცანი, კანდიდატურაც მერეღა წამოვაყენე.

- სანაკრებო თემას დავუბრუნდეთ. რაც უნდა მოხდეს, მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის ფეხბურთელების რესურსი უკეთესობისკენ ალბათ ვერ შეიცვლება - რისი იმედი უნდა გვქონდეს?

- ნაკრებს მძლავრი რესურსი რომ არ აქვს, ისევ ჩვენი ბრალია. გული დამწყდა ტოპმიოლერის ნათქვამზე, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ხშირად არ დავდივარ, მაგრამ ჩემი თანაშემწეები სისტემატურად ადევნებენ თვალს ეროვნულ ჩემპიონატსო. ტოპმიოლერის ასეთ პოზიციას, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. ჩვენი ჩემპიონატიდან ნაკრებისთვის მაქსიმუმი უნდა ამოვიღოთ. სხვა მიდგომაა საჭირო, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ და მერე შედეგიც უკეთესი იქნება, წინსვლის ტემპი უნდა გაიზარდოს.

- ყველაფრის ნულიდან დაწყება რას ნიშნავს?

- უახლოეს წლებში საქართველო ისევ ფეხბურთელების ექსპორტიორი ქვეყანა იქნება, თუმცა ბოლო დროს ქართველ ფეხბურთელებზე მოთხოვნა ნაკლებია. საერთო სიტუაციის გამოსასწორებლად ფედერაცია ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ფინანსურ დახმარებას გაუწევს რეგიონულ ფედერაციებს და უმაღლესი ლიგის კლუბებსაც.

- ეს თქვენი მხარდამჭერი ბიზნესმენებისგან რა სახის დახმარება იქნება? საქართველოში თითქმის ყველა საფეხბურთო კლუბი ხომ არარენტაბელურია...

- ეს იქნება დახმარება საცდელი ვადით - თუ ნახავენ, რომ დაფინანსება წინსვლას მოიტანს, დახმარება გაგრძელდება.

დავით თავართქილაძე

დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს
გამოიცანი თერთმეტი მატჩი
მიიღე მონაწილეობა ნამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მობეზრება!
ბილეთის ფასი 2 ლარი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
პოლიმპი
სარბიელი
05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი
ჩიხურა-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)
ოლიმპი-დინამო (თბ)
მერანი-დილა
ლოკომოტივი-ამერი
ზესტაფონი-ტორპედო
კახეთი-სიონი
მაღაროელი-გაგრა
ზენიტი-კრილია სოვეტოვი
მილანი-ფიორენტინა
სპარტაკი (მოს)-რუბინი

კვარაცხელია დღეს გაფორმდება



თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ კანდიდატებს ერთიც შეემატება - მერაბ ჟორდანიასდროინდელი ფედერაციის პრესატაშე მამუკა კვარაცხელია.

ის ქართულ ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი სახეა, იყო ჟურნალისტი, უმუშავია თბილისის "დინამოშიც", არის უეფას მედიაოფიცერი. მან პირველმა განაცხადა, რომ **ნოდარ ახალკაცს** საპრეზიდენტო არჩევნებში დაუპირისპირდებოდა, თუმცა ფორმალურად მისი მეტოქე დღეიდან გახდება.

თუ ფედერაციის რომელი სუბიექტი წარადგენს მას პრეზიდენტობის კანდიდატად, ეს მხოლოდ დღეს გაცხადდება.

დავით თავართქილაძე

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

პოლიტიკოსები ფეხბურთზე. ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან

ახალკაცი უფრო დამოუკიდებელია და ფეხბურთისთვის ეს მნიშვნელოვანია

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ქართული ფეხბურთი საზოგადოებისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი თემა ხდება.

ბევრს აინტერესებს, თუ როგორია ხელისუფლების პოზიცია. პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი არა უბრალოდ ფეხბურთის მოყვარული, მასში კარგად ჩახედული პერსონაა.

- ქართულ ფეხბურთში დღეისათვის შექმნილ ვითარებას როგორ შეაფასებდით?

- შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფეხბურთში უკეთესობისკენ გარკვეული ცვლილებებია. ეს გამოიხატება იმაში, რომ ნაკრების თამაში უფრო დამაჯერებელი გახდა. ჯერჯერობით, შედეგებით მაინცდამაინც თავს ვერ მოვიწონებთ. თუმცა ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ დადებითი ცვლილებები მართლაც არის. ეს სასიკეთო ძვრები, როგორც ჩანს, კარგ მწვრთნელთან და ნაკრებთან მიმართებაში, მეტნაკლებად გამართულ მენეჯმენტთანაა დაკავშირებული. თუმცა ნაკრები ბევრად უფრო კარგი რომ გახდა, ეს თითქმის არანაირ კავშირში არაა ეროვნულ ჩემპიონატთან. ეს იმიტომ, რომ ეროვნული ნაკრები თითქმის მთლიანად აგებულია უცხოეთის ჩემპიონატებში მოასპარეზე ფეხბურთელებით. ნაკრებმა დიდ წარმატებებსაც რომ მიაღწიოს, ეროვნულ ჩემპიონატზე ეს თითქმის არ აისახება. ამიტომ საჭიროა, ჩემპიონატის დონის ამაღლებისა და ბავშვთა ფეხბურთისთვის გარკვეული ფინანსები გამოყოს სახელმწიფომ. ეს არ იქნება წყალში გადაყრილი ფული. ამ თანხის სწორად და მიზანმიმართულად დახარჯვის შემთხვევაში, საქმეც წინ წავა და ფულიც უკან დაუბრუნდება სახელწიფოს.

მთავარია, ამ სფეროში ვითარების გამოსწორების სურვილი გაჩნდა და საქმე დაიძრა. ეს ძვრები ნოდარ ახალკაცის მმართველობის დროს შესამჩნევია. ორი წელიანადია რაც ფედერაციას ხელმძღვანელობს და ამ დროში მეტის მიღწევა ვერ მოესწრებოდა.

- 13 მაისს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია. ხელისუფლებას არ აქვს ფედერაციის არჩევნებში ჩარევის უფლება, თუმცა საფეხბურთო წრეებში გავრცელებული აზრის მიხედვით, ხელისუფლებას ორივე კანდიდატის მიმართ გარკვეული სიმპათიები აქვს...

- ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს ის შემთხვევაა, როცა ხელისუფლება ორივე კანდიდატზე აკეთებს ფსონს. ეს იმიტომ, რომ დამარცხებულ ვითარებაში არ აღმოჩნდეს. სხვათა შორის, საამისო შანსი საკმაოდაა. საქართველოში, როგორც იქნა, ერთ სტრუქტურაში პრეზიდენტობის ორი კანდიდატი გაჩნდა. ამიტომ ხელისუფლების ინტერესი ორივე კანდიდატშია. გიორგი ნემსაძე საკრებულოში "ნაციონალების" სიით გავიდა. ის უფრო ახლოსაა პოლიტიკასთან, ვიდრე ნოდარ ახალკაცი და რასაკვირველია, მას თავისი მომხრეები ჰყავს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალკაცს თავისი პლუსები აქვს. არაერთი პრობლემა დადებითად გადაწყვიტა. ფედერაციაში ადრეც არაერთი კარგი და მცოდნე ადამიანი მუშაობდა, მაგრამ წარმატებული თავკაცი, სამწუხაროდ, აქამდე არ გვყოლია. ახლა არის სასიკეთო ძვრები, რაც ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტის დამსახურებაა.

- დღეისათვის რეგისტრირებულია ორი კანდიდატი, ნოდარ ახალკაცი და გიორგი ნემსაძე. როგორ დაახასიათებდით მათ?

- თუ ეს ორი კანდიდატი დარჩება და არავინ დაემატება, მაშინ, ნუ მიწყენს გიორგი ნემსაძე და ჩემი სიმპათიები ნოდარ ახალკაცისკენ იხრება. ჩემთვის, როგორც გულშემატკივრისთვის, ის კანდიდატი უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომელმაც უკვე წარმოაჩინა საკუთარი თავი და შეძლებლობები. ისიც გამოჩნდა, რომ ახალკაცს კიდევ ბევრი შეუძლია, არაერთი კარგი ჩანაფიქრი აქვს, რომლის განსახორციელებლად დრო სჭირდება.

მართალია, ნემსაძე კარგი ფეხბურთელი იყო, წესიერი, პატიოსანი და შრომისმოყვარე პიროვნებაა, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორი მმართველი იქნება. შესაძლოა, მართლაც კარგი მმართველი გამოდგეს... ახალკაცი საფეხბურთო ოჯახიდანაა, სულაც არ ყოფილა ფეხბურთელი, მაგრამ ვიცით, როგორ მართავს ფედერაციას და ფეხბურთის საქმეც უკეთესობისკენ წარმართა. თუნდაც იმითი ჯობს ახალკაცი, რომ ის უფრო დამოუკიდებელია და ფეხბურთისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

- კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადა 4 მაისია და შესაძლოა არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს...

- გაცილებით დაბნეული ვიქნებოდი, ვლადიმერ გუცაევს საკუთარი კანდიდატურა რომ წამოეყენებინა. გუცაევი არჩევნებში რომ ჩაერთოს, მაშინ ვიტყოდი – გენიალურ ფეხბურთელზე გარისკვა ღირსმეთქი. იმიტომ, რომ გუცაევი უფრო დიდი ფიგურაა ქართულ ფეხბურთში, ვიდრე ახალგაზრდა გიორგი ნემსაძე. გუცაევმა ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელადაც მოსინჯა ძალები, ქუთაისის "ტორპედოში" მენეჯერიც იყო, როცა ეს გუნდი ზედიზედ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მაშინ "ტორპედომ" "დინამოს" ჰეგემონია დაამხო და ყველაზე ძლიერი ქართული კლუბი იყო. შესაბამისად, მან მენეჯმენტი იცის... იცის, როგორ უნდა წარუძღვეს ქართულ ფეხბურთს. იგი ჩემთვის იმხელა ფიგურაა, რომ პარლამენტში ყოველდღე მისი დანახვა მიხარია.

გუცაევი გონიერი ადამიანია და როგორც ჩანს ხელისუფლების განწყობას აკვირდება. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას, თუ გარკვეული შანსი ექნება. გუცაევი ჩვენს მეხსიერებას მოგებული შემორჩა და წაგებული ვლადიმერ გუცაევის ნახვა, ვფიქრობ, არავის ესიამოვნება.

- როგორ ფიქრობთ, თუ გუცაევი არჩევნებში არ ჩაერთო, შეიცვლება თუ არა ფედერაციის პრეზიდენტი?

- თუ ეს ორი კანდიდატი დარჩა და ხელისუფლებაშიც ისეთი განლაგება იქნება, როგორიც დღესაა, მაშინ არჩევნებს ახალკაცი მოიგებს. კარგად ვიცი ორივე ამ კანდიდატის მხარდამჭერები. ნემსაძეს არ ეწყინოს და ხელისუფლების უფრო გამორჩეული და ძლიერი ნაწილი, სწორედ ნოდარ ახალკაცის მხარესაა. გიორგი ნემსაძეს კი აღმასრულებელ სტრუქტურებში დასაქმებული ნაწილი უჭერს მხარს. თუმცა გადამწყვეტი ეს ფაქტორი კი არა, კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პროგრამა უნდა იყოს. ვნახოთ, რას გვიქადის 13 მაისის არჩევნები. ქართული ფეხბურთისთვის ეს 13 მაისიც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი დღეა.

ერთსაც ვიტყოდი, საქართველოში ყველა პოსტი მნიშვნელოვანია და მით უმეტეს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა. იმას ნურავინ იტყვის, რომ ხელისუფლება ფეხბურთში არ ერევა და არც ჩაერევა. ხელისუფლება ყველგან ერევა ფეხბურთში. საფრანგეთში ეს ჩარევა, კარგი გაგებით, სხვაგარად ხდება და არ ჩანს. ჩვენთან კი შედარებით თვალსაჩინოა. ხელისუფლებამ ქართულ ფეხბურთში მილიონები ჩადო და ვინ დაიჯერებს, რომ არ ჩაერევა? ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ქართველი კაცისთვის ფეხბურთი მხოლოდ სპორტის ერთ-ერთი, თუნდაც უპირველესი სახეობა კი არა, ბევრად უფრო მასშტაბური მოვლენაა. შესაბამისად, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ.

- ორი წლის წინათ, ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლას ნაკრების თავკაცის ცვლილებაც მოჰყვა. ახალი პრეზიდენტის გამოჩენის შემთხვევაში ნაკრებშიც ახალ მწვრთნელს ხომ არ უნდა ველოდოთ?

- შესაძლოა, ასეც მოხდეს, რადგან ყველა ახალ პრეზიდენტს თავისი პროგრამა აქვს. გიორგი ნემსაძეს თავისი შეხედულება და პროგრამა აქვს. ეროვნული ნაკრები ქართული ფეხბურთის ფასადია და ვინც ქართულ ფეხბურთში დღეს კრიტიკულადაა განწყობილი, მათი უმრავლესობა მიზეზად ნაკრების მწვრთნელს მიიჩნევს. ეს მხოლოდ ჩვენთან კი არა, ყველგან ასეა. არსად მინახავს ემე უკეს, მაგრამ ბევრი მინახავს ზიდანის, ანრის და სხვა, თუნდაც უფრო ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელების პლაკატები. ჩვენ, გულშემატკივრები იდენტიფიკაციას ყოველთვის ფეხბურთელთან ვაკეთებთ და უმეტესწილად მწვრთნელს ვუდგავართ კრიჭაში, ვაკრიტიკებთ. როცა ფეხბურთელი მოედანზე ფეხს კარგად იქნევს, ნუ დაგვავიწყდება, რომ ის მწვრთნელის დავალებას ასრულებს კარგად და იმიტომაა გამორჩეული. ასევე არ დაგვავიწყდეს, რომ გუნდი კრებითი სახელია. ასე რომ, შესაძლოა, ფედერაციის პრეზიდენტის ცვლილებამ ნაკრების თავკაცის შეცვლაც დააყენოს დღის წესრიგში. კლაუს ტოპმოლერი მაღალკვალიფიციური მწვრთნელია და ამ ეტაპზე ის გვჭირდება, მერე კი უკეთესი სპეციალისტის დროც მოვა.

- ისე ხომ არ იქნება, რომ ხელისუფლება უბრალოდ უარს იტყვის ნაკრების სამწვრთნელო პროექტის დაფინანსების გაგრძელებაზე?

- ჩემი აზრით, სახელმწიფომ რაშიც ერთხელ გადაიხადა ფული, მერე ამის გადახდას ეჩვევა. ნაკრების სამწვრთნელო პროგრამის დაფინანსებას კი არა, სახელმწიფოს დამატებით მოუწევს ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება. ამ აზრს ყველა უნდა შეეგუოს. თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთი პრიორიტეტადაა გამოცხადებული.

დავით ცაბაძე

ალეკო გოგობერიშვილი (მარჯვნივ)

ლეგიონერი

გოგობერიშვილი რუსეთში? არ დაიჯეროთო

ალეკო გოგობერიშვილს მალე უმთავრდება აზერბაიჯანის ჩემპიონ "ბაკისთან" კონტრაქტი. შესაძლოა, ეს გახდა კიდეც იმ ჭორების საფუძველი, თითქოს ქართველი ლეგიონერი "ბაკის" ტოვებს.

ალეკოს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ: "სხვათა შორის, თბილისში ყოფნის დროს მითხრეს, გაზეთებში დაწერილა, თითქოს გუნდს ვტოვებდი. ეს ჩემთვის მოულოდნელი ამბავი იყო, რადგან ჯერ თავად არ გადამწყვეტია, რას გავაკეთებ, არც არავისთვის მითქვამს, რომ "ბაკისთან" ურთიერთობას ვამთავრებ. კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე მიმთავრდება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. თუკი "ბაკიმ" უეფას თასის საგზური მოიპოვა, ასეთ შემთხვევაში დავრჩები, თუ არადა, შეიძლება წავიდე. თუმცა უეფაზე მოხვედრის დიდი შანსი გვაქვს, ანუ 90 პროცენტით დავრჩები".

რაც შეეხება შესაძლო ვარიანტებს - დაინერა, თითქოს მისით რუსეთის პრემიერლიგაში "ლუჩ-ენერგია" და ნალჩიკის "სპარტაკი" დაინტერესდა. ალეკო კი ამბობს, რომ ჯერ სასურველი წინადადება არ მიუღია: "რუსეთის პრემიერლიგის არცერთი კლუბი არ დამკავშირებია. ესეც ჭორია. რეალურად, ჯერ მინვევა არ მაქვს. შეიძლება, ვილაცების ინტერესის შესახებ მსმენია, მაგრამ ჯერ მათ სერიოზულად ვერ აღვიქვამ".

ალეკო აზერბაიჯანში ლეგიონერების გართულებულ პირობებზეც გვესაუბრა: "აზერბაიჯანელებმა ახალი პროექტი შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც უცხოელთა დამატება სერიოზული პრობლემა გახდება. ყოველი მოთამაშის განაცხადში შეყვანისთვის კლუბი ვალდებული იქნება, ფედერაციას 4 ათასი დოლარი გადაუხადოს, მწვრთნელის ჩამოყვანის შემთხვევაში კი - 50 ათასი დოლარი. ფედერაციის ამ პროექტმა გუნდები გააღიზიანა, მაგრამ რომ განხორციელდეს, მაშინ ლეგიონერების მდგომარეობა ძალიან გართულდება. თუ ეს მოხდა, ქვეყნის დატოვება ბევრ უცხოელს მოუწევს".

მერაბ მამულაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge


ანზორ კავაზაშვილი

ნიკიტა სიმონიანი

შეხვედრა წარსულთან

60 წლის წინათ

როგორ და რატომ უგონებდა ქართულ გვარებს ანდრო ჟორდანია არაქართველ ფეხბურთელებს?

1947 წლიდან საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატი რიგი სიახლეებით აღინიშნა. ჩემპიონატის მონაწილეთა შორის გამორჩნდა მოსკოვის ვვა-ს (სამხედრო საჰაერო ძალები) საფეხბურთო გუნდი, რომელსაც **ვასილი სტალინი** შეფობდა. ამ წელს თბილისის "დინამომ", რომელსაც ლეგენდარული **ანდრო ჟორდანია** წვრთნიდა, ორივეჯერ აწვნია მარცხი ახალბედა კოლექტივს - თბილისში 1:0, **ბორის პაიჭაძის** მიერ გატანილი ბურთის წყალობით, ხოლო მოსკოვში დიდი ანგარიშით, 5:1. არც მომდევნო წელს შეურცხვენიათ თავი ქართველებს და 1948 წლის სეზონში მოსკოველები ჯერ სტუმრად 2:1, მერე კი თბილისში 4:1 დაამარცხეს. ამ დროს დინამოელთა რიგებში ბრწყინავდნენ **გოგი ანთაძე, ვიქტორ პანიუკოვი, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ანდრო ზაზროევი** და სხვები. ეს უკანასკნელი იმდროინდელ პრესაში ზაზროშვილად მოიხსენიებოდა. თუ რა იყო ამის მიზეზი, ბევრმა შეიძლება არც კი იცის. საქმე ისაა, რომ ზაზროევს ანდრო ჟორდანიას რჩევა გაუთვალისწინებია და ზაზროშვილად დაწერილა. ამის შესახებ თავად ანდრო ზაზროევმა მიამბო ხოსტაში, ორჯონიკიძის "სპარტაკის" იმდროინდელმა მწვრთნელმა.

მეორე და უაღრესად საინტერესო მაგალითი გახლავთ **ანზორ კავაზაშვილი**, რომლის ნამდვილი გვარი კავაზიდისია. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, თბილისის "დინამოში" მიწვეულმა სოხუმელმა **მკრტიჩ სიმონიანმა** უარი განაცხადა ნიკიტა სიმონიშვილად ეხილა საზოგადოებას. ასევე ანდრო ჟორდანიას მიერ შეთავაზებულ წინადადებას არ დათანხმდა თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში მოთამაშე ვინმე **ფიოდოროვი,** რომელიც შემდგომ ტირასპოლში თამაშობდა. ამის შესახებ მან შემთხვევითი შეხვედრისას, მატარებლით მგზავრობის დროს მიამბო.

ნიკიტა სიმონიანს დავუბრუნდეთ. "კომსომოლსკაია პრავდა" წერდა, რომ მას **ვასილი სტალინის** წინადადებაზე, ეთამაშა ვვა-ში უარი უთქვამს. კურორტ მინვოდში დასასვენებლად მყოფი ფეხბურთელისთვის სპეციალური თვითმფრინავიც კი გაუგზავნია ორი ადიუტანტის თანხლებით. **იოსებ სტალინის** გარდაცვალების მერე ვასილი სტალინს ბევრი ბრალდება წარუდგინეს, რომელთაგან ერთ-ერთი ის იყო, რომ ფეხბურთელებს სხვადასხვა მეთოდით აიძულებდა, ეთამაშათ ვვა-ში. ამ ბრალდებაზე სტალინის პასუხი ასეთი იყო: *"სიმონიანმაც განაცხადა ვვა-ში თამაშზე უარი, მაგრამ ის ამისთვის არავის დაუსჯია".*

თავის დროზე მოსკოვის ვვა-ს გაიოზ **ჯეჯელავა ნვრთნიდა,** ხოლო მისი ძმა **სპარტაკ ჯეჯელავა, ბობროვთან** ერთად გუნდის დამრტყმელი ძალა იყო. ვვა-ში გამოდიოდა ასევე ცნობილი თბილისელი მეკარე **პირაევი**. მოსკოვის ვვა-მ 1952 წლის საფეხბურთო სეზონის ჩათვლით იარსება. ამ წელს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მატჩი მოსკოვში გაიმართა და არც მაშინ შეურცხვენიათ თავი ქართველებს.

ბოლოს კი გეტყვით იმ გახმაურებული ამხანაგური მატჩის შესახებ, რომელიც ქობულეთში დასასვენებლად მყოფმა ვვა-მ ჩაატარა. ადგილობრივმა "კოლმეურნემ" სახელგანთქმული მფრინავების გუნდი 1:0 დაამარცხა **ნიკოლოზ კუშელავას** მიერ გატანილი გოლით. ამ თამაშს თავის დროზე სატირულ-იუმორისტული ჟურნალი "ნიანგიც" გამოეხმაურა:

"ჩემო ძმაო მაი რაა...
სხვაი უფრო საშიშია,
დღეს თქვენ დუბლი გეთამაშათ
ძირითადი ჩაიშია."

დემურ ტორაძე

მალხაზ ასათიანი

ლეგიონერი

ბიშოვეცი ასათიანს ელის

მალხაზი დიდ სარგებლობას მოგვიტანსო

"მალხაზმა ჩემზე თავიდანვე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. იგი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა", - განაცხადა მოსკოვის "ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა**. შეგახსენებთ, იგი გუნდში რამდენიმე თვეა, რაც მუშაობს და მიუხედავად იმისა, რომ **მალხაზ ასათიანს** მისი ხელმძღვანელობით ჯერ არ უთამაშია, მრავლისმნახველ სპეციალისტს ამ ხნის განმავლობაში ქართველი უნივერსალის მისამართით არაერთხელ გამოუთქვამს კომპლიმენტები. ბიშოვეცი განსაკუთრებით ასათიანის ტექნიკას, შრომისმოყვარეობასა და ადამიანურ თვისებებს გამოარჩევს.

მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ქართველი ფეხბურთს ორ კვირაში დაუბრუნდება. *"ამ პერიოდისთვის მეტად მჭიდრო სათამაშო კალენდარი გვაქვს და ორი თანაბარძალოვანი შემადგენლობა დაგვჭირდება. მალხაზის მოედანზე ყოფნა ძალიან დიდ სამსახურს გაგვიწევდა, მაგრამ მოვლენები არ უნდა დავაჩქაროთ. შეიძლება, მისი დაბრუნება ორ-კვირაში ვერ მოესწროს, რაც სამწუხარო იქნება. იგი "ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, გუნდს მომავალშიც დიდ სარგებლობას მოუტანს",* - ამბობს ბიშოვეცი.

სპეციალისტთა ვარაუდით, სრულად გამოჯანმრთელების შემდეგ, ასათიანს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება არ უნდა გაუჭირდეს. რკინიგზელთა დაცვა მის არყოფნაში ხშირად არცთუ დამაჯერებლად თამაშობს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

ფოფხაძე ევროპას დაემშვიდობა

წუხელ დანიის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ჩემპიონატში ხელმოცარული "ვიბორგი" (12-გუნდიან ტურნირში მეათეა, ბოლო რვა მატჩიდან 7 წააგო) ევროსაგზურის მოპოვებისთვის თასზე იბრძოდა, თუმცა **გიორგი ფოფხაძის** გუნდს არც აქ გაუმართლა. "ოდენსესთან" გასვლითი მატჩი "ვიბორგს" 2 :1 ჰქონდა მოგებული და საპასუხო შეხვედრის წინ ფინალში გასვლის ფავორიტიც იყო. თუმცა "ვიბორგი" შინ 0:2 დამარცხდა და ევროსაგზურზე ოცნებასაც დაემშვიდობა. ქართველმა მცველმა ამ მატჩში შეუცვლელად ითამაშა, თუმცა გუნდს ვერაფრით შეეშველა. "ოდენსემ" გოლები პირველივე ტაიმში გაიტანა, თავი ჯერ **აბსალონსენმა** გამოიჩინა (მე-15 წუთი), შემდეგ კი - **სორენსენმა** (36-ე წუთი). დანიის თასის ფინალში "ოდენსე" "კოპენჰაგენს" შეხვდება.

ქეცბაიას ბრინჯაო

თემურ ქეცბაია

კვიპროსში A დივიზიონის ბოლოსწინა ტურში თემურ ქეცბაიას "ანორთოსისი" სტუმრად უკვე გაჩემპიონებულ აპოელთან დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დაემშვიდობა. "ანორთოსისმა" 0:1 წააგო (გოლი მიხაელმა 28-ე წუთზე გაიტანა). ამავე ტურში "ომონიამ" სტუმრად 2:1 დაამარცხა **კლიმენტი წიტაიშვილის** აეკი (ქართველი ფორვარდი მატჩის 54-ე წუთზე შეცვალეს) და 54 ქულა დააგროვა, "ანორთოსის" მხოლოდ 50 ქულა აქვს და "ომონიას" ვეღარ დაეწევა, ქეცბაია და მისი გუნდი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ქართველთა გუნდებიდან მხოლოდ "ახნასმა" იმარჯვა, რომელმაც სტურმად "ნეა სალამინა" დაამარცხა - 1:0. გამარჯვების გოლი **სტეპანოვიჩმა** 22-ე წუთზე **ლევან ქებაძის** პასით გაიატანა. ვეტერანი ქართველი 74-ე წუთზე შეცვალეს. "ახნასი" ბოლო ტურის წინ 34 ქულით მეხუთე ადგილზეა, აეკს 33 ქულა აქვს და მეშვიდეა. ბოლო ტურში (5-6 მაისს), ქეცბაიას "ანორთოსისი" აელს უმასპინძლებს, აეკი "აპოლონს" ესტუმრება, ხოლო "ახნასი" ჩემპიონ აპოელს მიიღებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხვიჩა ქასრაშვილი

ჩიხურა

შეხვედრა ქასრაშვილთან

როგორც იცით, პარასკევს, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის დასრულებისთანავე "ჩიხურას" მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** მომენტალური გადაწყვეტილება მიიღო და თანამდებობა დატოვა. ბუნებრივია, ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ამ თემაზე არც კლუბის ხელმძღვანელობა საუბრობს და არც თავად ქასრაშვილი. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ეს მნიშვნელოვან საკითხებში შეუთანხმებლობის გამო მოხდა.

საჩხერელთა გუნდის უფროსი **ბადრი ბრეგვაძე** იმედს მაინც არ კარგავს, რომ ქასრაშვილს ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს და თანამდებობაზე დააბრუნებს, მწვრთნელი კი, ჯერჯერობით, შეუვალია და უკან დაბრუნებას არ აპირებს.

"ხვიჩას ხასიათი ძალიან კარგად ვიცი, ძნელია, მას აზრი შეაცვლევინო, მაგრამ მაინც შევეცდები, დარჩენაზე დავიყოლიო. ახლა ჭიათურაში ვარ, ხვალ (დღეს, რედ.) თბილისში ჩავალ, ქასრაშვილს აუცილებლად შევხვდები და იმედია, ისურვებს "ჩიხურაში" მუშაობის გაგრძელებას", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ბრეგვაძემ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ თუ ქასრაშვილმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, სეზონის ბოლომდე გუნდს მისი ასისტენტი **ვახტანგ თურმანიძე** უხელმძღვანელებს.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

კობი ძირითადში ბრუნდება

სლომკა: ვერცხლის სინთან ძალიან ახლოს ვართ!

გერმანული პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში "შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ უიღბლობაზე დაიწუწუნა. მისი თქმით, ბუნდესლიგის ბოლო მატჩებში მის გუნდს გაცილებით მეტი ქულა უნდა დაეგროვებინა.

"საშინლად არ გვიმართლებდა, არაერთი საგოლე მომენტი გავუშვით ხელიდან და დასანანი ქულები დავკარგეთ. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი "ბოხუმთან" განცდილი მარცხი იყო. იმედია, ამ მატჩში დაშვებულ შეცდომებს არ გავიმეორებთ და მომდევნო შეხვედრებში მაინც მივაღწევთ დასახულ მიზანს", - ამბობს "ხუმარათა" 39 წლის დამრიგებელი.

მისი თქმით, გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი, შესაძლოა, "დორტმუნდთან" დაპირისპირება აღმოჩნდეს. შეგახსენებთ, პრინციპული მეტოქეების ბრძოლა დორტმუნდში შედგება. სლომკას სჯერა, რომ მისი გუნდი "ვესტფალენშტადიონზე" ღირსეულად ითამაშებს და შინ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდება. *"კარგად გვესმის, რომ მეტოქისთვის ეს სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩია, "დორტმუნდი" თავს შეგვაკლავს, მაგრამ უკანდასახევი გზა მოჭრილია. კონკურენტებს სულ მცირედით ვუსწრებთ და წაფორხილების უფლება არ გვაქვს. ვერცხლის სინთან ძალიან ახლოს ვართ და ბუნდესლიგა უდანაკარგოდ უნდა ჩავამთავროთ",* - აცხადებს სლომკა.

რაც მთავარია, მან **ლევან კობიაშვილის** შესახებაც ისაუბრა. როგორც გახსოვთ, რამდენიმე დღის წინათ, "ლელოსთან" საუბარში, ქართველმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ ოპტიმალურ ფორმას მალე მიუახლოვდებოდა და მოედანზე პირველივე წუთებიდან გავიდოდა. "შალკეს" მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ეს დრო უკვე დადგა. მან ღიად განაცხადა, უახლოეს მატჩში კობი "შალკეს" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებაო.

სლომკა კობიაშვილს **კურანისთან, ასამოასა** და **ბორდონთან** ერთად გუნდის მთავარ შემტევ პოტენციალს უწოდებს. ლევანის ძირითადში ხილვას "შალკეს" გულშემატკივრებიც აქტიურად ითხოვენ. მათი აზრით, 18 წლის **მესუთ იოზილი** ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი კია, მაგრამ დღესდღეობით, კარგ ფორმაში მყოფი კობიაშვილი შეტევაში ბევრად ეფექტურია.

ლევან ჯანეზაშვილი

ლევან კობიაშვილი

თურქეთში უცნობი ჩვენებურები თამაშობენ

საქართველოდან ფეხბურთელები კატასტროფული ტემპით გარბიან - ზოგი სად და ზოგი სად. ახლახან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის საფეხბურთო სკოლებში გაზრდილი ორი 17 წლის ფეხბურთელი - მარჯვენა გარემარბი **ილია უგულავა** და ნახევარმცველი **ედგარ ბაირამოვი** თურქეთში თამაშობენ. პირველი საფეხბურთო აკადემია "ოლიმპში" ვარჯიშობს, მეორე კი "ნორჩ დინამოელში".

ორივე მათგანი ზაფხულში თურქეთის უზუჩიპლიგის, ანუ რეგიონული ლიგის "იზმითში" ჩაირიცხა. გუნდი ქოჯაელის ზონაში პირველობს და პირველ ლიგაში გადასვლის შანსი გააჩნია.

საქართველოში გაზრდილი ახალგაზრდები "იზმითმა" თებერვალში დაიმატა. მათ კი იოლად მოახერხეს გუნდთან ადაპტაცია. ამაზე მათი მონაგარიც მეტყველებს - უგულავამ 3 ბურთი გაიტანა და 10 საგოლე გადაცემა მიითვალა, ბაირამოვმა - 2 გოლი და 17 საგოლე გადაცემა.

ორივეს ადგილობრივი პრესა დადებითად ახასიათებს. იმედია, ეს ბიჭები უფრო მაღალ დონეზე გააგრძელებენ თამაშს და საქართველოსაც გამოადგებიან. რეგიონალლიგა მაღალი რანგის ტურნირი არაა, მაგრამ მათი ასაკის გათვალისწინებით, ორივეს წინსვლის იმედი უნდა გვქონდეს.

დავით მეფარიშვილი

ედგარ ბაირამოვი და ილია უგულავა

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

დღეს მესხეთმაც უნდა გაიფორმოს

თუ სასწაული არ მოხდა, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას დღეს "მესხეთიც" მოიპოვებს. ახალციხელებს დაბეჩავებული "გურიის" ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ. "მგლების" მსგავსად, სეზონი "მესხეთმაც" სტაბილურად, მაღალ დონეზე ჩაატარა და სავსებით დამსახურებულადაა მეორე პოზიციაზე. სამცხელებს უმაღლესის საგზურის გაფორმება წინა ტურში, მცხეთაშიც შეეძლოთ, მაგრამ ვეტერინართა დუბლშემადგენლობასთან ვერაფერი გააწყვეს.

მთავარი ბრძოლები კი კვლავ მესამე, საფლეიოფო პოზიციისთვის მიმდინარეობს. წინა ტურში "მაღაროელი" "მეშახტესთან" დაკარგულმა ორმა ქულამ ძალიან აზარალა და მანამდე კარგ პოზიციაზე მყოფმა ორივე უშუალო კონკურენტს გადასწრების საშუალება მისცა. თუმცა ბუნებრივია, ჭიათურელებს შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, უპრინციპულეს მატჩს ისინი 7 მაისს გამართავენ, როცა "გაგრას" უმასპინძლებენ.

"გაგრა" ბოლო ტურებში გაცილებით სტაბილური და შედეგიანია, ვიდრე მანამდე იყო. მუხრანელებს რეალური საფლეიოფო შანსი აქვთ, დღეს აუტსაიდერ "ჩიხურა 2-ს" შინ ეთამაშებიან და ქულების დაკარგვას არ აპირებენ.

წესით, დღეს ძალიან უნდა გაუჭირდეს "მეშაქრეს" თბილისში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, სამი ქულა იოლად მოიპოვოს. "ნორჩი დინამო" მატჩებს ხან უმაღლეს დონეზე ატარებს, ხანაც უიმედოდ მარცხდება.

არ დასრულებულა გადარჩენისთვის ბრძოლაც. შეგახსენებთ, რეგიონალლიგაში ოთხი უარესი გუნდი ვარდება. პირველ ლიგაში დარჩენის საუკეთესო პერსპექტივა "რაჭას" აქვს, რომელიც უშუალო კონკურენტს სამი ქულით უსწრებს და ერთი გადადებული შეხვედრა უნდა ჩაატაროს. რაჭველები პირველადგილოსანს კი მასპინძლობენ, მაგრამ, ერთი შეხედვით, მოტივაციადაკარგულ "მგლებთან" გამარჯვება მთლად წარმოუდგენელი არ უნდა იყოს.

XXIX ტური

მგლები-ზესტაფონი 2	2:0
ვიტ ჯორჯია 2-მესხეთი	2:0
მეშახტე-მაღაროელი	2:2
მეშაქრე-მერცხალი	3:0
სამგრელია-გაგრა	1:3
ოლიმპი-დინამო 2	2:2
გურია-ნ. დინამო	1:4
ჩიხურა 2-ამერი 2	0:2
სპარტაკი-რაჭა	0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მგლები	29	22	2	5	50-19	68
2. მესხეთი	28	19	4	5	51-16	61
3. ვიტ ჯორ. 2	29	14	6	9	50-25	48
4. მეშაქრე	29	13	9	7	35-25	48
5. გაგრა	29	14	5	10	42-34	47
6. მაღაროელი	29	13	8	8	42-31	47
7. ოლიმპი	29	13	7	9	48-32	46
8. ამერი 2	29	12	10	7	46-33	46
9. ნ. დინამო	28	13	4	11	44-40	43
10. სამგრელია	29	11	8	10	28-36	41
11. მეშახტე	29	10	6	13	40-38	37
12. დინამო 2	29	9	10	10	48-31	37
13. ზესტაფ. 2	29	8	10	11	25-30	34
14. რაჭა	28	7	10	11	26-39	31
15. ჩიხურა 2	29	8	4	17	25-51	28
16. სპარტაკი	28	7	4	16	17-39	25
17. გურია	29	6	6	17	28-62	24
18. მერცხალი	28	2	4	22	19-80	10

დღეს:

მესხეთი-გურია

რაჭა-მგლები

ნ. დინამო-მეშაქრე

გაგრა-ჩიხურა 2

მაღაროელი-სამგრელია

ამერი 2-სპარტაკი

ზესტაფონი 2-ვიტ ჯორჯია 2

მერცხალი-ოლიმპი

დინამო 2-მეშახტე

ლეგიონერი

ჯინჭარაძე დაიმტვრა

გუშინ რუსეთის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივმა" ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, შინ "სპარტაკი" 3:0 დაამარცხა. თუკი ასათიანი ცალი ფეხით ფინალშია (ტრავმირებული ქართველი, მოგეხსენებათ, ჯერ ვერ თამაშობს), **პაატა ჯინჭარაძის** გუნდს უფრო რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს. პირველი დივიზიონის ბრიანსკის "დინამომ" "მოსკვას" უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა. პირველ ტაიმში სტუმრები **სემაკმა** დააწინაურა, თუმცა მეორეში **ბულიმ** გაათანაბრა - 1:1. ვეტერანი ქართველი ნახევარმცველი 72-ე წუთზე **ტოლსტიხმა** შეცვალა. პაატამ ტრავმა მიიღო და ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. საპასუხო მატჩები 9 მაისს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ლივერპული, სათასო გუნდი

ენფილდელ ქომაგებს ერთი ქალგატონის გადაუხდელი ვალი აქვთ...

ლივერპული-ჩელსი 1:0, პენ. 4:1 (0:1)

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (78. ჩაბი ალონსო), ჯერარდი, მასკერანო (118. ფაულერი), ზენდენი, კრაუჩი (106. ბელამი), კუიტი.

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, ესიენი, ტერი, ე. კოული, მაკელელე (118. ჯერემი), ლემპარდი, ობი მიკელი, ჯ. კოული (98. რობენი), კალუ (108. რაიტ-ფილიპსი), დროგბა.

გოლი: 1:0 აგერი (22)

პენალტები: ზენდენი 1:0, რობენი 1:0 (მეკარე), ჩაბი ალონსო 2:0, ლემპარდი 2:1, ჯერარდი 3:1, ჯერემი 3:1 (მეკარე), კუიტი 4:1.

მაყურებელი: 45 166

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

პეპე რეინას საიმედოობა და ლივერპულელთა ტაქტიკური სრულყოფილება გადამწყვეტი აღმოჩნდა "ჩელსისთან" საპასუხო ნახევარფინალში. ბოლო სამ წელიწადში მეორედ მერსისაიდელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწიეს.

მასპინძელთა შემადგენლობაში მთელი რიგი გადაადგილებები მოხდა. მოსალოდნელი იყო, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე **არბელოას** ადგილს **სტივ ფინენი** დაიჭერდა. არბელოა საჭირო ევროპულ გამოცდილებას გაისად დააგროვებს, იმ საღამოს კი "ლივერპულს" ირლანდიელი უფრო მეტად სჭირდებოდა. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო **სტივ ჯერარდის** დაბრუნება ნახევარდაცვის ცენტრში. ასეთმა განლაგებამ ფუნდამენტური როლი დააკისრა **ხავიერ მასკერანოს**. 22 წლის არგენტინელმა იმ სამუშაოს შესრულება ითავა, რომელსაც სეზონის განმავლობაში **მომო სისოკო** და **ჩაბი ალონსო** ინაწილებდნენ. ფეხბურთელი, რომელიც აგვისტოს მიწურულს "ვესტ ჰემში" ჩაირიცხა, ვერც კი წარმოიდგენდა, სად ამოჰყოფდა თავს სეზონის მიწურულს. მან დაკისრებული ამოცანა საუცხოოდ შეასრულა. ცენტრში თამაშის გარდა, ხავიერი განაპირა მცველების დაზღვევასაც ასწრებდა, ოვერტაიმში კი მეტოქის კარისკენაც გაიხედა.

ჯერარდის ცენტრში გამწესების მეორე შედეგი ის იყო, რომ მარჯვენა ფლანგზე **ჯერმეინ პენანტი** ვიხილეთ. მან მწვრთნელს იმედი არ გაუცრუა. მარცხენა ფლანგი **ბუდეინო ზენდენს** ჩააბარეს. ჰოლანდიელი უფრო მეტ დროს **პაულუ ფერეირას** განეიტრალებას უთმობდა. მარცხნივ წარმოქმნილი ვაკუუმის შევსებას ისევ ჯერარდი ახერხებდა. მის ერთ-ერთ გარღვევას **ჯო კოულის** დაჯარიმება მოჰყვა. ლივერპულელებმა ბურთი გაითამაშეს. ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა. "ლივერპულის" აგრესიული დასაწყისი სწრაფ გოლს ისახავდა მიზნად. **დანიელ აგერის** ბურთი სწორედ ასეთად უნდა ჩაითვალოს.

თამაშის მსვლელობისას გაირკვა, რომ "ჩელსის" დაცვის ცენტრს სულაც არ გასჩენია ბზარი. **რიკარდო კარვალიოს** ტრავმის გამო "არისტოკრატებს" თითქოს პრობლემები უნდა შექმნოდათ, მაგრამ **მიკაელ ესიენმა** საიმედოდ ითამაშა. მოურინიოს მისი უნივერსალური თვისებებით ადრეც არაერთხელ უსარგებლია. ესიენისა და **ჯონ ტერის** შეთანხმებული მოქმედება სიურპრიზი არავისთვის ყოფილა.

ლონდონელებს სულ სხვა პრობლემა ჰქონდათ. ლემპარდის მელანქოლიური თამაში მეტოქის კართან მომენტების შესაქმნელად საკმარისი არ იყო. **ჯო კოულმა** კი, რომელსაც მარჯვენა ფლანგი უნდა აეკლო, მთელი პირველი ნახევარი საკუთარ ნახევარზე **იონ არნე რიისესთან** ბრძოლაში გაატარა. თავდასხმაში ეულად დარჩენილ **დიდიე დროგბას** ვერც ის უბამდა მხარს და ვერც თანამემამულე **სალომონ კალუ**. ეს უკანასკნელი უჩვეულოდ ინერტული იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ორმხრივი აქტიურობა იმით უნდა აიხსნას, რომ მწვრთნელებს ოვერტაიმის თავიდან აცილება სურდათ. მასპინძლები უფრო მიზანმიმართულნი იყვნენ. **კრაუჩისა** და **კუიტის** იერიშებისას "ჩელსი" მხოლოდ **პეტრ ჩეხის** საუცხოო რეაქციამ გადაარჩინა. მაგრამ ტაიმის ნახევარი უგოლოდ მიიწურა. მეტოქეებმა, როგორც ჩანს, ირწმუნეს, რომ ოვერტაიმი გარდაუვალი იყო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ლივერპულელთა შემადგენლობაში ჩაბი ალონსოს გამოჩენა და ჯერარდის მარჯვენა ფლანგზე გადასროლა.

მოურინიო თამაშის გამოცოცხლებას ოვერტაიმში შეეცადა. მან სამივე ცვლილება დამატებული დროისათვის შემოინახა და ფლანგები გააქტიურა, მაგრამ უშედეგოდ. სტუმართა ყველაზე სახიფათო მომენტი **შონ რაიტ-ფილიპსის** გამჭოლი გადაცემა იყო, რომელსაც დროგბა ვერ მისწვდა. შეცვლაზე შესული კიდევ ერთი გარემარბი **არიენ რობენი** კი პენალტების სერიის ანტიგმირად მოგვევლინა.

რობენის თანამემამულეებს, რომლებიც ის საღამოს წითელი მაისურებით თამაშობდნენ, უფრო გაუმართლათ. ზენდენმა "ლივერპულის" პირველი 11-მეტრიანი შეასრულა, კუიტმა - ბოლო. ამ ნარინჯისფერ ფონზე მთავარი როლი ესპანელ პეპე რეინას ერგო. მან რობენისა და **ჯერემის** პენალტები მოიგერია.

ბენიტესმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სათასო ფრონტზე ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. მიმომხილველები ფსონს მერსისაიდელებზე დებენ. რატომ? იმიტომ, რომ "ლივერპული" და ევროპა თითქოს ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი.

კიდევ ერთი დეტალი: ორი წლის წინ **ჟოზე მოურინიო** ამბობდა, **ლუის გარსიას** არარსებული გოლი ჩაუთვალესო. სამშაბათს **რაფა ბენიტესსაც** შეეძლო ეთქვა, რომ მის გუნდსაც უსამართლოდ მოექცნენ. დამატებულ დროში პეტრ ჩეხმა ჩაბი ალონსოს დარტყმა გაჭირვებით მოიგერია, დირკ კუიტმა დაამატა და შეაგდო, მაგრამ გვერდიმა მსაჯმა ალამი აღმართა. ალონსოს დარტყმისას კუიტი თამაშგარეში არ იმყოფებოდა. შესაბამისად, გოლი უნდა ჩათვლილიყო. თამაშს მაინც კუიტმა დაუსვა წერტილი.

ტრიბუნაზე კი იმყოფებოდა ერთი ქალბატონი, რომელსაც პენალტებისას სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. ეს ქალბატონი სენიორა **მონტსე ბენიტესი** იყო. რაფამ "რეალს" მეუღლის რჩევით შეუთვალა უარი და ლივერპულში დარჩა. ასე რომ, ენფილდელი გულშემატკივარი ამ ქალბატონთან ვალშია. მატჩის წინ მოურინიომ "ლივერპულს" სათასო გუნდი უწოდა. მერსისაიდელებმა დაამტკიცეს, რომ ჟოზე ცამდე მართალი იყო.

რაფა ბენიტესი: *"მოურინიოს კომენტარებმა ერთ მუშტად შეგვკრა. პრესას ყურადღებით ვეცნობოდით. ჟოზე დიდი მწვრთნელია, მაგრამ ხანდახან სასაცილო განცხადებებს აკეთებს ხოლმე. მგონი, უპატივცემულობა იყო "ლივერპულის" პატარა კლუბად მოხსენიება, მაგრამ რა გაეწყობა? პატარა კლუბისათვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს სამ წელიწადში მეორედ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო საღამოა. ორი წლის წინაც შესანიშნავი საღამო იყო, მაგრამ იმ შედეგის გამეორება, თანაც იმ დროს, როცა შენი მეტოქე "ჩელსია" და პირველი თამაშიც წაგებული გაქვს, განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. ამ გამარჯვებისათვის ყველაფერი გავიღეთ. თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. არა შგონია, ვინმემ თქვას, რომ ფინალში დაუმსახურებლად გავაღწიეთ. მადლობა ფანებს. ისინი თითოეულ წარმატებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ."*

ჟოზე მოურინიო: *"ასეთ დროს ყველას მხნეობა მართებს. ჩემი გუნდით უზომოდ ვამაყობ. ფიზიკურად და მენტალურად იმ მეტოქესაც კი ვაჯობეთ, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ჩემპიონთა ლიგისათვის თამაშობდა. ბევრს საუბრობენ "ენფილდის" ატმოსფეროზე. ჩვენთვის ეს პრობლემა არ ყოფილა. მე საუკეთესო ფეხბურთელები მყავს."*

ბრიტანულმა ბუქმეიქერმა "პედი ფაუერმა" უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. ის ფულს დაუბრუნებს ყველა იმ გულშემატკივარს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში "ჩელსის" გამარჯვებაზე დადო ფსონი. ტურნირის დაწყებამდე ფსონი 5/1 იყო, "ლივერპულთან" თამაშის წინ - 11/8. "არისტოკრატებზე" ხუთი ათასამდე ფანმა დაახლოებით 150 ათასი გირვანქა დადო, მაგრამ თანხას ყველა უკან მიიღებს. პედი ფაუერმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება ასე ახსნა: *"ასეთ თამაშებზე (ლივერპული vs ჩელსი) ფულის გაკეთება ულირსი საქციელია. "ჩელსის" ერთგული გულშემატკივრები "ლივერპულის" პენალტებით გამარჯვების გამო არ უნდა დაისაჯონ."* სამშაბათის მატჩის შემდეგ "ლივერპულის" გამარჯვების შანსი 10/11 შეფასდა. "მილანი"-"მანჩესტერის" წუხანდელ მატჩამდე მილანელთა ფსონი 100/3, ხოლო "მანჩესტერისა" 7/4 იყო.

მოსაზრება

დამნაშავე? ჯერარდი, კარაგერი და... მოურინიო

ჟოზე მოურინიო ტრავმებით, უიღბლობითა და პენალტებით იმართლებდა თავს. ის "ლივერპულს" ზედმეტად ფრთხილი ფეხბურთის თამაშისთვის საყვედურობდა, **რაფა ბენიტესს** კი - მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე კონცენტრაციისათვის. მან "ჩელსისაც" უსაყვედურა პირველ მატჩში ერთი გოლის გატანისათვის, მაგრამ ეს ისე გააკეთა, თითქოს დამნაშავე "ლივერპული" იყო.

მან რამდენჯერმე, უფრო სწორედ, შეძლებისდაგვარად ბევრჯერ შეგვახსენა, რომ ჩემპიონთა თასი მოგებული აქვს, გული კი იმ ფეხბურთელებზე შესტკივა, რომელთაც ეს სიხარული არ განუცდიათ. კითხვაზე, უსურვებს თუ არა "ლივერპულს" წარმატებას, ჟოზემ მიუგო, რომ არა და დასძინა, დიდ პატივს ვცემ იმ გუნდებს, რომელთაც შეიძლება ფინალში შეხვდესო.

მოურინიომ წაგება ისევ ვერ აიტანა. არც უცდია და არც გვიფიქრია, რომ ეცდებოდა. ისიც ვეღარ თქვა, "ლივერპულს" გოლი არ გაუტანიაო. როგორ იტყოდა, როცა საკუთარი ყურით გაიგონა **დანიელ აგერის** დარტყმისას ბადის შერხევის ხმა. მაგრამ ისე ილაპარაკა, თითქოს "ჩელსის" ფინალში თამაშის უფლება ღვთისაგან ჰქონდა ნაბოძები და ეს უფლება უსამართლოდ წაართვეს.

მისი მსჯელობა ცუდ სამსახურს უწევს "ჩელსის" ფეხბურთელებს, რომელთაც იმ საღამოს ეშმაკებივით ირბინეს. **ჯონ ტერი** შეუდარებელი იყო, **დიდიე დროგბა** დაუღლელი, **ფრენკ ლემპარდი** სიდინჯისა და მაღალი კლასის ეტალონი, მოურინიო კი...

მას სურს, მიჩქმალოს სეზონი, რომელიც "ჩელსის" დიდ იმედგაცრუებას ჰპირდება. "არისტოკრატებმა" აპრილის ბოლომდე ოთხ ფრონტზე იბრძოლეს, სანუგეშოდ კი, შეიძლება, მარტო ლიგის თასი შერჩეთ.

დირექტორატთან შერიგების შემდეგ, მისმა გუნდმა ყველაფერი წააგო: პრემიერლიგაში "მანჩესტერ იუნაიტედთან", ჩემპიონთა ლიგაში - ჟოზეს ყველაზე საძულველ მეტოქესთან. აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, მწვრთნელს დათხოვნა არ ემუქრებაო, მაგრამ იქნებ **აბრამოვიჩი** სხვაგვარად ფიქრობს? ის ხომ "ენფილდზეც" კი არ ყოფილა.

მოურინიომ ძალიან დიდი ფული დახარჯა. ამიტომ მისი მუშაობა ჩვეულებრივი სტანდარტებით ვერ შეფასდება. "ჩელსიმ" ასოციაციის თასიც რომ მოიპოვოს, წარუმატებელ სეზონს აღარაფერი უშველის და თუ მაინცდამაინც ლივერპულური მარცხი ვინმეს უნდა, რომ დააბრალოს, მაშინ **სტივ ჯერარდისა** და **ჯეიმი კარაგერისაკენ** უნდა გაიშვიროს ხელი. და კიდევ საკუთარ თავს მოჰკითხოს.

ოლივერ ჰოლტი
დეილი მირორი

ავიაკატასტროფა ლივერპულური მატჩის შემდეგ

"ლივერპული"-"ჩელსის" მატჩის დასრულებიდან ორიოდ საათის შემდეგ კატასტროფა განიცადა ლივერპულიდან აფრენილმა ვერტმფრენმა. "სქაი ნიუსის" ცნობით, მის ბორტზე "ჩელსის" ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ. "არისტოკრატებმა" დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს საგანგებო განცხადება. მასში ნათქვამი იყო, რომ "ჩელსის" დირექტორატის უკლებლივ ყველა წევრი ჯანმრთელადაა და რომ მათ რადარებიდან გაუჩინარებულ ვერტმფრენთან კავშირი არ ჰქონიათ. მეორე დილით კატასტროფის დეტალებიც გახმაურდა. როგორც გაირკვა, ვერტმფრენი "ევერტონის" ერთ-ერთ დირექტორს, 44 წლის **ფილიპ კარტერს** ეკუთვნოდა. ის პიტერბოროში მიფრინავდა. ეკიპაჟთან კავშირი მოულოდნელად გაწყდა. პოლიციამ პატარა ქალაქ უონსფორდთან ჩამოვარდნილი საფრენი საშუალების ფრაგმენტები აღმოჩინა. გუშინ საღამომდე ბორტზე მყოფი ადამიანების ბედი უცნობი იყო.

კარვალიომ სეზონი დაასრულა

რიკარდო კარვალიომ სეზონი დაასრულა. პორტუგალიელმა მცველმა "ბოლტონთან" შაბათის მატჩში მუხლის მყესები დაიზიანა. მას "ლივერპულთან" საპასუხო ნახევარფინალი გაუცდა, ახლა კი გაირკვა, რომ ხანგრძლივ იძულებით შვებულებას გამოიწერს. 28 წლის კარვალიოს პორტუგალიაში გამგზავრების ნება დართეს. მას "პორტუს" ექიმი **ჟოზე მარია ალმეიდა** უმკურნალებს.



ლამისაა, "ბაიერნის" გულშემატკივრებმა ფეხებზე დაიკიდონ ის ფაქტი, რომ მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ დღესდღეობით "ზებენერშტრასეზე" დიდი ალიაქოთია. სხვადასხვა გერმანული გამოცემები რეკორდმაისტერთან მიმართებაში ურთიერთგამომრიცხავ სატრანსფერო ინფორმაციებს ავრცელებენ.

ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

კლოზე და ტონი, სუპერდუეტი მიუნხენში?

ზუდდოიჩე ცაითუნგი გვაუწყებს, რომ მირო ბავარიელებს მოურიგდა, შპორტ ბილდი კი წერს, კლოზე ბარსელონას ირჩევსო; კატალონიელებმა ბრემენელს ოთხწლიანი კონტრაქტი და წლიურად 4 მილიონი ევრო შესთავაზეს...

"გილდი" წერს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომდევნო სეზონში "ბაიერნს" თავდასხმაში სუპერდუეტი ეყოლება. საუბარია **ლუკა ტონისა** და **მიროსლავ კლოზეს** ტანდემზე და თუ მიუნხენელებმა ორივე ფორვარდის შეძენა მოახერხეს, ცხადია, რომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ეყოლებათ. სამშაბათს "ზუდდოიჩე ცაითუნგმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. ხსენებული გამოცემა წერდა, რომ მიუნხენური გიგანტის ხელმძღვანელები უკვე შეუთანხმდნენ კლოზეს, ანუ მისგან დასტურიც მიიღეს.

"ბაიერნმა" კლოზეს ხელმოსაწერად ორი კონტრაქტი დაუდო. პირველის თანახმად, მიროს შეუძლია, მიუნხენში ახლავე გადავიდეს და "ბაიერნთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმოს. ასეთ შემთხვევაში "ვერდერი" ბუნდესთავდამსხმელის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს მიიღებს. მეორე კონტრაქტის თანახმად კი, კლოზე "ბაიერნში" ერთი წლის შემდეგ, უფასოდ გადაბარგდება. ამრიგად, ბავარიელთა მენეჯერი ული ჰიონესი ბრემენული კლუბის ბოსებს გამოსავალს არ უტოვებს - "მუსიკოსები" იძულებულები არიან, კლოზე ახლავე დათმონ, თორემ მომავალ წელს მის სანაცვლოდ ერთ ცენტსაც ვერ მიიღებენ," - წერდა ზემოთ ხსენებული გამოცემა. ამრიგად, "ზუდდოიჩე" ამტკიცებს, გასარკვევი მხოლოდ ისაა, როდის გავა კლოზე "ბაიერნში" და ძალიან დიდი შანსია, რომ ეს ტრანსფერი ზაფხულში განხორციელდესო.

მაგრამ "შპორტ-ბილდმა" გუშინდელ ნომერში აბსოლუტურად საპირისპირო ცნობა გაავრცელა. ჟურნალი სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ კლოზესთვის ნომერ პირველი არჩევანი "ბარსელონაა" და არა "ბაიერნი". "შპორტ-ბილდის" ინფორმაციით, კატალონიელები ისევ გააქტიურდნენ და მეტიც, "ბარსას" გენერალური დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** უკვე დაუკავშირდა მიროს მრჩეველ **ალექსანდერ შიუტს** - კატალონიელები კლოზეს ოთხწლიან კონტრაქტსა და წლიურად 4 მილიონ ევროს სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია გუშინ ესპანურმა გამოცემებმაც გაავრცელეს. ესპანელი ჟურნალისტები გაკვირვებულები არიან იმით, რომ "ბარსა" გერმანელ თავდამსხმელს იმდენად მაღალ ხელფასს სთავაზობს, რომ ეს უკანასკნელი **რონალდინიოს, ეტოოსა** და **დეკუს** შემდეგ გუნდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. კლოზეს სანაცვლოდ "ბარსელონაც" 15 მილიონს იხდის. "შპორტ-ბილდის" ცნობით, შიუტი უკვე ორჯერ ესაუბრა ბეგირისტაინს - ეს უკანასკნელი მიროს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

ამასობაში გერმანიის საფეხბურთო ლიგამ 10 დღის წინათ მომხდარი ფაქტის განხილვა დაიწყო. საუბარია კლოზესა და "ბაიერნის" ხელმძღვანელების საიდუმლო შეხვედრაზე, რომელიც არ დარჩა დაფარული. მიუნხენურმა გუნდმა ამ შეხვედრით ფიფას წესდება დაარღვია, რაკი "ვერდერს" წინასწარ არ აცნობა, რომ მის ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს იწყებდა. საინტერესოა, რა სანქცია დაეკისრებათ ბავარიელებს.

სიახლეა "აიაქსის" ფლეიმეიქერ **ვესლი სნეიდერთან** დაკავშირებითაც. "ბილდის" ინფორმაციით, "ბაიერნი" 22 წლის სნეიდერში, ამსტერდამულ კლუბს 14 მილიონ ევროს სთავაზობს. ამ უკანასკნელის მრჩეველ **სიორენ ლერბის,** თავისი კლიენტისთვის მიუნხენში ბინის ძებნაც კი დაუწყია. ბავარიის მთავარ ქალაქში უკვე სახლს ეძებს **ლუკა ტონიც**. ეს ინფორმაციაც "ბილდმა" გაავრცელა. და კიდევ ერთი რამ: ტონის უთქვამს, შესაძლოა, მე არ ვიყო ერთადერთი იტალიელი, რომელიც "ბაიერნს" მიაშურებსო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რეკორდმაისტერი ლუკას ყოფილ თანაგუნდელს, "პალერმოსა" და იტალიის ნაკრების 26 წლის მცველ **ანდრეა ბარძალისაც** უმიზნებს. როგორც იცით, მიუნხენელებს მინიმუმ ერთი ცენტრალური მცველის შეძენაც სურთ.

გოტფრიდ ლენცი

პეპე რეინა გაჟურდეს

იმ დროს, როცა **პეპე რეინა** "ჩელსის" პენალტებს იგერიებდა, მის სახლს ქურდები ასუფთავებდნენ. ბოროტმოქმედებმა წაიღეს ძვირფასეულობა, "ბენგ ენდ ოლუფსენის" უძვირსაფესი სტერეო სისტემა და რუხი ფეხის "პორშე კაიენი" ესპანური ნომრებით. გამთენიისას პოლიციამ ავტომობილი ტყეში დამწვარი იპოვა. რეინამ მომხდარზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. შარშან პირწმინდად გაქურდეს "ლივერპულის" კიდევ ერთი გოლკიპერის, **იერჟი დუდეკის** სახლიც.

ვერონი ათენში?

ხუან სებასტიან ვერონი, შეიძლება, ევროპაში დაბრუნდეს. არგენტინელ ვეტერანს "პანათინაიკოსი" ეპატიჟება. საბერძნეთში იმყოფება ვერონის მამას, სენიორ **ხუან რამონი**. 1970-იან წლებში ის თავადაც ათენური კლუბის ღირსებას იცავდა. ვერონი-უფროსი ამბობს, რომ მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს და რომ მხარეებმა შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს. "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა. 32 წლის ვერონი არგენტინაში გასულ ზაფხულს დაბრუნდა და "ესტუდიანტესთან" ერთად აპერტურა მოიგო.

ბარტონი სიგიდან მოკვეთეს

"მანჩესტერ სიტიმ" **ჯოი ბარტონი** სეზონის ბოლომდე მოკვეთა. მიზეზი ვარჯიშზე მომხდარი ინციდენტია. ბარტონი **უსმან დაბოს** ეჩხუბა. ფრანგი ლეგიონერი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თანაგუნდელმა მას ყბა მიუნგრია. ჯოის აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი უდანაშაულოა: *"ის მხოლოდ თავს იცავდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბარტონია, უმალ გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა."* შაბათს "სიტი" "მანჩესტერ იუნაიტედთან" საშინაო დერბის გამართავს.

გუნდესლიგა

შტუტგარტიც ღირსია

ლოთარ მათეუსი: ჩემპიონობას შვაბები იზეიმებენ...

შაბათს, მიონხენგლადბახში მიღწეული გამარჯვებით (1:0) "შტუტგარტი" მეორე ადგილზე აღზევდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, გუნდი, რომელსაც სეზონის დაწყებამდე სათვალავში არავინ აგდებდა, ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონობისთვის იბრძვის და უნდა ითქვას, რომ არცთუ ცუდი შანსი აქვს. არავინ ელოდა იმას, რომ **ჯოვანი ტრაპატონის** ხელში დაბეჩავებული შვაბები, მისი წასვლის შემდეგ ასეთ პროგრესს განიცდიდნენ. მით უმეტეს, ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ VFB-ს ჩემპიონობის პრეტენზია გაუჩნდებოდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები სავსებით სამართლიანად ავლებენ პარალელებს 1991/92 წლების სეზონთან - "შტუტგარტს" მაშინაც არავინ აგდებდა სათვალავში, მაგრამ ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახდა. სწორედ იმიტომ, რომ ამას არავინ ელოდა. იმხანად VFB-ს **კრისტოფ დაუმი** წვრთნიდა.

შესაძლოა, აღარ გახსოვთ, რომ ეს სეზონი შვაბენლანდური კლუბისთვის ძალიან ცუდად დაიწყო: ახალდანიშნული მწვრთნელის, **არმინ ფეეს** შეგირდებმა პირველ ტურში "ნიურნბერგთან" საკუთარ მოედანზე 0:3 წააგეს, რის გამოც კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდათ თავს. მეორე ტურში იყო გამარჯვება ბილეფელდში (3:2), რასაც კვლავ სამარცხვინო მარცხი მოჰყვა: 1:3 შინ, დორტმუნდის "ბორუსიასთან". სეზონის პირველ ნახევარში "შტუტგარტმა" ყველაზე არასტაბილური გერმანული კლუბის წოდება მიიღო, ფეე კი, მთელ ბუნდესლიგაში პოსტიდან გათავისუფლების ნომერ პირველი კანდიდატი გახდა. როგორც გამოჩნდა, ამ მწვრთნელს დრო სჭირდებოდა იმისთვის, რომ "შტუტგარტი" სწორ გზაზე დაეყენებინა. გუნდმა თანდათან თამაშის ხარისხიც გააუმჯობესა, რაც სულ მალე შედეგებშიც აისახა. მიუხედავად იმისა, რომ შვაბებს "შალკეზე", "ვერდერსა" და "ბაიერნზე" უარესი შემადგენლობა ჰყავთ, ეს გუნდი მაინც ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია გერმანიაში, რაც, რა თქმა უნდა, მწვრთნელის დამსახურებაა. შესაბამისად, "გოტლბდაიმერშტადიონზე" მაყურებლების რაოდენობამაც იმატა - წარსულს ჩაბარდა ტრაპატონის ხანა, რომლის დროსაც სტადიონის ტრიბუნები ნელ-ნელა ცარიელდებოდა.

VFB საუკეთესო ხუთეულში პირველად მე-9 ტურის შემდეგ მოხვდა და მას მერე ხუთეულს მიღმა ერთხელაც არ ყოფილა. შვაბები მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთხელ ლიდერობდნენ (მე-12 ტურის შემდეგ), თუმცა პირველი ადგილი მაშინვე დაკარგეს. ისიც აღსანიშნავია, რომ მე-19 ტურიდან მოყოლებული, "შტუტგარტი" მუდმივად საუკეთესო სამეულშია, ახლა კი, აგერ მეორე პოზიციაზე აღზევებაც მოახერხა და სეზონის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, ზედიზედ ხუთი მოგებული თამაშის შედეგად, ლიდერ "შალკეს", მხოლოდ და მხოლოდ, 1 ქულით ჩამორჩება. ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შვაბებმა გერმანიის ფინალშიც გააღწიეს, სადაც 26 მაისს "ნიურნბერგს" დაუპირისპირდებიან, იმ "ნიურნბერგს", რომელთანაც ამ სეზონში ორივეჯერ დამარცხდნენ (0:3, 1:4). ასე რომ, VFB-ს ამ სეზონში არც მეტი, არც ნაკლები, დუბლის შესრულება შეუძლია და მერსედესის ქალაქშიც სწორედ ამაზე ოცნებობენ.

მაინც, რატომ გახდა "შტუტგარტის" გაჩემპიონება რეალური? დღეს მთელი გერმანია ამაზე ბჭობს.

დავიწყოთ იმით, რომ ეს გუნდი წარმოუდგენლად მონდომებული და მოტივირებულია. იგივე ითქმის ხელმძღვანელებზეც - პრეზიდენტ **ერვინ შტაუდტზე,** მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტსა** და მწვრთნელ ფეეზე, რომლებსაც არასდროს არაფერი მოუგიათ და ამის გამო ძალიან დამშეულები არიან, ისევე, როგორც თითოეული ფეხბურთელი. ფეეს სამწყსოს ხალხის თვალში უფრო სიმპათიურს ხდის ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ასეთი შანსისა, ფეხბურთელები მაინც არ იქადნებიან, ჩემპიონები გავხდებითო. *"ჩვენ მხოლოდ მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობთ ხოლმე, არ გვაინტერესებს, რას იზამენ კონკურენტები და არც ის, როგორი კალენდარი გვაქვს. მთავარია, ვიცოდეთ, ვის ვხვდებით მომდევნო ტურში,"* - ამბობს **თომას ჰიტცლშპერგერი,** შვაბთა ერთ-ერთი ლიდერი.

ამასთან, არც ერთი სხვა გერმანული კლუბი არაა ისეთ კარგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კონდიციაში, როგორც ფეეს გუნდი. რაც იმის ბრალიცაა, რომ "შტუტგარტს" ყველაზე ახალგაზრდა გუნდი ჰყავს - ფეეს სამწყოს საშუალო ასაკი 24 წელია. მწვრთნელი ამბობს, ჩემი შეგირდები ინტელიგენტები არიანო და იქვე ამატებს: *"თუკი 34-ე ტურის შემდეგ პირველ ადგილზე აღმოვჩნდებით, ეს სულაც არ იქნება მოულოდნელობა."*

"ამ გუნდში აბსოლუტური ერთსულოვნებაა. "შტუტგარტი" ერთ მუშტადაა შეკრული, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ სათადარიგო ფეხბურთელები ზუსტად ისევე ქომაგობენ თავიანთ თანაგუნდელებს, რომლებიც მათთვის კონკურენტები არიან, როგორც თავგადაკლული გულშემატკივრები. როცა ამ ყველაფერს ვხედავ, ვხვდები, რომ გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა," - აცხადებს ექს-შტუტგარტელი მსოფლიოს ჩემპიონი **გვიდო ბუხვალდი**.

და რაც ყველაზე მთავარია: გადაავლეთ თვალი ბუნდესლიგის სატურნიროცხრილის მოწინავე ტრიოს დარჩენილ შეხვედრებს - "შტუტგარტს" ყველაზე იოლი კალენდარი აქვს! მომდევნო ტურში შინ "მაინცთან", მერე ბოხუმში, ბოლოს კი ისევ საკუთარ მოედანზე "კოტბუსთან" - სამივე მატჩის მოგება თავისუფლად შესაძლებელია. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ "შალკე" 33-ე ტურში დორტმუნდში ჩადის. სწორედ ამიტომ, ლეგენდარულ **ლოთარ მათეუსს** მიაჩნია, რომ გერმანიის ჩემპიონი წელს არა "შალკე" ან "ვერდერი", არამედ "შტუტგარტი" გახდება!

გოტფრიდ ლენცი

შალკეს, შტუტგარტისა და ვერდერის დარჩენილი მატჩები

შალკე, პირველი ადგილი, 62 ქულა
ნიურნბერგი (შინ)
დორტმუნდი (სტუმრად)
არმინია (შინ)

შტუტგარტი, მეორე ადგილი, 61 ქულა
მაინცი (შინ)
ბოხუმი (სტუმრად)
კოტბუსი (შინ)

ვერდერი, მესამე ადგილი, 60 ქულა
ჰერტა (სტუმრად)
აინტრახტი (შინ)
ვოლფსბურგი (სტუმრად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

მოახდენს ვერდერი სასწაულს?

ბრემენელებს სამბურთიანი ჩამორჩენა არაერთხელ ამოუძაჩავთ...

დღეს უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩებია. "ვერდერი" "ესპანიოლს" მასპინძლობს და ფინალში გასასვლელად სასწაული სჭირდება - პირველი მატჩი "ბრემენელმა მუსკოსებმა" კატალონიაში, ყველასთვის მოულოდნელად, 0:3 დათმეს. მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში კი, უეფას თასის მოქმედი გამარჯვებული, "სევილია" შეეცდება, რომ ფავორიტის როლი გაამართლოს და მიუხედავად ერთი კვირის წინათ განცდილი მარცხისა (0:1), "ოსასუნას" ისეთი ანგარიშით მოუგოს, რომელიც ანდალუსიელებს გლაზგოს ბილეთს დაუჯავშნის.

ვერდერი–ესპანიოლი

პირველი მატჩი 0:3

ბრემენელები სიმწრით იხსენებენ ერთი კვირის წინანდელ მატჩს, რომელშიც ისინი მთელი ევროპის თვალწინ შერცხვნენ. "ვერდერისთვის" ყველაზე მტკივნეული ისაა, რომ ის 0:3 აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი იყო, რადგან თომას შააფის გუნდმა ბარსელონაში, რბილად რომ ვთქვათ, საზიზღრად ითამაშა. ამას ისიც ემატება, რომ წითელი ბარათი მიიღო და საპასუხო მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია "მუსიკოსთა" პირველი მეკარე **ტიმ ვიზე**. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ბრემენელები სასწაულს მოახდენენ და ფინალში გავლენ, იქ ვიზე აუცილებლად ეყოლებათ.

თუმცა შანსი იმისა, რომ "ვერდერმა" სამბურთიანი ჩამორჩენა ამოქაჩოს, ძალიან მცირეა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაობა ძალიან დიდია - "ვერდერს" გოლების გატანა ეხერხება - არა, საქმე ისაა, რომ დღესდღეობით შააფის გუნდში ძალიან ქაოტური მდგომარეობაა. ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო გასულ უქმეებზე განცდილი მარცხი "არმინიასთან", რამაც "მუსიკოსებს" ბუნდესლიგაში გალიდერების შანსი დააკარგვინა და მესამე ადგილამდე ჩამოაქვეითა. ამ წაგებამ ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი გუნდი კიდევ უფრო გატეხა. ამას დაუმატეთ დაუმთავრებელი დისკუსია **მიროსლავ კლოზეზე** და უპასუხო კითხვები: მიდის? რჩება? თუ მიდის, სად? ასევე **ტორსტენ ფრინგსის** შემთხვევაა, რომელსაც "იუვენტუსისკენ" მიუწევს გული. ანაც ვიზეს უკმაყოფილება, რომელიც გასული უქმეების შემდეგ შააფს იმის გამო შემოსწყრა, რომ ამ უკანასკნელმა "არმინიასთან" მის ნაცვლად კარში **რაინკე** ჩააყენა. მოკლედ, "ვერდერი" უმძიმეს ვითარებაშია.

"რა თქმა უნდა, შევუტევთ, მაგრამ წინასწარ რამის თქმას აზრი არა აქვს. უკვე ძალიან დიდი ხანია, ჩვენი თამაში აღარ გვიჩვენებია. ბოლოს და ბოლოს, ამას წერტილი ოდესმე ხომ უნდა დაესვას? იმედი მაქვს, რომ ეს "ესპანიოლთან" მოხდება," - აცხადებს "მუსიკოსთა" მენეჯერი **კლაუს ალოფსი**. თუმცა "ვერდერს" სასწაულების მოხდენა სჩვევია: 0:3-ის შემდეგ 5:0 ბუქარესტის "დინამოსთან" (1988 წელს); 1:4-ის შემდეგ 6:2, დამატებით დროში მოსკოვის "სპარტაკთან" (1987); 5:3 "ანდერლეხტთან", 1993 წელს ("ვერდერი" იმ მატჩში 0:3-ს აგებდა); 0:3-ის შემდეგ 4:0 "ლიონთან" (1999).

ბრემენელებს ისიც აიმედებთ, რომ "ესპანიოლს" დღეს წამყვანი ფეხბურთელები არ ეყოლება. უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირი **ვალტერ პანდიანი** (11 გოლი) დისკვალიფიცირებულია, გამთამაშებელი **ივან დე ლა პენია** კი, რომელიც პირველ შეხვედრაში შეუჩერებელი იყო, ტრავმირებული გახლავთ. ამას ისიც ემატება, რომ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში "ესპანიოლმა" "სევილიასთან" მარცხი იწვნია (1:3).

"მძიმე 90 წუთი გველის. ეს საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ერთმა გუნდმა სამი გოლის გატანა შეძლოს. ამტომაც, დიდი სიფრთხილე გვმართებს. "ვერდერი" უკანმოუხედავად შემოგვიტევს. ჩვენც მზად ვართ, თავი დავიცვათ," - აცხადებს კატალონიელთა დამრიგებელი **ერნესტო ვალვერდე**.

საპარაუდო შემადგენლობები

ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, პასანენი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ბაუმანი (ან როზენბერგი), დ. იენსენი, დიეგო, კლოზე, ჰანტი.

ესპანიოლი: ირაისოსი, დავიდ გარსია, ხარკე, ლაკრუსი, ჩიკა, რიერა, მოა, ედუარდო კოსტა, რუფეტე, რაულ ტამუდო, ლუის გარსია.

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი).

სევილია–ოსასუნა

პირველი მატჩი 0:1

"სევილია" დღევანდელი მატჩისთვის უდიდესი მონდომებით ემზადებოდა. ანდალუსიელები ყველაფერს იღონებენ, რომ ფინალში გავიდნენ. იმაზე თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთავარი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** ამ შეხვედრას, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მან პრიმერადივიზიონის ბოლო მატჩში (ესპანიოლთან) ერთბაშად შვიდი წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა: **ფრედერიკ კანუტე, ადრიანო კორეია, რენატო, ლუის ფაბიანო, ანდრეას ჰინკელი, ნავარო** და **ესკუდე**. მიუხედავად ამისა, ანდალუსიელებმა "ესპანიოლს" მაინც მოუგეს (3:1). ესპანეთის ჩემპიონატისა და უეფას თასის გარდა, "სევილიას" სამეფო თასის მოგებაც შეუძლია და სამივე ფრონტზე რომ იმარჯვოს, პირველი ესპანური კლუბი იქნება, რომელიც ჰეთ-თრიკს შეასრულებს.

პირველ შეხვედრაში "ოსასუნას" გამარჯვება **რობერტო სოლდადოს** გოლმა მოუტანა. დღეს პამპლონელებს სწორედ ეს ფეხბურთელი არ ეყოლებათ - 22 წლის ფორვარდმა წინა მატჩში მესამე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია.

საპარაუდო შემადგენლობები

სევილია: პალოპი, კასტედო, ხავი ნავარო, ესკუდე, ჰინკელი, პუერტა, პოულსენი, რენატო, დანიელ ალვეში, კანუტე, კერჯაკოვი.

ოსასუნა: რიკარდო, კორალესი, კრუჩაგა, კუელარი, ისკუერდო, დავიდ ლოპესი, პუნალი, ნეკუნამი, რაულ გარსია (ან მილოშევიჩი), ხუანფრანი, ვებო.

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი).

ერთი კითხვა ჩელსის ფეხბურთელებს

მე რომ გეი ვიყო...

ტერი ლემპარდს ირჩევს, ბალაკი მოურინიოს, მაგრამ უმრავლესობას კუდიჩინი ურჩევნია...

დაგიწერიათ ოდესმე თავისუფალი თემა სათაურით "მე რომ ჰომოსექსუალისტი ვიყო"? ალბათ, არა! ამგვარი თემის დაწერა არა, მაგრამ ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელებს კითხვაზე "ვის ავირჩევდი, გეი რომ ვიყო", პასუხების გაცემა მოუხდათ. ეს სახალისო გამოკითხვა ლონდონური კლუბის არხმა ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა უცნაურ თემაზე საუბარი არ იუკადრისეს...

ჯონ ტერი: *"წარმოდგენა არა მაქვს! თქვენს გამოკითხვაში ალბათ კარლო (კუდიჩინი) ლიდერობს, მაგრამ მე მას არ ავირჩევდი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ "ჩელსი" ყველაზე ლამაზი და სექსუალური ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული (იცინის). მე ალბათ მაინც ლემპსის (ფრენკ ლემპარდს) ავირჩევდი. ფრენკი გოგონებს ძალიან მოსწონთ. ცისფერი რომ ვიყო, ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ლემპარდი მომეწონებოდა."*

ეშლი კოული: *"ყველაზე სექსუალური გუნდში მე ვარ. არავის დავასახელებ!"*

ფრენკ ლემპარდი (დაუფიქრებლად): *"კარლო კუდიჩინი! გუნდში ბევრი მახინჯი გვყავს (იცინის), მაგრამ კარლო ყველაზე ნაკლებად მახინჯი კაცია."*



ხალიდ ბულარუზი: *"კარგი კითხვაა. ალბათ კარლო კუდიჩინის ავირჩევდი. მას ყოველთვის ყველაზე ელეგანტურად აცვია და შესანიშნავად გამოიყურება."*

დიდიე დროგბა: *"არ ვიცი. შეიძლება, არჩევანი რიკარდო კარვალიოზე შემეჩერებინა..."*

მიხაელ ბალაკი: *"ჟოზე მოურინიო!"*

პეტერ ჩეხი: *"ალბათ კარლო კუდიჩინი."*

ჯო კოული (ნერვიულად): *"არ ვიცი, რა გიპასუხოთ, წარმოდგენა არა მაქვს. ამაზრზენი კითხვაა!"*

კარლო კუდიჩინი: *"მე ჯონ ტერის ავირჩევდი. ტიპური ინგლისელია, ნამდვილი ვაჟკაცი (იცინის)."*

ვალენსია

დავიდ ვილია კლუბის ერთგულია

ღამურების საუკეთესო ფორვარდს ჩელსიში გადაბარგება არ სურს



შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ესპანელი ფორვარდის "სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგება გასაკვირი სულაც არ იქნება. ამიტომ "ღამურების" გულშემატკივრებს საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვის აუტანელი შიში გაუჩნდათ. მითქმა-მოთქმამ იმდენად მასშტაბური ხასიათი შეიძინა, რომ ვილია იძულებული გახდა, საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა: *"ინჩასებს მოვუწოდებ, მშვიდად იყვნენ. საერთოდ არ მაინტერესებს, რომელ გუნდს სურს ჩემი ხელში ჩაგდება - "ჩელსის" თუ "ბარსელონას". "მესტალიაზე" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჩემს გუნდთან 2013 წლამდე მაქვს კონტრაქტი გაფორმებული. მის დარღვევას ნამდვილად არ ვაპირებ. დოკუმენტზე ხელის მოწერისას ვფიქრობდი, რომ "ვალენსიაში" მრავალ წელს გავატარებდი. სხვათა შორის, მოსაზრება არ შემიცვლია. ამ გუნდმა მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ ფეხბურთელად მაქცია. ასე რომ, სადარდებელიც არაფერია."*

რეპორტაჟით, "ჩელსის" **დავიდ ვილიას** გადაბარების სურვილი გაუჩნდა. **რომან აბრამოვიჩი** ფულს, რა თქმა უნდა, არ დაიშურებს. მისი ფინანსური

მწვრთნელი

ლაუდრუპი პრიმერა დივიზიონში მიდის

გუშინ **მიქაელ ლაუდრუპმა** ბრიტანულ "სქაი სპორტს" მოკლე ინტერვიუ მისცა. გაირკვა, რომ ლეგენდარული დანიელი ესპანეთში სამუშაოდ წასასვლელად ემზადება: *"და ზუსტებით შემიძლია მოგახსენოთ, სამწვრთნელო კარიერას პრიმერა დივიზიონში გავაგრძელებ. ლა ლიგის ათი კლუბის შემოთავაზება მაქვს. ყველა ვარიანტს კარგად ავწონ-დავწორი და ყველაზე საინტერესო წინადადებას დავთანხმდები."*

ესპანელი მიმომხილველების ვარაუდით, ლაუდრუპი "ხეტაფეს" ჩაიბარებს. ცნობილია, რომ მადრიდელთა ამჟამინდელი დამრიგებელი **ბერნდ შუსტერი** სამეფო კლუბში გადაბარგდება. იმ შემთხვევაში, თუ "რეალის" პრეზიდენტ, **რამონ კალდერონისა** და შუსტერის სიტყვიერი შეთანხმება ოფიციალურ დოკუმენტად არ გადაიქცევა და გერმანელი კვლავ "ხეტაფეში" დარჩება, ლაუდრუპი "დეპორტივოს" ან "რეკრეატივოს" გაწვრთნის.

ბარსელონა

დეკუ თვალთმაქცობს?

პორტუგალიელი ვარსკვლავის მენეჯერი ინტერის ბაზაზე ნახეს

რამდენიმე კვირის წინათ გამცნეთ, რომ "ინტერს" **დეკუს** გადაბირების სურვილი ამოძრავებს. პორტუგალიელმა ფორვარდმა კი "ბარსელონის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში განაცხადა - იტალიელებს პატივისცემისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ, მაგრამ მე "ბარსელონაში" დარჩენა მსურსო. ანდერსონ დე სოუზამ კატალონიური გრანდისადმი ერთგულება პირნეული გაზეთების კორესპოდენტებთან საუბარშიც არაერთხელ გამოხატა...

ყველამ ირწმუნა, რომ დეკუს "კამპ ნოუს" დატოვება მართლაც არ უნდოდა, მაგრამ გუშინ **ლუიშ ფიგუს** მოსანახულებლად მილანში ჩასული "დიარიო ასის" ჟურნალისტი "ნერაძურის" ბაზაზე დეკუს მენეჯერს გადაეყარა. ჩვენმა კოლეგამ გაარკვია, რომ **ჟორჟე მენდეში** დღეს "ინტერის" მეპატრონეს, **მასიმო მორატის** პირადად შეხვდება. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია ინტერნეტგამოცემების საშუალებით თვალის დახამხამებაში გავრცელდა. "დიარიო ასმა" დეკუს საზოგადოების საქმეში გარკვევა სთხოვა. აი, რა განაცხადა "ბარსას" ვარსკვლავმა: *"მენდესი ჩემი მენეჯერია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის სხვა ფეხბურთელების აგენტიცაა. წარმოდგენა არ მაქვს, რა მიზნით გაემგზავრა მილანს. შესაძლოა, საქმე რომელიმე სხვა ფეხბურთელს ეხება. ყოველ შემთხვევაში, მე გარკვევით და გულწრფელად ვამბობ, რომ "ბარსელონაში" დარჩენა მსურს. გუშინ ხოან ლაპორტა შემხვდა. მასაც იგივე ვუთხარი. მერწმუნეთ, პრეზიდენტს არ მოვატყუებ."*

დეკუს განცხადების მიუხედავად, იტალიურ პრესაში მთელი სერიოზულობით წერენ, რომ მორატის ტრანსფერის გაჩარხვის რეალური შანსი გაუჩნდა. იტალიელმა ნავთობმაგნატმა 75 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ამ თანხის 20 პროცენტს უშუალოდ ანდერსონ დე სოუზა მიიღებს. დაგვითანხმებით, 15 მილიონ ევროზე უარის თქმა ყველას არ შეუძლია. გამორიცხული არ არის, დეკუ მართლაც თვალთმაქცობდეს.

ინტერი VS იუვენტუსი. სამშვიდობო გეგმა

ინტერი: იუვესთან გასაყოფი აღარაფერი გვაქვს

მანჩინი დიდ საფრთხეს ხედავს იმ ხალხში, ვინც ინტერსა და იუვეს შორის დაპირისპირებას ხელოვნურად აღვივებს...

"ინტერში" ახალი ერა იწყება, "იუვენტუსთან" ურთიერთობების დათბობის ერა. საქმე ისე კი არაა, თითქოს "ნერაძურის" ომი ჰქონდა გაჩაღებული თავის ისტორიულ მეტოქესთან, მაგრამ "კალჩოპოლის" სკანდალის შედეგები ორი გუნდის ურთიერთობისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა: **მორატი** და **მანჩინი მოჯისა** და **ჯირაუდოს** წინააღმდეგ, და არა მხოლოდ. 2006 წლის სკუდეტოს "იუვენტუსისთვის" ჩამორთმევამ და "ინტერისთვის" გადაცემამ ისეთი დაპირისპირება და პოლემიკა წარმოშვა, რომ ერთი წელი გავიდა და სიმძაფრე ისევ არ დაუკარგავს. გასულ დღეებში **პაველ ნედვედმა** თქვა, აუტანელი სანახაობა იყო, როცა ვუყურებდი **ვიეირა** და **იბრაჰიმოვიჩი** "ინტერის" მაისურით სკუდეტოს რომ ზეიმობდნენო. ტიფოზერიებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: იუვენტინოები **ჯანლუიჯი ბუფონს** ქუჩაში აჩერებენ და ეუბნებიან, თუ მაინც და მაინც უნდა წახვიდე, მაშინ სადაც გინდა იქ წადი, ოღონდ "ინტერში" არაო. ამასწინათ, მასიმო მორატი თავის ოფისთან ახლოს, ერთ-ერთი კაფეს ჰოლში ჟურნალისტებთან სახელდახელო პრესკონფერენციას აწყობდა, როცა "იუვენტუსის" ტიფოზი შენობაში შეიჭრა და "ინტერის" პრეზიდენტს შეურაცხმყოფელი ჟესტი აჩვენა, მერე კი სიტყვიერადაც გალანძღა. მაგრამ ეტყობა, დადგა დრო, როცა ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს, დაპირისპირების ფრონტი უნდა მოიხსნას და დაიწყოს ახალი, დაძაბულობის განმუხტვის ერა. ინიციატორი იტალიის ჩემპიონი "ინტერია".

22 აპრილს "ინტერი" ჩემპიონი გახდა. რამდენიმე საათის შემდეგ პრეზიდენტმა მორატიმ შერიგებაზე პირველი სიტყვა ჩამოაგდო. ორშაბათს მეპატრონის სამშვიდობო გეგმა მანჩინიმ განავრცო. მანჩინი მოჯის "იუვენტუსის" დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ამ "იუვეს" მიმართ, რომელიც ჯერ ისევ სერია B-შია, მაგრამ რამდენიმე კვირაში A-ში იქნება, რამდენიმე თვეში კი, თუკი ერთი-ორი მეგატრანსფერი სრულჰყო, ეცდება, რომ მანჩინის ჩემპიონის ტიტულიც წაართვას. "ინტერის" მწვრთნელი მაქსიმალური პატივისცემით ეპყრობა დღევანდელ "სინიორას", რომელიც სრულიად განახლდა და მზადაა, მაღალი მიზნებისთვის პატიოსნად და თანასწორი კონკურენციის პირობებში იბრძოლოს. მოკლედ, "იუვე" ბრუნდება და დაძაბულობა ახლავე უნდა განიმუხტოს, თორემ ვინ იცის, მომავალ სეზონში რაში გადაიზრდება. მანჩინის ეს ყველაზე უკეთ ესმის და ამიტომაც იყო, რომ "იუვენტუსს" ორი დღის წინათ შერიგების ხელი გაუწოდა. აი, რა განუცხადა მანჩომ იტალიურ ტელევიზიებს: *"ზოგიერთებს უნდათ, რომ "ინტერი" და "იუვენტუსი" ერთმანეთს მოედნის მიღმა დააპირისპიროს, დაძაბულობა გააღვივოს და აქედანვე ხელოვნურად შექმნას პირობები იმისთვის, რომ მომავალ სეზონში ორ კლუბს შორის არაჯანსაღი პოლემიკა გაიმართოს და გარკვეულ ინცინდენტებშიც გადაიზადროს. ჩემი აზრით, ასეთი დამოკიდებულება ძალიან სახიფათოა და ის ყველასთვის მიუღებელი უნდა იყოს. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ "იუვენტუსს", რომელიც თამაშს თამაშზე იგებს და სერია A-ში ბრუნდება. მაგრამ ჩვენი დაპირისპირება მომავალ სეზონში იქნება ისეთი, როგორიც ღირსეულ გუნდებს ეკადრებათ – ვაჟკაცური და ყოველგვარი ღვარძლის გარეშე. ამაში დარწმუნებული ვარ თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის სრულიად ახალი "იუვე", რომელთანაც გასაყოფი და საკამათო არაფერი გვქონია. "ინტერმა" ძველი "იუვენტუსის" სკუდეტო მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ასე იყო გათვალისწინებული სპორტის კანონებით: ვინც თაღლითობს, აქვეითებენ, პირველ ადგილზე კი გადადის ის, ვინც მეორეზე პატიოსნად გავიდა. მსგავს თემებზე ჩემი აზრი უკვე არაერთხელ გამოვხატე, ახლა კი მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდა: არ არსებობს არანაირი პირობა იმის სათქმელად, რომ "ინტერი" და "იუვენტუსი" ერთმანეთს ომს გაუმართავენ. ვინც ამას ამბობს, ცეცხლს ეთამაშება. მომავალ წელს ჩვენი თამაში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი და დიდი სანახაობა იქნება."*

მორატიმ და მანჩინიმ აქამდეც გამოხატეს თავიანთი აზრი მომავალ სეზონზე და იმის შესაძლებლობაზე, რომ "იუვენტუსი" სერია A-ში აღზევებისთანავე ჩაერთოს სკუდეტოსთვის ბრძოლაში. *"თუკი ხელმძღვანელობა სატრანსფერო კამპანიისას გარკვეული სიდიდის ინვესტიციებს გაიღებს, გუნდი შეიძლება, სეზონის დასაწყისშივე ჩემპიონობის პრეტენდენტად იქცეს, რადგან შემადგენლობაში უკვე ჰყავს რამდენიმე უძლიერესი ფეხბურთელი",* – თქვა "შავლურჯთა" მწვრთნელმა. პრეზიდენტი მორატი თავის განცხადებაში კიდევ უფრო თამამი იყო: *"იუვე" თავიდანვე ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება, რადგან დიდი კლუბია და აქვს დიდი ტრადიციები. თუმცა, სატრანსფერო კამპანიაზეც ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული: თუ დიდ ფეხბურთელებს შეიძენს, ჩემპიონობაზე პრეტენზია პირველივე ტურიდან ექნება."*

გოგა ახალაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ლუკარელი ინტერს სიყვარულში გამოუცხადა

მემარცხენე თავდამსხმელი ლონდონურ უნივერსიტეტში მიიწვიეს, კრისტიანომ მორატის კომპლიმენტებს უპასუხა, ლივორნოს პრეზიდენტი ბომბარდირს 5 მილიონად აფასებს...

კრისტიანო ლუკარელი "ლივორნოს" სეზონის ბოლოს დატოვებს. ეს უკვე გადაწყვეტილია. "ლივორნოს" 31 წლის კაპიტანი, სიმბოლო და ბომბარდირი ტიფოზებზე ნაწყენია და გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. წინადადებები ძალიან ბევრი აქვს და არა მხოლოდ საფეხბურთო კლუბებისგან. ორშაბათს ლუკარელი ლონდონის University College-ში ჰყავდათ მინვეული, სადაც 300 სტუდენტის წინაშე ისაუბრა. ლივორნო კომუნისტური მიდრეკილებების ქალაქია, ლუკარელი კი, როგორც ჭეშმარიტი ლივორნოელი, მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებებითაც არის ცნობილი და უცხოელებისთვის საინტერესო. შარშან თავდამსხმელი ერნესტო ჩე გევარას ქალიშვილს შეახვედრეს. ახლა ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ საჯარო უნივერსიტეტში მიიწვიეს. მის ლონდონურ ვოიაჟს "გაძეტა დელო სპორტმა" სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

ერთი თავდამსხმელი ევროპის გარშემო მოგზაურობს. მისი სახელი და გვარია კრისტიანო ლუკარელი, 31 წლის. თამაშობს "ლივორნოში", ორშაბათს ლონდონში იყო, მალე მილანში იქნება. და ალბათ, "ინტერის" მაისურას ჩაიცვამს. თუმცა ერთი მაისურა უკვე ნაყიდი ჰქონდა და ის მილიარდი, შეიძლება, უფრო მეტიც დაუჯდა. ის მაისურა შინდისფერია, ლამაზი ფერის. მაგრამ ისე ჩანს, რომ ახლა იყიდება – არა მაისურა, არამედ თვითონ თავდამსხმელი, ანუ მთელი თავდასხმა. ალდო სპინელიმ, "ლივორნოს" პრეზიდენტმა, საწყისი ფასი უკვე დაასახელა: 5 მილიონი ევრო. მაისურა კი 99 ნომერია. *"ისე, როგორც გოლების რაოდენობა, რომელიც "ლივორნოში" გაიტანა. და თუ ის წავა, ორი ალტერნატივა გვრჩება. ინტერისტები გავხდეთ? არა, ჯიბეები უნდა მოვიქექოთ და მთელი "ლივორნო" ვიყიდოთ".* ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ პაოლო დე მარტინო, მატეო მონკადა და ვანესა ფერუცი, ინგლისში მცხოვრები ლივორნოელები, სულით უტეხი ხალხი. ყურადღებით, ამ ხალხს ხუმრობა არ უყვარს. სამივე ლონდონის University College-ში მუშაობს, მათთან ერთად კიდევ სამასი კაცი იქნება, მეტი აუდიტორიაში აღარ ეტევა. აუდიტორიის სტუმარი კრისტიანო ლუკარელია. თავდამსხმელს ბოლო დროს ხშირად აქვს მიწვევები. ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ საჯარო უნივერსიტეტში სასაუბროდ ის პროფესორმა ჯონ ფუტმა (John Foot) მიიწვია. ჯონ ფუტი იტალიის ისტორიის დოცენტია, დაწერილი აქვს ძალიან საინტერესო წიგნი იტალიურ ფეხბურთზე ("კალჩო"), მისი ბაბუა ჰაიგეითზე, კარლ მარქსის ლონდონური საფლავის გვერდით არის დაკრძალული. უკეთეს მოსაუბრეს სად ნახავ?

პატივისცემა მორატის მიმართ. მეორე მიწვევა მილანიდან აქვს. იქ მასიმო მორატი ეპატიჟება – იტალიის ჩემპიონი "ინტერის" პრეზიდენტი, მენავთობე, პოლიტიკურად სოლიდარული პიროვნება. კვირას მორატიმ თქვა: *"ლუკარელი "ინტერში" მინდა, დიდი ფეხბურთელია, ყოველთვის დიდი იყო. ყოველ წელს 20 გოლი გააქვს, მითხარით, არ არის "ინტერის" ღირსი?".* ლუკარელი ლონდონიდან პასუხობს: *"მოხიბლული ვარ პრეზიდენტ მორატის სიტყვებით, ვალიარებ, რომ ცდუნება დიდი მაქვს. ის ნამდვილი სინიორია, ერთ-ერთი იშვიათთაგანი, ვისაც საფეხბურთო სამყაროში მართლა ვაფასებ".* როცა ამ სიტყვებს ამბობს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ურთიერთპატივისცემა წითელ თავდამსხმელსა და "წითელ" მენავთობეს შორის "ინტერში" შეხვედრით შეიძლება დასრულდეს. ლუკარელი განაგრძობს: *"ეს გულწრფელი კომპლიმენტებია. სხვა პირობებზე ჩემი შეფასება სხვანაირი იქნებოდა. მორატისადმი პატივისცემა დიდი ხნის წინათ ჩამომიყალიბდა".* შთაბეჭდილება მყარდება, წინათგრძნობა ძლიერდება: ლუკარელი "ინტერში" ითამაშებს.

გადარჩენამდე. შეიძლება, უკვე ყველაფერი შეთანხმებული აქვთ კიდეც, მაგრამ ამ ეტაპზე ლუკარელისთვის მთავარი სხვა არის. *"სიმართლე ითქვას, ჯერჯერობით, არანაირი ოფიციალური კონტაქტი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან არავინ მოსულა",* – განმარტავს კარლო პალავიჩინო, კრისტიანოს აგენტი. *"ამ მომენტში მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ "ლივორნოს" გადარჩენაში დავეხმარო. დანარჩენი მერე გამოჩნდება",* – დასძენს ლუკარელი. მერე გამოჩნდება. მანამდე კი პალავიჩინო ლონდონურ აუდიტორიას უხსნის, რას ნიშნავს ლუკარელი ლივორნოსთვის: *"მეგონა, რომ კრისტიანოს ლივორნოში დაბრუნება (ოთხი სეზონის წინ) სულ ია-ვარდით იქნებოდა მოფენილი, მეგონა, რომ ისევე იქნებოდა, როგორც მარადონა "ბოკა ხუნიორსში" დაბრუნების შემდეგ. სინამდვილეში სხვანაირად მოხდა: ლივორნოელების მადლიერების მოპოვება თამაშიდან თამაშამდე, გოლიდან გოლამდე მოუხდა. თავის დროზე იგივე აღმოაჩინა ლივორნოელებში მოდილიანიმაც, ლივორნო არაფერს ივიწყებს, არავის პატიობს".*

ინტერი ჩემი სიყვარული. ლუკარელი ღიმილით ამბობს: *"ბავშვობაში ყოველთვის "ლივორნოს" ვქომაგობდი. მაგრამ ისე, როგორც ყველას, მეც მყავდა "მეორე" გუნდი, იმიტომ, რომ ჩვენ მაშინ სერია C2-ში ვიყავით და სერია A-ს გუნდებს მხოლოდ ტელევიზორში ვხედავდით".* კითხვა აუდიტორიაში: ის მეორე გუნდი რომელი იყო? *"ამის ახლა თქმა მლიქვნელობა გამომივა... თუმცა, ვიტყვი: "ინტერი". მაგრამ პირველი მაინც "ლივორნოა". არ ვიცი, მომავალში სად ვიქნები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ "ლივორნოსთვის" ყველაფერი გავაკეთე. არ ვიცი, მივიღე თუ არა სანაცვლოდ იგივე".* აუდიტორიის დიდ ეკრანზე ერთმანეთს ფოტოები ცვლის: კანავარო მსოფლიო თასით ხელში, ლუაჩანო მოჯი განუყრელი მობილურით, სილვიო ბერლუსკონი ბანდანით საკუთარ ვილაში. ბოლო ფოტო: "ლივორნოს" ტიფოზები დიდი ტრანსპარანტით – Hasta Cristiano. Siempre.

გოგა ახალაძე

როი კინი ტრანსფერებს იწყებს

"სანდერლენდის" თავკაცი **როი კინს** ინგლისის ნაკრების თავდამსხმელ **დევიდ ნაჯენტის** შეძენა სურს. პრემერლიგაში აღზევებული "შავი კატები" მზად არიან, პრესტონელ ფორვარდში 6 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. ნაჯენტმა ამ სეზონში 17 გაიტანა (მათ შორის, გამარჯვების გოლი "სანდერლანდთან" პირველი წრის შეხვედრაში). მისი კონტრაქტი ერთ წელიწადში იწურება. დევიდს "ევერტონი", "მიდლსბრო" და "შეფილდ იუნაიტედიც" ეპატიჟებიან. ნაჯენტმა ნაკრებში სადებიუტო მატჩი ანდორელთა წინააღმდეგ ჩაატარა და გოლი შეაგდო.

საა: ლიონში 6 მილიონად

"ლიონს" **ლუის საას** შეძენა სურს. საფრანგეთის ჩემპიონები "იუნაიტედს" 6 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. თავდამსხმელს ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ინგლისელები მას სიამოვნებით გაყიდიან. მოლაპარაკებები დაწყებულია. მხარეებს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ. ლიონელთა პრეზიდენტ **ჟან მიშელ ოლა** ახალი სეზონის წინ რამდენიმე სახელგანთქმულ ფეხბურთელს უმიზნებს. ლიდერები – **ჟუნინიო პერნამბუკანო** და **გრეგორი კუპე** ახალ კონტრაქტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააფორმებენ, თუ გუნდი გაძლიერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რონალდინიოსთან

არ ვიცი, რამდენია ჩემი ყოველთვიური შემოსავალი

ბრაზილიელი ვარსკვლავი საბანკო ანგარიშს მხოლოდ მაშინ შეამოწმებს, როცა თავისუფალი დრო გაუჩნდება...

პლანეტის ყოფილ საუკეთესო ფეხბურთელს საკმაოდ რთული პერიოდი უდგას. რონალდინიოს კატალონიასა და მთელ ესპანეთში კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ. მლანძღველები მას ბრაზილიაშიც არ აკლია. უცნაურია, როცა ისეთ ადამიანს უტევენ, რომელსაც გულშემატკივრებისთვის უამრავი სიხარული მოუტანია, თუმცა ფეხბურთს დაუნდობელი კანონები აქვს. თუ დღეს კარგად არ თამაშობ, გუშინდელ დამსახურებას აღარავინ გაიხსენებს. ზოგჯერ, რონალდინიოზე ისე წერენ და საუბრობენ, თითქოს ერთი უნიჭო და არაფრისმაქნისი მოთამაშე იყოს. არადა, გაუჩოს სიმშვიდე და დრო სჭირდება. შეუძლებელია, რომ პრობლემები ვერ დაძლიოს და უწინდებურად ბრწყინვალედ არ ათამაშდეს. "ბარსელონას" მისი შენარჩუნება თუ სურს, დელიკატურობა უნდა გამოიჩინოს და კლუბის საუკეთესო ფეხბურთელს აგრძნობინოს, რომ დაფასებული და პატივცემული პერსონაა. გარდა ამისა, "ბარსას" დირექტორატმა ჯიბეზეც უნდა გაიკრას ხელი. თუ რონალდინიოს ხელფასს არ გაუზრდიან, "კამპ ნოუზე" მისი დატოვება პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდება. მოკლედ, ხოან ლაპორტამ და ჩიკი ბეგირისტაინმა სწორად უნდა იმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სილვიო ბერლუსკონი შანსს ხელიდან არ გაუშვებს და რონალდინიოს "მილანში" წაიყვანს. გუშინ ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს რიო დე ჟანეიროში გამომავალი სპორტული ყოველკვირეული ჟურნალის კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. გაუჩომ მრავალ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. მათ შორის, პირადი ცხოვრების დეტალებზეც.

- იტალიის ჩემპიონატში გადაბარგება და იქ წარმატებების მიღწევა, საუკეთესო პასუხი იქნებოდა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაუნდობლად გაკრიტიკებენ? ისინი ფიქრობენ, რომ ესპანეთის პირველობაზე მცველები ხისტად არ თამაშობენ და ფორვარდისთვის გოლის გატანა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

- არ მგონია, ეს სწორი შეხედულება იყოს. პრიმერა დივიზიონში, ფაქტობრივად, ყველა გუნდს ძლიერი და ორგანიზებული დაცვა ჰყავს. სულაც არ ვფიქრობ, რომ სერია A უფრო ძლიერია. იტალიაში თუ წავალ, ადაპტაციისთვის დრო დამჭირდება. ახალ გარემოსთან შეგუების შემდეგ კი ჩემთვის დამახასიათებელ ფეხბურთს ვითამაშებ.

- "მილანის" მფლობელი, სილვიო ბერლუსკონი თქვენს შეძენაზე ოცნებობს. როგორ ფიქრობთ, იტალიელ მულტიმილიონერს წარმატების რამდენად დიდი შანსი აქვს?

- ბარსელონაში კარგად ვარ, თუმცა არავინ იცის, მომავალში რა მოხდება. კატალონიურ გრანდთან 2010 წლამდე მაქვს კონტრაქტი გაფორმებული და არანაირი სურვილი არ მამოძრავებს, ამ ხელშეკრულების პირობები დავარღვიო. ჩემი ერთადერთი საქმე ფეხბურთის თამაშია. "ბარსაში" იქამდე დავრჩები, მანამ თავს ბედნიერად ვიგრძნობ. სამომავლო გეგმებზე კონკრეტულს მართლაც ვერაფერს გეტყვით.

- კატალონიელები გულწრფელად ამბობენ, რონალდინიომ ჩვენი სათაყვანებელი კლუბის ახალი ისტორია შექმნაო. მიუხედავად ამისა, ისინი შანსს არ უშვებენ ხელიდან, რათა მკაცრად გაგაკრიტიკონ. საზოგადოების ასეთ გამოხდომებს როგორ ეგუებით?

- კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, ჩემი ერთადერთი საქმე ფეხბურთის თამაშია. კრიტიკა კი გარდაუვალია მაშინ, როცა გუნდი ცუდად გამოიყურება. კრიტიკა ერთის მხრივ, კარგიცაა. თავად განსაზღვრეთ, რადგან მაკრიტიკებენ, ე.ი. ფიქრობენ, რომ უფრო მეტი შემიძლია. საზოგადოება მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. მოტივაციაც არ მეკარგება და ვარჯიშზე ხალისით მივდივარ. მოკლედ, ასეთ ცხოვრებას მიჩვეული ვარ. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ვიცით, რომ საკუთარი შესაძლებლობები ყოველდღე ხელახლა უნდა დავამტკიცოთ. თუ კარგ კონდიციებში ვიმყოფებით და კარგ შედეგებს ვაღწევთ, გულშემატკივრები კმაყოფილები არიან. ისინი სითბოსა და სიყვარულს არ გვაკლებენ. ასე რომ, ჩვენს ცხოვრებაში არაბუნებრივი არაფერი ხდება.

- საინტერესოა, თქვენს შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიებს თუ ეცნობით?

- გაზეთებს თითქმის ყოველდღე ვკითხულობ, ინტერნეტშიც ხშირად დავძრომიალობ, მაგრამ ძირითადად იმის გამო, რომ საფეხბურთო სამყაროში მიმდინარე მოვლენებს გავეცნო. მაინტერესებს, რა ხდება სხვა ქვეყნებში. ხოლო იმის გასაგებად, თუ რას წერენ ჩემზე, გაზეთს თითქმის არასოდეს ვიღებ ხელში.

- ქებაც არ გსიამოვნებთ?

- კომპლიმენტებსა და კრიტიკას, რა თქმა უნდა, ერთი და იმავე განწყობით არ აღვიქვამ, მაგრამ მთლიანობაში, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, პრესა რონალდინიოზე რას წერს. ისტორია მოედანზე იქმნება. მომავალი თაობები შთაბეჭდილებას არა დაარქივებული გაზეთებით, არამედ ტიტულებითა და მიღწევებით შეიქმნის. ყოველი ახალი დღის ეიფორია კი მალე აღარავის ემახსოვრება.

- ფელიპაომ (ლუიშ ფელიპე სკოლარი) განაცხადა, რომ ნებისმიერი გუნდის შემადგენლობასა და მთავარ მწვრთნელს წარმატებული თანამშრომლობის გარკვეული ლიმიტი აქვთ. მისი აზრით, ცხოვრებაში დგება დრო, როცა მწვრთნელი და შეგირდები ერთმანეთს ვეღარ უგებენ. ამ დროს ხელმძღვანელობამ რაღაც უნდა შეცვალოს. ხომ რა ფიქრობთ, რომ ფრანკ რიიკაარდმა ან ფეხბურთელების ერთმა ნაწილმა "ბარსელონაში" შესაძლებლობები ამოწურეს?

- არა, ასე არ ვფიქრობ. მართალია, ესპანური მედია მადრიდის "რეალს" ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველობის მოპოვების საუკეთესო შანსს "ბარსელონა" ფლობს. ჩვენს გუნდს გამარჯვებისადმი ლტოლვა არ დაუკარგავს. დარჩენილ შეხვედრებში ყველას დავუმტკიცებ, რომ ნამდვილი პროფესიონალები ვართ. რაც შეეხება ფელიპაოს, ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტია. რადგან ასე თქვა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაა... თუმცა ფეხბურთში აქსიომები არ არსებობს.

- მიუხედავად ყველაფრისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბარსელონას" შესანიშნავად შეეწყვეთ. ხომ არ გვეტყვით, როგორ მოახერხეთ ეს?

- კატალონიაში კარგ დროს ჩამოვედი. თუ გახსოვთ, მაშინ "ბარსაში" დიდი გარდაქმნები მოხდა. შეიცვალა დირექტორატი, მთავარი მწვრთნელი, შემადგენლობა. ამ პროცესმა ახალი ხალხისთვის უდიდესი სივრცე გააჩინა, რათა მათ სერიოზული წარმატებებისთვის მიეღწიათ. საზოგადოებას ახალი კერპები გაუჩნდა. ესპანეთის ჩემპიონატი ბრაზილიის პირველობას გავს. აქ ფიზიკურ კონდიციებზე მეტი ყურადღება ტექნიკას ეთმობა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძალიან დამეხმარა. გარდა ამისა, ბარსელონური ცხოვრების თავისებურებებსაც გამოვყოფდი. ამ ქალაქში არსებული ატმოსფერო ჩემთვის მშობლიურია. მოგეხსენებათ, "ბარსაში" პსჟ-დან მოვედი. პარიზში გატარებულმა დრომ ევროპასთან შეგუების საშუალება მომცა. დარწმუნებული ვარ, კატალონიურ გრანდში პირდაპირ ბრაზილიიდან რომ გადმოვსულიყავი, გაცილებით უფრო გამიჭირდებოდა. შესაძლოა, ბევრისთვის წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატმა დამაბრძენა.

- ზუსტად თუ იცით, რამდენ სარეკლამო პროექტში მონაწილეობთ?

- ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებულ სეზონს ატარებ. მაგალითად, გასული სეზონის დაწყებიდან მუნდიალამდე უამრავ სარეკლამო რგოლში გადამიღეს, შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და მშვიდად ცხოვრების საშუალება მომეცა. წელს "ბარსელონა" პრობლემებს გადაეყარა, მეც მაკრიტიკებენ, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრ რეკლამას ვაკეთებ.

- კომერციული საქმიანობით დიდ ფულს შოულობთ?

- ეს საკითხი დიდად არ მაღელვებს. დაზუსტებით ნამდვილად არ ვიცი, რამდენია ჩემი ყოველთვიური შემოსავალი. მთელ ყურადღებას ვარჯიშსა და თამაშს ვაქცევ. თავისუფალ დროს კი სარეკლამო შეკვეთებს ვასრულებ. როცა დრო მექნება, საბანკო ანგარიშს აუცილებლად შევამოწმებ (იცინის).

- ყოველ შემთხვევაში, იმდენი შემოსავალი მაინც გექნებათ, რომ დედას ფული არ თხოვოთ.

- (იცინის) აღარც კი მახსოვს, დედას ფული ბოლოს როდის გამოვართვი. ცხოვრებაში, ალბათ, ძალიან გამიმართლა იმ თვალსაზრისით, რომ შემიძლია დიდი ფული ვიშოვო და ხალხს დავეხმარო. სხვათა შორის, მეც მეხმარებიან.

- ეს როგორ გავიგოთ?

- სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მიღიმიან და მპატიჟებენ. ვთქვათ, მეგობართან ერთად რესტორანში სასადილოდ მივედი, საფულის ამოღებას ვერ ვასწრებ, რომ რომელიმე უცნობი ადამიანი მომიახლოვდება და მეტყვის: რონალდინიო, მოგვანიჭე ის ბედნიერება, რომ ჩვენ გადავიხადოთ. ზოგჯერ, წინასწარ მოდიან და მეუბნებიან, გამორიცხულია, თქვენს ფულს არ მივიღებთ, რესტორანი გპატიჟებთო. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი, მაგრამ, ამავდროულად, გული მწყდება, რადგან იქიდან მშიერი გამოვდივარ ხოლმე. არ მინდა, მათი სიკეთით ვისარგებლო და ბევრი კერძი შევუკვეთო. თუ დამიჯერებთ, სახლიდან გასვლისას ფულს ჯიბეში არ ვიდებ. მხოლოდ ბარათი მიმაქვს, რათა ბენზინი ჩავასხა. სხვათა შორის, ბენზინგასამართ სადგურზე ამას წინათ ერთი კურიოზი შემემთხვა. თუ გაინტერესებთ, მოგიყვებით (იცინის).

- რა თქმა უნდა. გაფაციცებით გისმენთ.

- რამდენიმე დღის წინათ მეგობრის მანქანით ბენზინის ჩასასხმელად მივედით. მოლარემ შემამჩნია და ჩემს მეგობარს ფულის გამორთმევაზე უარი უთხრა. ის გაოცდა, ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. რამდენიმე წამში მენეჯერი მოვიდა, ფანჯარაზე მომიკაკუნა და მითხრა, სავსე ავზს ერთ ავტოგრაფში ვცვლითო. მეგობარმა მთხოვა, რომ ბენზინის ჩასასხმელად მომავალშიც გავყვე. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი (იცინის).

- როგორც თავად აღნიშნეთ, ცხოვრებამ იმის ბედნიერება მოგანიჭათ, რომ სხვებს დაეხმაროთ. ხომ არ გაგვიმხელთ, რა სახის ქველმოქმედებას ეწევით?

- ნება მიბოძეთ, ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ. იმედია, არ მიწყენთ.

- ყველამ იცის, რომ ბრაზილიაში საფეხბურთო სკოლა-ინტერნატი გახსენით. ასობით უმწეო და ღარიბ ბავშვს საშუალება აქვს, მაღალხარისხიანი უფასო განათლება მიიღოს, კარგად გამოიკვებოს და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი ითამაშოს.

- მიხარია, რომ ეს სკოლა წარმატებით ფუნქციონირებს. სხვა რაღა უნდა გითხრათ...

- კეთილი, ვატყობ, ამ თემაზე საუბარი არ გსიამოვნებთ. მოდით, პრიმერა დივიზიონს დავუბრუნდეთ. მომდევნო ტურში თქვენი კონკურენტები, "რეალი" და "სევილია" ერთმანეთს ხვდებიან "ბარსელონასთვის" ყველაზე კარგი შედეგი, ალბათ, ფრე იქნება. მეთანხმებით?

- "ბარსელონისთვის" ყველაზე კარგი შედეგი დარჩენილი 6 შეხვედრის მოგებაა (იცინის). ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ეს მათ უნდა იოცნებონ, რომ "ბარსამ" წაიფორხილოს და ქულები დაკარგოს. მართალია, კონკურენტებს მინიმალური სხვაობით ვუსწრებთ, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ერთპიროვნული ლიდერები ვართ. გულწრფელად გეტყვით, "რეალისა" და "სევილიის" ცხოვრება ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, თავად ვივარგოთ. უკვე გითხარით, რომ ჩემპიონობისადმი ლტოლვა არ დაგვიკარგავს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ.

- ესპანურ მედიას დიდი ინტერესით ვეცნობი ხოლმე. ჩემი კოლეგები, რატომღაც, სამეფო კლუბზე ჩადიან ფსონს და "რეალს", პრაქტიკულად, ჩემპიონად ასაღებენ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ასეთი პოლიტიკით გარკვეულ წრეებს "ბარსელონის" დათრგუნვა სურთ?

- როგორც გითხარით, სხვისი ცხოვრება და პოლიტიკური ნიუანსები მეასეხარისხოვანია. პროფესიონალები ვართ და ჩვენი დათრგუნვა იოლი არ არის. საიმისო უნარი აშკარად შეგვწევს, ძალები მოვიკრიბოთ და პრიმერა დივიზიონში გავიმარჯვოთ.

- ლიონელ მესის გოლზე რას გვეტყვით?

- ეს ფანტასტიკა იყო. უზომოდ გამიხარდა. ლეოს ჩავეხუტე და ვუსურვე, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიოს.

ილია ნიკოლაიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაღათბურთი

ლაშა ძიძავა, ბესიკ ლიპარტელიანი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრების მომზადების და თამაშების გეგმა
2007 წლის 2 ივლისი-15 სექტემბერი)

2-7 ივლისი - გასინჯვა, ინდივიდუალური მომზადება, ფიზმომზადება; თბილისი (საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები და ნაკრების ახალი კანდიდატები)
18-21 ივლისი - შეკრება თბილისში (სრული შემადგენლობა)
22 ივლისი - გამგზავრება ბულგარეთში
23-25 ივლისი - საერთაშორისო ტურნირი სოფიაში, ბულგარეთი (მონაწილეობენ: ბულგარეთი, საქართველო, მაკედონია, ისრაელი. 3 თამაში)
26 ივლისი - გამგზავრება ბულგარეთიდან პოში (საფრანგეთი)
27 ივლისი-2 აგვისტო - შეკრება პოში
2 აგვისტო - გამგზავრება პორტუგალიაში
3-5 აგვისტო - საერთაშორისო ტურნირი სან უოაო დე მადეირაში, პორტუგალია (დღეგანდელი მონაცემებით მონაწილეობენ: პორტუგალია, საქართველო, დიდი ბრიტანეთი, ტუნისი)
6 აგვისტო - გამგზავრება პორტუგალიიდან პოში
7-19 აგვისტო - შეკრება პოში (სავარაუდოა 1-2 ამხანაგური მატჩი)
20 აგვისტო - გამგზავრება თბილისში
25 აგვისტო - საქართველო-ავსტრია
27 აგვისტო - გამგზავრება ისლანდიაში
29 აგვისტო - ისლანდია-საქართველო
30 აგვისტო - გამგზავრება თბილისში
1 სექტემბერი - საქართველო-ფინეთი

ფლეი ოფში გასვლის შემთხვევაში

2-10 სექტემბერი - შეკრება თბილისში
11 და 15 სექტემბერი - ფლეი ოფის მატჩები (მეტოქე და ჩატარების ადგილები დადგინდება მოგვიანებით)

ეროვნული ნაკრები

სიახლე: პერბერტი საქართველოში მოთამაშეებს დააკვირდება!

გუშინ, კაფე "მსოფლიო სპორტში" მოწყობილ პრესკონფერენციაზე კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ პრეს-რელიზი გადმოგვცა. ერთმა პატარა ფურცელმა საქართველოს ნაკრების მზადების თითქმის ორთვიანი გეგმა დაიტია. რელიზის გაცნობა აქვე შეგიძლიათ. ახლა კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავას მოვუსმინოთ.

- მოგეხსენებათ, ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩი 21 აგვისტოსაა. ამიტომ, მანამდე ერთი თვით ადრე ვაპირებთ შეკრებას. 2-დან 7 ივლისამდე მწვრთნელები საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებს დააკვირდებიან და რამდენიმე მათგანს 18 ივლისის მთავარი შეკრებისთვის დაიბარებენ. 18-ში ეროვნული გუნდი ადგილობრივ-ლეგიონერებიანად სრულად უნდა შეიკრიბოს".

ივლისის დასაწყისში ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი ელის. ამიტომ **დავით უსტიაშვილი** ეროვნულს ვერ დაეხმარება. დავინტერესდით, კონკრეტულად, ვინ გაუძღვება 2 ივლისს დაგეგმილ შეკრებას.

- საწყის ორ დღეს დავით უსტიაშვილიც მთავარი მწვრთნელის გვერდში იქნება. საერთოდ შეკრებას კი გუნდის თავკაცი გორდონ ჰერბერტი გაუძღვება, - გვითხრა ლაშა ძიძავამ.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ბესიკ ლიპარტელიანის** განცხადებით, ყველა ლეგიონერი 18 აგვისტოსთვის თბილისში ჩამოსასვლელად მზადაა. ვარჯიშები თბილისში, "დინამოს" ბაზაზე გაიმართება. ერთკვირიანი შეკრების შემდეგ კი ნაკრები ბულგარეთში, ოთხგუნდიან ტურნირზე სათამაშოდ გაემგზავრება.

თუკი ქართველთა ადგილობრივი ბაზა "დინამოს" დარბაზი იქნება, ევროპაში ჩვენი ნაკრების ბაზად "პო ორტეზის" არენა უნდა იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ასე წერია გეგმაში - სოფიის ტურნირის შემდეგ ქართველები საფრანგეთში გადავლენ და "პოს" ბაზაზე დაბინავდებიან. სწორედ იქიდან გაფრინდებიან პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე გასამართ ტურნირზე, რომლის დასრულების შემდეგ კვლავ პოში დაბრუნდებიან.

საფრანგეთის გრანდის ბაზაზე ვარჯიში საქართველოს ნაკრებისთვის ხომ სასარგებლო იქნება, ასევე მომგებიანი უნდა იყოს **გორდონ ჰერბერტისთვისაც**, რომელიც "პო ორტეზის" თავკაციცაა და მოცალეობის ჟამს კლუბსაც მიხედავს. დიდი შანსია, აგვისტოს დასაწყისში ჰერბერტის ორი გუნდი (საქართველოს ნაკრები და "პო") ერთმანეთს გაეჯიბროს. ამის თქმის უფლებას ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავას სიტყვები გვაძლევს: *"ჩვენი გუნდი საფრანგეთიდან პირდაპირ ლუქსემბურგში გადავა, სადაც პირველ ოფიციალურ მატჩს 21 აგვისტოს გამართავს. მანამდე რამდენიმე ფრანგულ კლუბთან ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ. თუმცა, სადღეისოდ მეტოქეთა ვინაობა საბოლოოდ არაა გარკვეული. მოლაპარაკებები მიმდინარეობს".*

დავინტერესდით ეროვნულის შემადგენლობითაც, თუმცა მივიღეთ პასუხი, რომ ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია. **გორდონ ჰერბერტს** საქართველოში მოთამაშეებს **დავით უსტიაშვილი** წარუდგენს. სავარაუდოდ ეს ივნისში მოხდება. ბოლოს სპორტის სასახლეზეც ვკითხეთ. ჩვენი გაზეთის ფოტორეპორტიორი (სწორედ ის, გადაღებული სურათები დაცვის უფროსმა რომ წააშლევინა) გვიყვებოდა, რომ დარბაზში გახურებული მუშაობა მიდის, იატაკი აყრილია და სკამებიც. საინტერესოა, 25 აგვისტოსთვის (სწორედ ამ დღეს ვმასპინძლობთ ავსტრიას) თუ დასრულდება სარემონტო სამუშაოები...

"სპორტის სასახლის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მათ კარგად მოეხსენებათ ჩვენი გეგმების შესახებ და დაგვპირდნენ, რომ 15 აგვისტომდე ყველა ის სამუშაო შესრულდება, რაც ფიბა-ს მოთხოვნებით კალათბურთის მატჩისთვისაა საჭირო. წინასწარ იმის თქმაც შეიძლება, რომ მაღალი დონის დარბაზი გვექნება - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედნით, ასეთივე ფარებითა და ვიდეოგამოსახულებიანი ტაბლოთი"... - დასძინა ლაშა ძიძავამ.

ვაჟა სიმონიშვილი

მშვიდობისთვის. მსოფლიო თასი

დღეს ფლეი ოფი იწყება

გუშინ იტალიურ ვარეზეში დაიწყო მსოფლიო თასის რიგით მეორე ეტაპი, რომელიც ევროპის დიდი პრიზის პირველი შეჯიბრებაცაა. როგორც გაცნობეთ, ტურნირში საქართველოდან მხოლოდ ქალთა ტრიო გამოდის - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე**, რადგან ვაჟთა ნაკრები დაბალი შედეგების გამო არ ჩაიყვანეს, **ოლგა ლადიგინა** კი ვერ დააფინანსეს.

გუშინ ინდივიდუალურ პირველობებში საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდა, რომელშიც ქართველთაგან ყველაზე უკეთ ნარიმანიძე გამოვიდა - 607 ქულით 21-ე ადგილი. ესებუას მონაგარი 597 ქულა და 29-ე ადგილია, დიასამიძე კი 570-ით 45-ეა.

ფლეი ოფი დღეს გაიმართება. ნარიმანიძე მასპინძელ **პია კარმენ ლიონეტის** შეხვდება, რომელმაც საკვალიფიკაციოში ერთადერთი ქულით აჯობა დიასამიძეს და 44-ე იყო. რომ არა ის ერთი ქულა, 32-ედფინალში ერთმანეთს ქართველები გადაეყრებოდნენ. თავად დიასამიძე 608-ქულიან (შესარჩევში 20-ე ადგილი) რუს **ტატიანა ბოროდატს** გაეჯიბრება, ესებუას მეტოქე კი ჩეხი **ბარბორა ჰორაჩკოვაა** - 587 ქულა და 36-ე ადგილი საკვალიფიკაციოში. ჩვენებურთა მეტოქეებიდან ყველაზე სუსტი სწორედ ჩეხია. მართალია, ბოროდატიც ახალბედაა, მაგრამ რუსთა ნაკრებში მოხვედრა უკვე თავისთავად მეტყველებს მის კლასზე.

პირად პირველობაში ხვალ მხოლოდ ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან, დასკვნითი რაუნდის სროლები კი 5 მაისს ჩატარდება.

ჩვენი ტრიო გუნდურ ჩათვლაში 1774 ქულით მეათე აღმოჩნდა და ხვალ ფლეი ოფში იტალიელებს შეხვდება. მათთან მოგების შემთხვევაში, მეოთხედფინალში საკვალიფიკაციოში მეორეზე გასულ ჩინელებთან მოუწევთ დაპირისპირება, რომლებმაც წესით, პირველ წრეში იოლად უნდა მოუგონ მექსიკელებს.

აღსანიშნავია, რომ 1774 ქულა დააგროვეს ბრიტანელებმაც, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით გვაჯობეს და მეცხრეზე გავიდნენ. თუმცა, რომც გაგვესწრო, ეს ჩვენს მდგომარეობას დიდად არ შეამსუბუქებდა, რადგან მეორე წრეში ყოვლისმომგებ კორეელებთან მოგვიწევდა ბრძოლა. ცხადია, თუ პირველ წრეში ამერიკელებს დავამარცხებდით, რომელთა შორის **ლორიგის** გვარით ჩვენი თანამემამულე, ოლიმპიური პრიზიორი **ხათუნა ქვრივიშვილიც** გამოდის. ბარემ აქვე გეტყვით, რომ იგი შესარჩევში 582 ქულით 39-ე იყო.

4 მაისს გუნდური ასპარეზობაც ნახევარფინალებამდე მივა, გადამწყვეტი შეჯიბრებები კი აქაც 5-ში გაიმართება.

ირაკლი თავაძე

სროლა

ორნი ბანგკოკში

ოლიმპიური ფონდის დაფინანსებით, ქართველი მსროლელები - **ნინო სალუქვაძე** და **ნინო უჩაძე** მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძესთან** ერთად გუშინ სტამბოლის გავლით ბანგკოკში მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე გაფრინდნენ. ისინი სტარტზე პირველად 5 მაისს გავლენ, როცა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იასპარეზებენ, 9-ში კი სპორტულიდან ისვრიან. აქამდე მსოფლიო თასის ორი ეტაპი გაიმართა - ამერიკულ ფორტ ბენინგსა და ავსტრალიურ სიდნეიში, მაგრამ ჩვენებმა უფულობის გამო, ორივე გამოტოვეს. დარჩენილია თასის მხოლოდ ერთი ეტაპი, რომელიც მაის-ივნისის მიჯნაზე მიუნხენში გაიმართება. სავარაუდოდ, იქ ჩვენი გუნდი გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნება.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

ოქსანა კალაშნიკოვა

ოქსანა დიდებს შეეჩვია

მაკა ჩახნაშვილი (152) პორტუგალიაში "ეშტორილ ოუფენზე" თამაშობდა. საქართველოს პირველი ჩოგნისთვის WTA-ს ტურნირზე (145 ათასი დოლარი) გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა, მაკამ ჯერ ერთეულებში პირველივე საკვალიფიკაციო წრეში წააგო, შემდეგ კი იტალიელ **ალბერტა ბრიანტისთან** (88) ერთად წყვილში ტურნირის ძირითად ბადეში მოეცარა ხელი. ჩახნაშვილი და ბრიანტი მე-3 ნომრად განთესილ დუეტს (**ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი, 44) და **იასმინ ფოირი** (გერმანია, 56 წყვილებში) შეხვდნენ. პირველი სეტი ქართველმა და იტალიელმა 3:6 წააგეს, მეორე კი 7:5 მოიგეს. გადამწყვეტ ტაი-ბრეიკში მაკა და მისი პარტნიორი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ - 8:10.

ამერიკის ქალაქ **შარლოტსვილში** 50-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელია. ორივე ჩვენებურს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ელის პირველივე წრეში. 19 წლის **სოფიო მელიქიშვილი** (464) ტურნირის პირველ ჩოგან ამერიკელ **მეგან შოგნესის** (56) ხვდება. 17 წლის **ანა ტატიშვილის** (335) მეტოქე კი მე-6 ნომრად განთესილი ამერიკელი **ლილია ოსტერლო** (155) იქნება.

თურქულ ანთალიაში 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ოთხი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობდა: **სოფიო ქვაცაბაია, სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა და თინათინ ყავლაშვილი.**

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ყავლაშვილის გამოჩენაა, რომელსაც დიდი ხანია არსად უთამაშია. 20 წლის ყავლაშვილი 3 წლის წინათ მსოფლიოს 570-ე ჩოგანი იყო, ახლა კი ურეიტინგოდაა, რადგან ზუსტად ორი წელინადია არსად უთამაშია. მან პირველ წრეში რუსი **იულია ეფრემოვა** დაამარცხა - 6:4, 7:5. დანარჩენი სამი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციოში განთესილები იყო და პირველ წრეში ისვენებდა. მეორეში **თინათინ ყავლაშვილმა** მე-2 ნომრად განთესილი საბერძნეთის ნაკრების წევრი **ანა კუმანტუ** (665) დაამარცხა - 6:3, 6:3. მე-3 ნომრად განთესილმა **შაფათავამ** სლოვენიელ **მაია კამბიჩს** მოუგო ორ სეტში - 6:4, 6:1. მე-16 ნომრად განთესილმა **ქვაცაბაიამ** ამერიკელი **შერილ გერშონი** დაამარცხა - 6:3, 6:0. **ოქსანა კალაშნიკოვა** (მე-11 ნომრად განთესილი) კი იოლად გაუსწორდა რუსეთის სახელით მოთამაშე **ელენ ჭელიძეს** - 6:1, 6:0. **თინათინ ყავლაშვილმა** მისია წარმატებით შეასრულა, მე-12 ნომრად განთესილი რუსი **ალექსანდრა რაზუმოვა** დაამარცხა - 6:2, 6:1 და ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა. აი, შაფათავას კი ხელი მოეცარა, მე-9 ნომრად განთესილ რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** დამარცხდა - 6:3, 4:6, 4:6. **ქვაცაბაია** ძირითად ბადეში იოლად გავიდა, მან მე-5 ნომრად განთესილ ფრანგ **შარლინ ვანესტს** სძლია - 6:1, 6:2. ძირითად ბადეში გავიდა **ოქსანა კალაშნიკოვაც**, რომელმაც კიდევ ერთი რუსი, მე-6 ნომრად განთესილი **დიანა არუთინოვა** დაამარცხა - 6:2, 6:2.

ანთალიის ტურნირის ძირითად ბადეში თინათინ ყავლაშვილი შვედ **მიხაელა იოჰანსონთან** (412) დამარცხდა - 1:6, 1:6. ოქსანამ კი მასპინძლები დაამწუხრა, კალაშნიკოვამ "უაილდ ქარდით" მიწვეული თურქი **ეილულ ბენლი** დაამარცხა - 6:0, 6:2. სოფიო ქვაცაბაია ვერ გაუმკლავდა ტურნირის მესამე ნომერ ბრიტანელ **ენ კეტავონგს** (180) - 1:6, 2:6. მერვედფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე შვეიცარიელი **შტეფანი ფოგელი** (328) იქნება.

კანარის კუნძულებზე ლანსაროტეში "ჩელენჯერის სერიის" ტურნირი მიმდინარეობს, სადაც მცირე პაუზის შემდეგ გამოჩნდა **ლადო ჩიხლაძე** (469). ლადო საკვალიფიკაციო წრეში მე-5 ნომრად განთესილ ესპანელ ხოსე ანტონიო **სანჩეს დე ლუნას** (391) ხვდებოდა, ქართველმა პირველი სეტი 3:6 წააგო და შემდეგ კვლავ ტრავმის გამო შეეშვა ბრძოლას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვოლეიბურთი

გოგონები ძირითად ბადეში

შანხაიში მიმდინარე მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო ეტაპი ვაჟთა ქართული წყვილის, **გეორგიასგან** განსხვავებით, წარმატებით გადალახა ქალთა დუეტმა **საქა-რთველომ**. ჩვენმა პლაჟბურთელებმა ორი შეხვედრა გამართეს და ორივეში გამარჯვება იზეიმეს. მათ ჯერ იაპონური დუეტი **ურატა-პირომი** დაამარცხეს 2:0 (21:17, 21:19). მერე კი ძირითად ბადეში გამსვლელ შეხვედრაში შვეცარიულ წყვილს **ერნისა** და **გრაესლის** სძლიეს 2:1 (15:21, 21:13, 15:12).

დღეს ძირითადი ბადის პირველ შეხვედრაში საქა-რთველო შეხვდება მასპინძელთა დუეტს **ხუესა** და **ჭანგ ხის**, რომელიც მეორე ნომრად არის განთესილი. შეგახსენებთ, რომ ძირითად ბადეში შეჯიბრს წყვილი ორი მარცხის შემდეგ ტოვებს.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველო ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56 (2006)

როგორც ადრე ვთქვით, 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა და სოცქვეყნების სპორტსმენებს მონაწილეობის უფლება დიდმა პოლიტიკამ წაართვა. "მეგობრობა 84", რომელიც მაშინ სახელდახელოდ გამოიგონეს, სულაც არ აკმაყოფილებდა იმ სპორტსმენთა მისწრაფებებსა და ინტერესებს, ვინც ოლიმპიადის მიღმა დარჩნენ. ასპარეზობები სოცბანაკის რამდენიმე ქვეყნის დედაქალაქმა გადაინაწილა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, შეჯიბრებები ჩატარდა უღიმღამოდ, არც სპორტსმენთა პირად სპორტულ ბიოგრაფიაში და არც საერთოდ, სპორტის ისტორიაში, არაფრისგან აღმოცენებულ ამ თამაშებს, თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია...

მძლეოსნობა. "მეგობრობა 84-ის" პროგრამით, მძლეოსანთა ტურნირს პრაღამ უმასპინძლა. საბჭოთა ნაკრებში მყარად იყო დამკვიდრებული ჩვენი ნიჭიერი მორბენალი **მაია აზარაშვილი**. მაიას შეეძლო, ლოს-ანჯელესში ებრძოლა ოლიმპიური მედლისთვის, მაგრამ ეს ოცნება მისთვის კიდევ ოთხი წლით გადაიდო. პრაღაში მაიამ სპრინტერულ ესტაფეტაში იასპარეზა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. საბჭოთა ნაკრები უმნიშვნელოდ ჩამორჩა ბულგარეთის გუნდს. მანამდე, აზარაშვილმა პირველობა მოიპოვა 200 მ რბენაში (კიევი), სტუდენტთა სპორტკლუბებს შორის საკავშირო თასის გათამაშებაში. ამავე შეჯიბრებაში, სიგრძეზე ხტომაში, ვერცხლის მედალს დაეუფლა **ვახტანგ მინაშვილი**. დონეცკში კი (სსრკ ჩემპიონატი) წარმატებით იასპარეზა **ნუნუ ჯაფარიძემ**, რომელმაც ბირთვი ყველაზე შორს (20.21 მ) გადააგდო და ოქროს მედალი დაიმსახურა. დგება **ოლეგ სტრიჟაკოვის** დრო. თბილისელი სტაიერი მეორე ადგილზე გადის მოსკოვში, "მორბენლის დღიადმი" მიძღვნილ შეჯიბრებაში (10კმ-ზე რბენა) და მესამე იყო სოჭის საკავშირო ტურნირში, 5 კმ-ზე ასპარეზობაში. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მხოლოდ ერთი ჩვენი სპორტსმენი ეუფლება მედალს: შუბის ტყორცნაში მესამე პრიზიორი ხდება **გენადი არჯევანიძე**. რიგაში, მოზარდთა საკავშირო პირველობაზე, 100 მ თარჯბენში მეორე იყო **გელა ვეშაპიძე**. ეს სპორტსმენი სიმფეროპოლშიც ჩაება ანალოგიურ ტურნირში და იგივე პროგრამაში კვლავ მეორე ადგილზე გავიდა. აქ მესამე ადგილი წილად ხვდა **ტარიელ ბინაძეს** (ბადროს ტყორცნა) და **ვახტანგ მინაშვილს** (სიგრძეზე ხტომა). დაბოლოს, ქალაქ გომელში გამართულ სკოლა-ინტერნატების საკავშირო პირად-გუნდურ პირველობის შესახებ. სიმაღლეზე ხტომასა და 60 მ რბენაში პირველი ადგილები დაიკავა **დ. გასიტაშვილმა**, მეორე იყო **გ. დაქიურიძე** (60 მ), მესამე - **ი. ივანოვი** (60 მ თარჯრბენში და 200 მ რბენაში). სამივე სპორტსმენი გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი იყო.

ძალოსნობა. 59-ე საკავშირო ჩემპიონატში (მინსკი) 22 წლის ცხინვალელი სტუდენტი **ალექსანდრე მედოევი** (100) ვერცხლის მედალს ეუფლება ორჭიდში (417.5). მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე პრიზიორი გახდა თბილისელი **შაუმ სარქისიანი** (60).

სასტენდო სროლა. ალმა-ათაში, სსრკ თასის გათამაშებაში, ვერცხლის მედალს ისაკუთრებს **ტარიელ ჟღენტი**. მრგვალ სტენდზე (ევროპის ჩემპიონატი, სარაგოსა) კი იმარჯვებს სსრკ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა **თამაზ იმნაიშვილი**.

ტყვიის სროლა. განსაცვიფრებელ წარმატებებს აღწევს 15 წლის **ნინო სალუქვაძე**, რომელმაც თამამად შეაბიჯა დიდ სპორტულ სარბიელზე. ყველაფერი დაიწყო კიშინიოვში, მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე მოპოვებული ოქროს მედლით. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე კი ნინო ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: ოქროს მედლები დაისაკუთრა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში (პპ-2 და მპ-5). სოხუმში ერთდროულად ჩატარდა სსრკ ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა **გოჩა სარუხანოვმა** (მე-9 ვარჯიში) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. მოსკოვში სსრკ გუნდური პირველობა გაიმართა. სპორტსაზოგადოება "დინამოს" საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში, "გაქცეულ ტახზე" სროლაში, ჩპირველი იყო ქუთაისელი **ილია ჩაგანავა**. ასევე "გაქცეულ ტახზე" სროლაში, შეიარაღებული ძალების იუნიორთა საკავშირო პირველობის (ლვოვი) მეორე პრიზიორი ხდება თბილისელი **ა. მიტინიანი**, ბრინჯაოს მედალს კი მისი თანაგუნდელი **ვ. დაუშვილი** (50 მ სროლა) ეუფლება.

მშვილდოსნობა. ამ წელს, საქართველოს მშვილდოსანთა წილად მოდის ერთადერთი წარმატება. თბილისელი მოსწავლე **ელენე გრებენიკოვა** მრავალჭიდში მეორე ადგილზე გავიდა ყაზახეთში გამართულ სპორტსაზოგადოებათა საკავშირო პირველობაზე.

ფარიკაობა. ტალინში, რაპირაში სსრკ ჩემპიონატში უძლიერესის სახელს კვლავ **ვლადიმერ აფციაური** დაეუფლა. მანვე, "მეგობრობა 84-ის" ტურნირის (ბუდაპეშტი) ფინალში, კუბელ **გილერმო ბეტანკურს** სძლია და ოქროს მედალი დაიმსახურა. იმ სეზონში, მესამე დიდ წარმატებას აფციაურმა "კიევის რაპირის" ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მიაღწია და საბჭოთა ნაკრებში პირველობა მოიპოვა. თბილისში ჩატარებულ, რაპირაში სპორტკლუბების საკავშირო ტურნირზე, ჩვენმა ქალებმა გუნდური პირველობა მოიგეს. ნაკრებში გამოდიოდნენ: **ელისო მარსაგიშვილი, მანანა დარასელია, ვენერა მამუკაშვილი, ლეილა ბერაძე** და **ქეთევან ერემაშვილი**. მათ ფინალში რსფსრის ძლიერ ნაკრებს სძლიეს. ვაჟთა შორის კი ხმალში პირადი პირველობა **დავით თურქიას** გამარჯვებით დასრულდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე იყო უკრაინელთა შემდეგ. თბილისშივე, პირველად გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება ქართული სპორტული გამოცემა "მართვეს" პრიზზე. რაპირაში, უმცროსი ასაკის გოგონებში, პირველ ადგილზე გავიდა **ქ. გაჩჩილაძე**, უფროსებში - **რ. კალუაშვილი**, მეორე იყო **ლ. ლეჟავა**. დაშნაში, ჭაბუკთა უმცროს ასაკში, მეორე პრიზიორი გახდა **ს. დიშიუკი**, მესამე ადგილზე გავიდა **ზ. ტალახაძე**.

ველოსპორტი. საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით აგრძელებს გამოსვლებს ლეგენდარული **ომარ ფხაკაძის** შეგირდი **ოთარ მჭედლიშვილი**. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე (კანი, საფრანგეთი) ის მეორე იყო სპრინტში, ხოლო მოსკოვში, ოლიმპიურ ტრეკზე, იუნიორთა საკავშირო პირველობაზე ოქროს ორ მედალს დაეუფლა გიტსა და სპრინტში. მოსკოვშივე, ოთარი, თანაგუნდელ **სერგეი კოპილოვთან** ერთად, 200 მ-ზე სვლით საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი ხდება, ასევე ოქროს მედალს ეუფლება ერთ წრეზე ადგილიდან გიტში. ამავე ტურნირში 30 წრეზე ჯგუფურ რბოლას ოქროს ფინიშით ასრულებს **მერაბ სურმავა**. 80-იან წლებში დიდ ინტერესს ინვევდა თბილისის ველოტრეკზე ჩატარებული შეჯიბრებები. 1984 წელს, საკავშირო ტურნირში,

მაია აზარაშვილი

მჭედლიშვილმა და კოპოლოვმა მშობლიურ ქალაქში პირველობა მოიპოვეს წყვილთა რბოლაში. სამ წრეზე გამოთიშვით გუნდურ რბოლაში კი, მჭედლიშვილმა საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში იასპარეზა და ოქროც მოიგო, სალიდერო რბოლაში მესამე იყო. ხოლო 60 წრეზე ჯგუფურ რბოლაში, ასევე მესამე ადგილზე გავიდა **კობა აბაიშვილი**, 50 წრეზე შეჯიბრებაში კი მეორე იყო **თემურ გიგოლაევი**. იმ წელს, სსრკ ზამთრის ჩემპიონატში (მოსკოვი) **ემზარ გელაშვილს** 1000 მ-ზე სპრინტში მეორე შედეგი ჰქონდა, 4 კმ-ზე კი მესამე იყო **იური ზიმენკოვი**. ემზარ გელაშვილს მესამე ადგილი ხვდა წილად კოპენჰაგენში გამართულ, სპრინტერთა შორის დიდი პრიზის გათამაშებაში.

თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ხუთჭიდელმა **ვახტანგ იაგორაშვილმა** იუნიორთა სსრკ პირად-გუნდური პირველობა მოიგო ერევანში, სსრკ იუნიორთა ნაკრებში კი, ალმა-ათის დიდ საერთაშორისო ტურნირში, ვერცხლის მედალი ხვდა წილად, ხოლო ბრატისლავის ტურნირში, პირადშიცა და გუნდურშიც, უძლიერესის ტიტულს დაეუფლა. მერე იყო საკავშირო ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ძირითად ნაკრებში ვახტანგი მესამე პრიზიორი გახდა, მისმა თანაგუნდელმა **იგორ ბრიზგალოვმა** კი პირადში ვერცხლის, ხოლო გუნდურში ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტული ტანვარჯიში. იუნიორთა შორის ევროპის პირველობაზე (იტალია) 17 წლის თბილისელი ოსტატი **ვლადიმერ გოგოლაძე** ოქროს მედალს იმსახურებს ღერძზე და თავისუფალ ვარჯიშში, მრავალჭიდში კი საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ადის. საერთოდ, იმ პერიოდში საბრძოლო ნიჭიერი თაობა გამოჩნდა. რჩეულები სსრკ ნაკრების სახელით გაემგზავრნენ ლუბლიანაში, საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირზე. გუნდს მესამე ადგილი ხვდა წილად. გოგონებში აბსოლუტური პირველობა მოიგო 13 წლის თბილისელმა **ირმა სირაძემ**, ჭაბუკებში ორძელზე უძლიერესი იყო **ლევან სისაური**. ტაგანროგში პატარა სასწაული მოახდინა 17 წლის ოსტატმა **ამირან ბერიანიძემ**. ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლათა საკავშირო პირველობაზე ამირანის წილად 7 მედალი მოდის: აქედან, ოქროსი - თავისუფალ ვარჯიშსა და რგოლებზე, ვერცხლის - ბჯენით ხტომებში და ღერძზე, ბრინჯაოსი - მრავალჭიდში (ტაიჭი და ორძელი). სსრკ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში 15 წლის **ეკა სეთურიძეს** თავისუფალ ვარჯიშში ვერცხლის მედალი ერგო. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ვლადიმერ გოგოლაძე სამ ოქროს მედალს ეუფლება - თავისუფალ ვარჯიშში, ღერძზე და მრავალჭიდში, ვერცხლისას - რგოლებზე ვარჯიშში, ბრინჯაოსას კი ხტომებში. ასევე მესამე იყო ლევან სისაური (რგოლები), ამავე იარაღზე ჩემპიონი გახდა ამირან ბერიანიძე. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

მხატვრული ტანვარჯიში. ვენაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. თბილისელმა მოსწავლემ **ვიოლეტა დარბაიძემ** სსრკ ნაკრებში შმიდტის სახელობის თასი მოიპოვა გუნდთან ერთად.

აკრობატიკა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა **ფატი სულაქველიძემ**. მანვე მოიგო დიდი საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში.

ბაბუაწვერა ხტომა. კრასნოდარში, საუწყებათშორისო საკავშირო პირველობაზე, სინქრონულ ხტომებში მეორე ადგილზე გავიდნენ 16 წლის **ირმა თანდილაშვილი** და 15 წლის **ინგა მენთეშაშვილი**.

ფეხბურთი. ის სეზონი დატვირთული იყო საფეხბურთო ტურნირებითაც. მოხდა ღირსსახსოვარი ფაქტი: **რამაზ შენგელიამ** თბილისის "დინამოსა" და ვილნიუსის "ჟალგირისს" შორის სსრკ ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში (2:0), ორი ბურთი გაიტანა, რითიც ქართულმა კლუბმა თავის ისტორიაში 2000-გოლიან ზღვარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მანამდე, 1800-ე და 1900-ე გოლებიც შენგელიას ანგარიშზე მოდიოდა. ქუთაისის "ტორპედომ" კიდევ ერთხელ მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. იმავე წელს, ხაშურის "ივერიამ" ოდესის ოლქის ქალაქ ტატარბუნარში, ფინალური პაექრობა 4:1 მოუგო მასპინძელთა გუნდ "კოლოსს" და ამ საკავშირო ტურნირის მთავარ პრიზს დაეუფლა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს წარმომადგენლები მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ. უკრაინის ქალაქ კრამატორსკიდან შინ "სიჭაბუკის თასით" დაბრუნდნენ ჩვენი მოზარდი ფეხბურთელები. "დინამოს" სპეციალიზებული სკოლების საკავშირო პირველობა (ლენინგრადი) მოიგო თბილისის "ნორჩი დინამოელმა", აჯობა რა ფინალში მოსკოველ თანატოლებს. ჩვენი "ნორჩი დინამოელი" უძლიერესი იყო აგრეთვე ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირში (სოჭი). ლესელიძეში კი, მოსწავლე ფეხბურთელთა ასევე საკავშირო შეჯიბრებაში, გაგრელებმა მოსკოველი თანატოლები ფინალში 1:0 დაამარცხეს.

ცხენოსნობა. საქართველოს მხედართა ლიდერი **ხარლამ სიმონია** ახალი მიღწევებით ამდიდრებს თავის სპორტულ ბიოგრაფიას. მოსკოვში (სსრკ ჩემპიონატი), უმცროსი ასაკის ცხენთა კონკურში, მან ორი გიტის ჯამში ყველას აჯობა და ჩემპიონი გახდა. მაშინ, გამარჯვებულს ვკითხე, თუ რას აძლევს ადამიანს ცხენთან მეგობრობა. პასუხი ასეთი იყო: *"პირველ ყოვლისა, სულის სიფაქიზეს. ცხენი გვასწავლის ცხოვრებისა და ბუნების სიყვარულს. ვისაც ეს სიყვარული არ განუცდია, ვფიქრობ, სულიერად ვერასდროს ამაღლდება".*

გაგრძელება იქნება

თენგიზ გაჩეჩილაძე

წერილი რედაქციას!

მხილება

სპორტის თაღლითური ალიანსი ჩხოროწყუში

...ანუ ისტორია მეორდება

აბა, დღეს საიდან უნდა მახსოვდეს, ათეული წლების წინათ, მაშინ, როცა სრულიად ახალბედა ვიყავი ჟურნალისტიკაში, ჩემ მიერ გამოქვეყნებული ერთი კრიტიკული წერილი. არადა, სპორტის ვეტერანი შუშაკი ჩხოროწყუდან, კოტე ყურაშვილი, დაჟინებით მთხოვს, გავიხსენო ის პუბლიკაცია, რომელიც "ლელოში" დამიბეჭდია სათაურით "სპორტის თაღლითური ალიანსი ჩხოროწყუში". ძველი ამბავი ახლა რა გასახსენებელი იყო, ბატონ კოტეს კვლავ ის სატკივარი რომ არ აფორიაქებდეს, რაც ათეული წლების წინათ. მოკლედ, დიდი დრო გავიდა, ცხოვრება და ქვეყანა შეიცვალა, პრობლემებმა კი რაიონის სპორტულ ცხოვრებაში თავი უფრო მწვავედ იჩინა. მეტიც, ადრინდელისგან განსხვავებით, თურმე, ახლა დაუფარავი ცინიზმით ეკიდებიან ჩხოროწყუში სპეციალისტთა წინადადებებს და მოთხოვნებს. ეს კარგად ჩანს მამხილებელ წერილში, რომელიც რედაქციაში თავად ბატონმა კოტემ გამოგზავნა. ამ სპეციალისტის ხელში თაობები დაფრთიანდნენ, დღესაც შუშაობს ფიზაღზრდის მასწავლებლად. მისი თაოსნობით, რაიონში არაერთი მასობრივი სპორტული ღონისძიება ჩატარებულა, მაგრამ ყოველთვის ატყუებდნენ, გამუდმებით წინააღმდეგობას აწყდებოდა... ამას მკითხველი თავადაც დაინახავს წერილში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

თენგიზ გაჩეჩილაძე

"დავიწყებ იმ ფაქტით, როცა გადავწყვიტე, ჩამეტარებინა სპორტული ასპარეზობა "საქართველოს სპორტის კანონის პრიზზე". გეგმა და დებულება წარვუდგინე რაიონის გამგებელს ალექსანდრე პერტაიას. მან მირჩია, ჯერ ჩემს სკოლაში, შემდეგ კი რაიონის მასშტაბით მომეწყო შეჯიბრებები. რადგან ხარჯები იყო საჭირო, მთხოვა, საკითხი შემეთანხმებინა განათლებისა და სპორტის რაიონულ განყოფილებებთან. ასეც მოვიქეცი. დავიწყეთ მზადება: კეთილმოვაწყვეთ სპორტული არენები, შევიძინეთ ინვენტარი, ღონისძიებამ კარგად ჩაიარა, ხარჯები კი გამგეობას წარვუდგინეთ. ამ დროს, პერტაია გარდაიცვალა, ხოლო ახალმა გამგებელმა მამუკა ვეკუამ მატერიალურ ანაზღაურებაზე უარი გვითხრა...

2004 წლის 25 სექტემბერს ვეკუა ატარებს თათბირს და მოითხოვს, გაიმართოს რაიონის პირველობა მინი-ფეხბურთსა და მძლეოსნურ ხუთჭიდში, ორ-ორ ასაკობრივ ჯგუფში. სკოლის დირექტორმა და ფიზაღზრდის მასწავლებელმა საკუთარი ფული დაბარჯეთ. ჩვენმა ორივე გუნდმა პირველობა მოიპოვა. გამგეობამ ხარჯები არ აგვინაზღაურა. მივართვი მოხსენებითი ბარათი, სადაც ვამხილე მათი ფინანსური დარღვევები. გამგებელმა ეს იუკადრისა და სასამართლოში მიმიყვანა. შეურაცხყოფისთვის 6 ათასი ლარი ჯარიმა და საყაროდ ბოდიშის მოხდა მომთხოვა. სასამართლო მოვიგე.

ამის შემდეგ, გამგებელმა იერიში მიიტანა სკოლის დირექტორზე, რომელიც ასაკის მოტივით გაათავისუფლა. ახალმა დირექტორმა ორივეს დაგვინყო დევნა-შევიწროება. მე სპორტის საწრეო განაკვეთი მომიხსნა. 2002-2005 წლებში ფიზაღზრდის გაკვეთილებს საკუთარი ინვენტარით ვატარებდი. 2006 წლიდან სკოლა თვითდაფინანსებაზეა და ინვენტარზე ფულს მაინც არ იძლევიან. პასუხად, დირექტორი ილანძღება, საყვედურიც გამომიცხადა... რა სიკეთეს უნდა ელოდე რაიონის ისეთი ხელმძღვანელისგან, რომელიც ხელმოკლე ოჯახებს შვილების გაჩენას უკრძალავდა. ამას რაიონის გაზეთი წერდა. მითვისებულ თანხებში სპორტისთვის გამოყოფილი 25 ათასი ლარიც შედიოდა, ამასთან, გავრცელდა 40 ათასი ლარის არარეგისტრირებული საფეხბურთო აბონემენტები. პოლიციის რევიზორი ბინაზე მეწვია და მაჩვენა უწყისი, სადაც 1200 ლარის მიღებაზე, ჩემ მაგივრად, ხელი სხვას აქვს მოწერილი. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ სკოლას 900 ლარი გამოუყვეს, ვითხოვდი სპორტულ ინვენტარს, რომელიც არ შეიძინეს, ხოლო თანხა სად გაქრა, არ ვიცი. ჩვენს პრობლემებზე ორჯერ მოვახსენე განათლების მინისტრსა და მის მოადგილეს, სამჯერაც რაიონის ხელმძღვანელებს. მტკიცებულებები აკლიაო, მიპასუხეს. ასე მგონია, დამცინიან. მე პედაგოგი ვარ და არა გამომძიებელი. არადა, სკოლის ახალმა დირექტორმა, ჩიქოვანმა, გააუქმა სპორტული წრეები და ახლობლებისთვის შექმნა ხელოვნების, ცეკვის, სადირიჟორო წრეები; არ ადარდებს ორი სპორტული დარბაზის ბედი, რომელიც სარემონტოა, ღია სპორტულ მოედნებს შორის იდგა ასწლოვანი კაკლის ხე, რომელიც ბარბაროსულად მოაჭრევინა. მისი განკაგულებით, თვითნებურად, ბანკის გვერდის ავლით, იხარჯება მშობლების მიერ გადახდილი ფული; სკოლის სამეურვეო საბჭოში 6 წევრიდან 3 მისი ნათესავია; სასკოლო ჟურნალებში ირიცხებიან ისეთი მოსწავლეებიც, გაკვეთილებზე თვალითი რომ არავის უნახავს. ეს კეთდება ვაუჩერების გაზრდის მიზნით.

რაც ამ წერილში ითქვა, ყველაფერზე პასუხს ვაგებ".

პატივისცემით,

კოტე ყურაშვილი

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

ქარიშხლიანი იმედი

იმედი-ქარიშხალა 28:27

იმედი: ვახანია, გონჩაროვი, ჟღენტი, ქარდავა (5), ბერიაშვილი, კერესელიძე, ყავლაშვილი (11), საბანაშვილი, თეთრუაშვილი (1), მაისურაძე (11), ცოტაძე, ბიდოდაშვილი

ქარიშხალა: გ. გორონჯაძე (1), ქანთარია, ლობჟანიძე, ი. ტორონჯაძე (4), ჯოხარიძე (2), მუმლაძე, ჩიხლაძე (1), ჯორბენაძე, სხიერელი (7), სეთურიძე, ამირანაშვილი, მელქოშვილი (12), ჯობავა, ფერაძე, მანდულაშვილი

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ვახტანგ ბერიაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სტუ-თელავი	14	12	1	1	+190	25
2. თბილისი	14	12	1	1	+165	25
3. იმედი	16	6	1	9	-112	13
4. ქარიშხალა	15	5	1	9	-17	11
5. მამული	15	0	0	15	-226	0

გრძგბარდირები: გიორგი წივწივაძე (თბილისი – 137), რამაზ შონია (მამული – 102), აკაკი ტალახაძე (სტუ-თელავი – 81)

მოყვარული მეკარე ვარ, ოლონდ ფეხბურთში და რაკილა ფეხბურთზე წერა საკმაოდ იშვიათად მიწევს, ხელბურთელ მეკარეთა თამაშს ვაკვირდები ხოლმე. მე შენ გეტყვი და საბაბს არ მოგცემენ! ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ჩვენს სახელბურთო ჩემპიონატში ყველაზე ნაკლებად კარგი მეკარეების პრობლემაა. ფაქტობრივად, ხუთივე კლუბს ჰყავს კარგი გოლკიპერი და ყველა მთელ სეზონს ბრწყინვალედ ატარებს.

ამ ბოლო დროს, რატომღაც ამეკვიატა, რომ გოლების გარდა, მეკარეთა მიერ მოგერიებულ ბურთებსაც ვითვლი და საოცარი შედეგების მომსწრე გავხდი. თითოეული გოლკიპერი მატჩში, მინიმუმ, 15 დარტყმას იგერიებს და არც მათ მიერ გატანილი გოლებია სანთლით საძებარი. ვერ გეტყვით, ეს მათი კლასის ბრალია, თუ მოედნის მოთამაშეთა უკლასობის, მაგრამ სტატისტიკა ასეთია.

ახლა კი უშუალოდ გუშინდელ მატჩში მონაწილე მეკარეთა სტატისტიკას გადახედეთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ. "ქარიშხალას" კარის დარაჯმა **გიგა ტორონჯაძემ** 16 დარტყმა უკუაგდო (მათ შორის, ერთი პენალტი) და ერთხელაც საკუთარი კარიდან გაუტანა წინ გამოსულ კოლეგას.

თუკი ტორონჯაძე უფრო პირველი ტაიმის გმირი იყო, "იმედის" მეკარე **ალექსანდრე გონჩაროვმა** მთელი ნახევარი საათი სასწაულები აკეთა, 27-ჯერ (!) არ დაანება გოლის გატანა მეტოქეებს და ერთიც პენალტი უკუაგდო. უკანასკნელ წამებზე კი გუნდს გამარჯვება მოუტანა – თუმცა, ამაზე ქვემოთ.

"იმედი" - "ქარიშხალას" მატჩი საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებდა. გამარჯვებული, ფაქტობრივად, ინაღდებდა რეგულარული ჩემპიონატის მესამე ადგილზე დასრულებას. ეს კი ბრინჯაოს მედლისთვის გასამართ ფლეიოფში მოედნის უპირატესობას ნიშნავს. საამისოდ, ქარიშხალელებს ფრეც ჰყოფნიდათ, "იმედს" კი გამარჯვების გარდა არაფერი აძლევდა ხელს.

პირველი ტაიმის საწყისი ოცი წუთი თანაბარ ბრძოლაში გაილია. ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ მინიმალური სხვაობით და ხანაც მეორე. ტაიმის მიწურულს კი "ქარისხალა" გააქტიურდა და შესვენებაზე სამბურთიანი ფორით გავიდა 13:10.

როგორც მოსალოდნელი იყო, კულმინაციური მომენტი მეორე ტაიმში დადგა, რომელიც საკმაოდ დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. ჯერ სტუმრები დაწინაურდნენ ოთხი ბურთით, მერე "იმედის" ერთ-ერთმა ლიდერმა **აკაკი ყაველაშვილმა** აიწყვიტა, რომელმაც ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე ორბურთიანი ფორა უბოძა თანაგუნდელებს. მას წამოეშველა **უჩა მაისურაძეც** და მალე "იმედი" მატჩში პირველად დაწინაურდა სამბურთიანი სხვაობით.

თუმცა გლდანელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, ანგარიში გაათანაბრეს და "იმედს" ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა.

მატჩის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა, როდესაც შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე, მაისურაძემ 28:27 დააწინაურა "იმედი" და როგორც მერე აღმოჩნდა, ეს გოლი გამარჯვებისა იყო. მართალია, უკანასკნელ წამებზე "ქარიშხალას" სასურველი ფრშს მიღწევაც შეეძლო, მაგრამ "ცხრიანში" წასული, ფაქტობრივად, მკვდარი ბურთი გონჩაროვმა ბრწყინვალე ნახტომში მოხსნა და ანგარიში უცვლელი დარჩა.

ასე რომქ "იმედმა" რეგულარული პირველობა მესამე ადგილზე დაასრულა და "ბრინჯაოს ფლეიოფში" თავადვე გადაწყვეტს, იგივე "ქარიშხალასთან" პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე ჩაატაროს თუ სტუმრად. შეგახსენებთ, რომ ფლეიოფში გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში ვლინდება.

დღეს, თელავში, 14 საათზე, რეგულარული პირველობის დამაგვირგვინებელი კიდევ ერთი ჯახია. ადგილობრივი სტუ-"თელავი" "თბილისს" დაუხვდება და საჩემპიონო ფლეიოფებში საკუთარი მოედნის უპირატესობისთვის, ფრეც აძლევს ხელს.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

ირინა მალაციძე და დავით ლანჩავა

ქართული წყვილი როლან გაროსზე

ბურთის მწვრთნელმა, ქალბატონმა **ირინა მალაციძემ** გაიარეს. ფინალში მათ ოჯახური წყვილის - **ხათუნა კეკელიასა და ნუკრი ღონღაძის** დამარცხება შეძლეს ოთხ სეტში: 7:4, 8:6, 2:7, 7:2.

ტურნირის მთავარი პრიზი ჩემპიონი წყვილის წლევანდელ "როლან გაროსზე" გამგზავრება იყო - გამარჯვებულები საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დასკვნითი კვირის შეხვედრებს უშუალოდ მიადევნებენ თვალს. "პეჟოს" თასი ჩატარდა ასაკობრივ ჯგუფებშიც - 10, 12, 14 და 16 წლამდე გოგო-ბიჭებს შორის.

"პეჟოს" თასის პირველი გათამაშება ახლადშექმნილი ვეტერანთა და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის ეგიდითაც მიმდინარეობდა. ფედერაცია ახლახან დაფუძნდა და მას სათავეში წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ვლადიმერ გოგლიძე ჩაუდგა.

- ვეტერანებისა და მოყვარულთა ჩოგბურთი მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და უამრავი ტურნირი ტარდება. საქართველოში, სამწუხაროდ, მსურველი ბევრია, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის გამო ჩოგბურთის თამაში არ შეუძლიათ. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი უფულობაა, - ბევრს არ ძალუძს კვირაში ორჯერ-სამჯერ მოვიდეს კორტებზე და საათში 10 დოლარი გადაიხადოს. ყველას ალბათ გადასახადებისგან ვერ გავათავისუფლებთ, მაგრამ შეღავათებს კი დავაწესებთ.

26-27 მაისს აჩიკო კეკელიას 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ტურნირს ჩავატარებთ. შემდეგ ივნისის დასაწყისში ბათუმში ვგეგმავთ ტურნირს, ამას თბილისში რენა აბჟანდაძის თასის გათამაშება მოჰყვება, ხოლო შემდგომში ვანო ელერდაშვილის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ასპარეზობებს გავმართავთ. ამას გარდა, აუცილებლად უნდა ჩავატაროთ საქართველოს ჩემპიონატი ვეტერანთა და მოყვარულთა შორის.

ზვიად შათირიშვილი

ჰერეთი

ქაოსის დასასრული

ხელი მოეწერა კარატისტთა ერთ ორგანიზაციად გაერთიანების ხელშეკრულებას

გუშინ, საქართველოს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. თემა, საქართველოში ორთაბრძოლების ფედერაციების გაერთიანება და საერთო სამოქმედო გეგმის შექმნა იყო. „საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაციის" ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და პროექტის ავტორი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, **კახა ბასილიაა**. მას ქართული კარატეს სხვა წარმატებული ხელმძღვანელებიც უჭერენ მხარს.

„საქართველოში აღმოსავლური ორთაბრძოლების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო და ქაოსს ბოლო უნდა მოღებოდა. ამიტომაც, მსოფლიოში კარგად აპრობირებული მსგავსი ფედერაციების მართვის მაგალითები განვიხილეთ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ერთად და საბოლოოდ ამ ვარიანტზე შევჩერდით. ჩვენ მზად ვართ, სპორტის დეპარტამენტთან ერთად ვიზრუნოთ საქართველოში საბრძოლო ხელოვნებათა განვითარებასა და პოპულარიზაციაზე, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობაზე მრავალმხრივად დადებითად აისახება. დღეს კი სწორედ ამ ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ერთად", — განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე საკმაოდ მკაცრად აღნიშნა: „ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს საქართველოში ორთაბრძოლების ფედერაციებს შორის ქაოსსა და გაურკვეველ სიტუაციას. ჩვენთან არსებული მრავალრიცხოვანი ფედერაციები, კლუბები და სტილები ერთმა ორგანომ უნდა აკონტროლოს და ამას საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაცია საკმაოდ კარგად გაართმევს თავს, რადგან მისი ერთ-ერთი მოთავე და სულისჩამდგმელი, ბატონი კახა ბასილია ამ სფეროს საკმაოდ გამოცდილი და საუკეთესო მმართველი, ამასთან აღმოსავლური ორთაბრძოლების მაღალი რანგის ოსტატია. ამის თქმის უფლებას მისი ფედერაციის წარმატებული მოღვაწეობა მაძლევს. ამაზე სულ ახლახან, 28-29 აპრილს, მისი ხელმძღვანელობით ირლანდიაში ორთაბრძოლების მსოფლიო თამაშებზე მიღწეული წარმატებაც ნათლად მეტყველებს: ხუთკაციანმა ნაკრებმა ოთხი მედალი მოიპოვა. მათ შორის ერთი ოქროსი, რომელიც თავად ბატონი კახა ბასილიას ეკუთვნის. ეს მეტად ძვირფასი ჯილდო მან საქართველოს მოუტანა ვეტერანთა შორის, კატაში. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სპორტის დეპარტამენტის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო, მივულოცო ახალი წარმატება და შესაბამისი დიპლომითაც დავაჯილდოვო ივი.

ახლა, რაც შეეხება ახალშექმნილ ასოციაციას: კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ორთაბრძოლების ყველა ფედერაციამ და კლუბმა, ინტენსიურად ითანამშრომლონ მასთან, რადგან იგია სპორტის დეპარტამენტთან პასუხისმგებელი. სპორტის დეპარტამენტს კი, თავის მხრივ, მხოლოდ მასთან, ერთ ადამიანთან ექნება ურთიერთობა და მასთან ითანამშრომლებს. ერთად გადავწყვეტთ ყველა საკითხს და პრობლემას. წარმატებას ვუსურვებ ბატონ კახა ბასილიას და მის თანამებრძოლებს. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მათ საბრძოლო ხელოვნების განვითარებასა და წარმატების მიღწევაში", - განაცხადა პრესკონფერენციაზე **დავით ნამგალაურმა.**

ნუგზარ ჭიაბერაშვილი,
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეს-მდივანი

სპორტი ყველასათვის

კერლი სალუქვაძის ფოტო

სროლის ხმა კოლეჯში

თბილისის უმრავლეს სასწავლებლებში, ბოლო წლებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციური მუშაობა, კერძოდ, პნევმატური იარაღიდან სროლაში მეცადინეობები და შეჯიბრებებიც ნაკლებად ტარდება. დავინყებას მიეცა სარაინო და სპეციალური პირველობები. ბედნიერი გამონაკლისია თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯი (დირექტორი **კახა ბაბილოძე**). ამ კოლეჯს კარგი სპორტული ბაზები გააჩნია, მათ შორის ტირი. ამიტომაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული თავდაცვითი სპორტულ-ტექნიკური და ტურიზმის ცენტრალურმა სასპორტო სკოლამ (დირექტორი **მამუკა კლარჯეიშვილი**) კოლეჯში სროლის სექციები გახსნა. მწვრთნელებად მუშაობენ **ტარიელ ორდინიძე, ანზორ ახალკაცი** და **კარლო სალუქვაძე**. ახლახან აქ ჩატარდა თბილისის ღია ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

ვაჟები: 1. **ნოდარ ჩალაძე**, 2. **დათო ლობჟანიძე**, 3. **ფრიდონ სამადაშვილი** და **ირაკლი ყურავა** (ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა).

გოგონები: 1. **ოქსანა მარქაროვა**, 2. **ნათია ბაღაკაშვილი**, 3. **ლია ელიზბარაშვილი**.

ომარ ჩხაიძე

თბილელი

ნონა. გაფრინდაშვილი დაიბადა 03.05.1941, ზუგდიდი. ჭადრაკი. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ქალთა შორის. ჩემპიონობა მოიპოვა 1962 წელს ელიზავეტა ბიკოვას დამარცხებით (9:2), შემდეგ კი ტიტული ოთხჯერ დაიცვა: 1965 (8,5:4,5), 1969 (8,5:4,5) და 1972 (8,5:7,5) წლებში სამჯერ მოუგო ალა კუშნირს, 1975-ში კი - ნანა ალექსანდრიას (8,5:3,5). ტიტული დათმო 1978 წელს მაია ჩიბურდანიძესთან მატჩში (6,5:8,5). საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1976) და კაცთა შორის (1978, ჭადრაკის ისტორიაში პირველად). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის ჩემპიონი (1963, 66, 69, 72, 74, 78, 80, 82, 84, 86 - სსრკ ნაკრებში; 1992 - საქართველოს ნაკრებში). სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1964, 73, 81, 83, 85), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1969, 72). ჭადრაკის "ოსკარის" პირველი მფლობელი (1982). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი (ოქროს პრიზი). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1969, 75). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964). 1997 წელს ფიდეს 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, რომელიც გადაეცემა კაცთა და ქალთა ოლიმპიადების ჯამში საუკეთესო ქვეყანას. საქართველოს ერთნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989-96) და საპატიო პრეზიდენტი (1996-დან). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-86). 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (2001). ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ერთნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენი.

ინტერვიუ სტივ ნეშთან

ჩემი სამი სეზონი თუ კიდის კარიერა?

ბოლო ორი რეგულარულია, კანადელი ფლეიმეიქერი სტივ ნეში არავის უთმობს საუკეთესო მოთამაშის ტიტულს და დიდი შანსია, რომ "ფინიქს სანზის" ლიდერს ეს პატივი ზედიზედ მესამედ ერგოს. ნეშის ფენომენალური თამაშით არიზონელებმა გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარეს და მიმდინარე ფლეი ოფშიც ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებად ითვლებიან. რა თქმა უნდა, "ფინიქსი" მარტო ნეში არ არის, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ შონ მერიონს, ამარე სტაუდმაიერსა და ლეანდრო ბარბოსას უნეშოდ თუნდაც 45 შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულება გაუჭირდებოდათ. სპეციალისტების აზრით, ლიგის ჩემპიონი წელს დასავლელი იქნება და სამი ბოძოლა გუნდიდან ("დალასი", "ფინიქსი", "სან ანტონიო"), ერთ-ერთი უეჭველი მიაღწევს წარმატებას. პირველ წრეში "ფინიქსი" "ლეიკერსს" უკვე 3:1 უგებს, რაც, ისევ და ისევ, ნეშის დამსახურებაა. სერიის ბოლო მატჩში კანადელმა 23 შედეგიანი გადაცემა დააგროვა და ფლეი ოფის ყველა დროის რეკორდამდე (რომელიც ჯონ სტოქტონს ეკუთვნის), ერთი ზუსტი პასიღა დააკლდა. არიზონელები თითქმის მეორე წრეში არიან, სადაც მათი მეტოქე "სპურსი" უნდა იყოს, რომელიც ამ ეტაპზე ასეთივე ანგარიშით უგებს "დენვერს".

- სტივი, როგორც ვიცი, "ლეიკერსთან" სერიის წინ, რასელ ქროუსთან ისადილეთ და ერთი საინტერესო სანაძლეოც დადეთ. დეტალებს ხომ ვერ გაგვანდობთ?

- განსაკუთრებული არაფერი, მეგობრული შეხვედრა და მეგობრული სანაძლეო იყო. თუ ჩემპიონი "სანზი" გახდება, რასელი მომდევნო სეზონში ჩემი გუნდის წლიურ აბონემენტს შეიძენს და ფინიქსში სამ საქველმოქმედო აქციას ჩაატარებს, ხოლო თუ ფლეი ოფს "ჩიკაგო" მოიგებს, მაშინ ავსტრალიაში ჩასვლა და იქაურ ბავშვებთან ერთად, ერთი კვირა ვარჯიში მომიწევს.

- რასელი კალათბურთში კარგად ერკვევა?

- თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ კარგად. მან იცის, რომ ყველაზე მეტჯერ ჩემპიონი "სელტიქსი" ყოფილა, რომ მაიკლ ჯორდანი "ჩიკაგოში" თამაშობდა და რომ დღეს საუკეთესო მოთამაშე სტივ ნეშია

- თქვენ რამდენად გჯერათ სანაძლეოს მოგების?

- რომ არ მჯეროდეს, რასელს არ წამოვიკიდებდი, არა?

- შარშანდელი სერიისგან განსხვავებით,"ფინიქსი" უფრო დამაჯერებელ კალათბურთს თამაშობს. ნუთუ, ამარე სტაუდმაიერის დამატება ასეთი მნიშვნელოვანი იყო?

- რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა საქმე მხოლოდ ეს არ არის. "ფინიქსი" გაიზარდა, მოთამაშეებს ერომანეთის მეტად სჯერათ და ყველამ იცის, რომ მიმდინარე ფლეი ოფში, ჩვენს გუნდს ჩემპიონობის საკმაოდ რეალური შანსები აქვს. ყველა მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ საკუთარი გუნდის ძალაში დარწმუნებული ვარ. სტაუდმაიერის დამატებით კი "სანზი" ბევრად მობილური გუნდი გახდა. რთული იყო ისეთ მოწინააღმდეგესთან თამაში, ვისაც სამწამიანში ერთი ბეჭემოტი ჰყავდა და ამის გამო, სროლების დიდი ნაწილი პერიმეტრიდან უნდა შეგვესრულებინა. არც ასეთი შეტევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თუ ფლეი ოფში ძლიერი მეფარე არ გყავს, წარმატების მოპოვების შანსი მცირდება. რამდენი სამიანი უნდა ჩააგდო, რომ მეტოქის საფარქვეშეთო უპირატესობა გაანეიტრალო?

- მოდით, "ლეიკერსთან" შარშანდელი და წლევანდელი სერიები შევადაროთ ერთმანეთს.

- წლევანდელი სერია ჯერ არ დასრულებულა, თუმცა იმედი მაქვს, შემდეგ წრეში ჩვენ გავალთ. "ლეიკერსი" შარშან უფრო... არც კი ვიცი, როგორ დავახასიათო, ალბათ, უბრალოდ სხვა კალათბურთს თამაშობდა, რომელიც ჩვენთან სერიაში შედეგს იძლეოდა, წელს კი მათ ისევ, და ისევ, მხოლოდ კობის დატვირთვა დაიწყეს და ბრაიანტის ფენომენალური ნიჭის მიუხედავად, უპირატესობა ჩვენს მხარესაა. კობი ფლეი ოფში ისევე თავისუფლად ვერ ითამაშებს, როგორც რეგულარულში, სხვები კი მას შეჰყურებენ. შეიძლება ვცდები, მაგრამ შარშანდელთან შედარებით, გუნდი უფრო პასიურია. თავისთავად, როდესაც მეტოქეს ფილ ჯექსონი წვრთნის, ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ არა მგონია, "ლეიკერსმა" მოახერხოს იმის გაკეთება, რაც შარშან "ფინიქსმა" შეძლო. ზედიზედ 3 თამაშს არ წავაგებთ.

- წინა ფლეი ოფში "ლეიკერსმა" აქცენტი სამწამიანიდან შეტევაზე გადაიტანა და თავიდან ამან გაამართლა კიდეც.

- გეთანხმებით. კვამე ბრაუნმა და ლამარ ოდომმა პირველი 4 შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს, მაგრამ მერე და მერე უპირატესობა ჩვენს მხარეს გადმოვიდა. ძალიან კარგი სერია ჩაატარა შონ მერიონმა, რომელიც ჩვენი გუნდის საუკეთესო დამცველია. ლეანდრო ბარბოსამ წელს დამსახურებულად მოიპოვა საუკეთესო სათადარიგოს პრიზი, მაგრამ შარშან იგი არანაკლებ სასარგებლო იყო ჩვენი გუნდისთვის. სხვებიც მაღალ დონეზე თამაშობდნენ და წელსაც იგივეს აკეთებენ. "ფინიქსს" ამ შემადგენლობით კიდევ ბევრი მატჩისა და სერიის მოგება შეუძლია.

- შანსი რომ მოგეცეთ, მარკ კიუბანის გუნდში ("დალასი") თუ დაბრუნდებოდით?

- ამის შანსი მარკ კიუბანს უნდა მიეცეს და მერე ვნახოთ, რა მოხდება. მომავალზე საუბარი არ მიყვარს, თუმცა, "მავერიქსში" რომ კარიერის ძალიან კარგი პერიოდი გავატარე, ეს პირველ რიგში, მარკის დამსახურებაა, რომელიც თავისი გუნდის ყველა მოთამაშეს საუკეთესო პირობებს უქმნიდა. ნოვიცკი სხვაგან ასეთი დონის ვარსკვლავად ვერ იქცეოდა და ეს დირკმაც მშვენივრად იცის. ბევრი თქვენი კოლეგა მარკს აკრიტიკებს, მიიჩნევს, რომ კიუბანი ზედმეტად ერევა გუნდის საქმეებში, მაგრამ როდესაც წლიურად გუნდს 250 მილიონ დოლარს ახარჯავ, მგონი გაქვს იმის უფლება, რომ ხანდახან დაინტერესდე - რა ხდება გუნდში და რა არის გასაკეთებელი საერთო ატმოსფეროს გამოსწორებისთვის. მოკლედ, კიუბანისადმი დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და "დალასსაც" ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ.

- "დალასი" შეძლებს თავისი სერიის მოგებას?

- გაუჭირდება, მაგრამ მოიგებს (ეს ინტერვიუ "დალასისა" და "გოლდენ სტეიტის" მეხუთე მატჩამდე გამოქვეყნდა - რედ.). გუნდი, რომელმაც რეგულარულის მსვლელობისას ზედიზედ 17, 13, 12 და 11 შეხვედრის მოგება შეძლო, 3 მატჩსაც მოიგებს. ისე, არ მიკვირს, რომ დონ ნელსონი ფავორიტს ასეთ პრობლემებს უქმნის. ეს "მავერიქსი" ხომ თითქმის მთლიანად მისი დაკომპლექტებულია. დონმა მშვენივრად იცის სათითაოდ ყველა მოთამაშის ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ "მავერიქსი" გუნდური თამაშით გავა შემდეგ ეტაპზე. "გოლდენ სტეიტისთვის" კი წლევანდელი ფლეი ოფი წარსულის დიდების, კარგი შედეგებისა და დარბაზში ფანების დაბრუნების საუკეთესო საშუალება იქნება.

- "სან ანტონიო" და "დენვერი"?

- საინტერესო სერიაა, თუმცა აქაც გუნდური თამაში იქნება გადამწყვეტი და ამ მხრივ, "სპურსი" "ნაგეტსზე" ძლიერია. თან მათ ტიმ დანკანი ჰყავთ.

- შეძლებდით თუ არა ტიმთან, შაკთან და გარნეტთან ერთად თამაშს?

- ეს ჩემთვის უდიდესი პატივი და გამოწვევა იქნებოდა. სამივე მოთამაშემ მთელი ეპოქა შექმნა, თუმცა ალბათ, კევინისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მასთან ერთად თამაში ოდნავ რთული იქნებოდა. თუ გუნდში გამთამაშებელი ფორვარდზეა დამოკიდებული და პასს მისგან ელის (რაც პირიქით უნდა იყოს), ესე იგი, ფლეიმეიქერს შეზღუდული დრო, ფიქრისთვისა და იმპროვიზაციისთვის ცოტა შანსი ეძლევა, ჩემთვის კი ეს მიუღებელია. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, გარნეტი უდიდესი მოთამაშეა, მაგრამ შაკთან და ტიმთან ერთად გუნდის ოლიმპზე აყვანა გაცილებით მარტივი და სასიამოვნო იქნებოდა. ვიცი, გარნეტმა ეს რომ წაიკითხოს, ჩემი მისამართით ერთ-ორ "ტკბილ" სიტყვას გაისვრის, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და კევინსაც ამის გამო ბოდიშს ვუხდი.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში არ წყდება დავა იმის შესახებ, თუ ვინ არის საუკეთესო ფლეიმეიქერი - ნეში თუ ჯეისონ კიდი. თქვენ რას ფიქრობთ?

- და ვინც ამაზე მსჯელობს, ერთსა და იმავეს ამბობს – ნეში მთელ ენერგიას შეტევის ორგანიზებას ახმარს და დაცვაში თამაშისთვის ვერ იცლის, კიდი დაბერდა, მაგრამ მაინც ცდილობს, ყველაფრის გაკეთება მოასწროსო. ჯეისონ კიდს ჩემზე წარმატებული კარიერა ჰქონდა და ახლაც კი სიამოვნებით ვადევნებ თვალს მის გამოსვლას. კიდისგან ყოველთვის შეიძლება რაღაც ახალი, საინტერესო ისწავლო, მისი თამაში წიგნივითაა, სადაც ძველი ქვეთავები ისე შეგიყვარდა, რომ ადრე თუ გვიან, მათ ახლიდან კითხულობ. ასე რომ, თუ ჯეისონს მადარებენ, ამისი წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. ჩემთვის ეს დიდი პატივია. თავიდან მთლად სტაბილურად ვერ ვთამაშობდი, ჯეისონს კი ყოველთვის ლიდერის ფუნქციების შესრულება ევალებოდა. ჩემი ბოლო სამი სეზონით კმაყოფილი ვარ, მაგრამ კიდს ხომ თითქმის ყველა რეგულარულში ასეთივე სტატისტიკა ჰქონდა. წლეულს რამდენ მოხსნას აგროვებდა? თუ არ ვცდები, ლამის საშუალო სამმაგი დუბლი გააკეთა, არა? ის, რომ "ნიუ ჯერსი" ბოლო 4-5 წლის განმავლობაში აღმოსავლეთის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, პირველ რიგში, მისი დამსახურებაა, "ფინიქსი" კი სტივ ნეშამდეც სტაბილურად ახერხებდა ფლეი ოფში გასვლას.

- რამდენად მოულოდნელი იყო "ჩიკაგოსთან" "მაიამის" ასეთი ანგარიშით დამარცხება?

- ჩემპიონი ერთ თამაშსაც რომ ვერ იგებს, ეს თავისთავად, ყოველთვის დიდი სენსაციაა, თუმცა "მაიამის" მთელი სეზონის განმავლობაში დიდი პრობლემები ჰქონდა, რაც პირველ რიგში, საუკეთესო მოთამაშეების ტრავმებთან იყო დაკავშირებული. ასე რომ, ჩემი აზრით, ჯანმრთელი "პიტი" არა მარტო "ბულზისთვის", არამედ ნებისმიერი ოპონენტისთვის გაცილებით რთული მოწინააღმდეგე იქნებოდა. ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს.

- სეზონის საუკეთესო დამცველის პრიზი მარკუს კემბიმ მოიპოვა, თუმცა ბევრის აზრით, ჯილდო შონ მერიონისთვის უნდა გადაეცათ.

- ვერ ვიტყვი, რომ დაცვაში თამაშით შონმა მარკუსზე კარგი სეზონი ჩაატარა, თუმცა ფაქტია, მერიონისთვის ამ მხრივ, ეს კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული რეგულარული იყო. შონს მსროლელიდან დაწყებული, ცენტრით დამთავრებული, ყველა ამპლუის მოთამაშის წინააღმდეგ თამაში თანაბრად შეუძლია და ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის უნივერსალიზმს. მარკუსი კი ღირსეული გამარჯვებულია. ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და "დენვერის" წინააღმდეგ მატჩებში ყოველთვის დიდ პრობლემებს ვაწყდებოდით.

- ბოლო კითხვა. ვინ გახდება MVP?

- ჩემს ხმას დირკს მივცემდი. იცით, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის მხრივ, ალბათ, კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩავატარე, დავიღალე იმის მოსმენით, რომ სტივ ნეშისთვის ზედიზედ მესამედ ამ პრიზის გადაცემა, პროფესიული კალათბურთის სირცხვილი იქნებოდა, იმის გამო, რომ მაიკლ ჯორდანსაც კი არ ღირსებია მსგავსი აღიარება. თანახმა ვარ, საუკეთესო მოთამაშედ დირკი დაასახელონ. ნოვიცკიმ, "დალასის" ფენომენალურ რეგულარულში, ეიერი ჯონსონთან ერთად ყველაზე დიდი როლი ითამაშა და ღირსეული გამარჯვებულიც იქნება.

ზურაბ თალაკვაძე



სტივ ნეში

ძველი ბიჭი სტივენ ჯექსონი

NBA. ფლეი ოფი. I წრე

მეომრებს სერიის მოგება არ უნდათ?

რაც არ უნდა აქონ და ადიდონ "მავერიქსის" გერმანელი მეგავარსკვლავი **დირკ ნოვიცკი**, რამდენიც არ უნდა ისაუბრონ ტეხასელთა მებრძოლ ხასიათზე, სერიის მეხუთე მატჩი "დალასს" არ მოუგია - "გოლდენ სტეიტმა" წააგო.

როგორია, შეხვედრის მსვლელობისას მტრულად განწყობილ დარბაზში ოპონენტთან 21 (!) ქულას აგებდე, მერე და მერე მატჩის მსვლელობა საშენოდ შეატრიალო, ძირითადის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 9 ქულით წინ გახვიდე და მაინც წააგო? აი, ასეთი დაუწერელი სცენარით განვითარდა **დონ ნელსონის** ყოფილი და ახლანდელი გუნდების დაპირისპირების მეხუთე აქტი და სერია რომ შორს არის თავისი ენდშპილისგან, ამაში ბევრი დაგვეთანხმება.

"გოლდენ სტეიტი" ძირითადის დასრულებას 3 წუთი და 14 წამი რომ უკლდა, **ბაირონ დევისის** ავანტიურული სამიანით 112:103 გავიდა წინ, რაც **ეიერი ჯონსონის** წუთშესვენება მოჰყვა.

აი, აქედან მოყოლებული კი, "დალასს" მეტოქისთვის ერთი ქულა რაა, ისიც არ დაუნებებია. მასპინძლები მაქსიმალურად ყურადღებით იდგნენ დაცვაში, ხოლო სტუმრები კი ამჯერადაც მათმა მოძველბიჭო ელემენტებმა, კერძოდ კი **სტივენ ჯექსონმა** და **ელ ჰარინგტონმა** დააღალატეს.

ჯექსონმა მეორე მატჩის დარად, კვლავ მსაჯზე გაინია და ეგრევე ტექნიკური მიიღო, ხოლო ჰარინგტონს კი რეფერისთვის წუთშესვენებისას უგინებია. გასაკვირია, რატომ არ დასაჯეს ჰარინგტონიც, მაგრამ ფაქტია, რომ ლიგის კომისარი **დეივიდ სტერნი** მომხდარს უყურადღებოდ არ დატოვებს და "გოლდენ სტეიტს" სერიის მეექვსე, ალბათ, გადამწყვეტ შეხვედრაში იქნებ სასტარტოს ერთბაშად ორი წევრი დააკლდეს.

დირკმა კი ბოლოში ფრთები გაშალა, მაგრამ რა გაშალა. გერმანელმა თავისი გუნდის უკანასკნელი 15 ქულიდან 12 დააგროვა, ორივე სამიანი გამოიყენა და ბაირონ დევისს ბურთის ტარებისას შეცდომა დააშვებინა. დარბაზიც სულ M-V-P, M-V-P-ს გაიძახოდა, დირკმა კი ნამატჩევს ლამის იტირა - ხალხს რომ ჩვენთვის მხარი არ დაეჭირა, ამ შეხვედრას ვერ მოვიგებდითო.

დონ ნელსონი?

"ამ ხალხს რატომღაც ჰგონია, რომ დაუსჯელი არავინაა. სტივენმა ერთხელ უკვე დაგვაღალატა. მეორედ ასე არ უნდა მოქცეულიყო. იგი სოლიდური თანხით დაისჯება", - აღნიშნა ბებერმა დონმა.

ზურაბ თალაკვაძე

ალმოსავლეთი

ტორონტო (3)–ნ. ჯერსი (6)	**98:96**

33:13, 26:29, 20:25, 19:29

ტორონტო: კალდერონი (25 ქ. 8 პ), ბარნიანი (18 ქ. 4 მ. 1 ჩ. 1 დ), ე. პარკერი (18 ქ. 6 მ), პიტერსონი (17 ქ. 5 მ), ბოში (11 ქ. 8 მ. 4 დ), ჯგრემი (4 ქ. 10 მ).

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (30 ქ. 5 მ), რ. ჯეფერსონი (23 ქ. 4 მ. 4 პ), კიდი (11 ქ. 10 პ. 7 მ), მური (6 ქ. 10 მ).

სერია 2:3

დასავლეთი

დალასი (1)–გ. სტეიტი (8)	**118:112**

38:28, 24:27, 28:32, 28:25

დალასი: ნოვიცკი (30 ქ. 12 მ. 3 პ), ჯოშ ჰოვარდი (23 ქ. 8 მ. 5 პ. 3 ჩ), დ. ჰარისი (16 ქ. 7 პ), სტეკჰაუზი (15 ქ), დიოპი (11 ქ. 7 მ), ტერი (11 ქ. 3 მ. 3 პ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (27 ქ. 9 პ. 4 მ), ჯ. რიჩარდსონი (23 ქ. 7 მ), ს. ჯექსონი (16 ქ. 5 პ. 4 მ. 4 ჩ), ბარნსი (16 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), მ. პიეტრუსი (11 ქ. 10 მ).

სერია 2:3

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

ანაჰაიმი ცალი ფეხით ფინალშია

აღმოსავლეთი

რეინჯერსი (6)-ბაფალო (1) 2:1

0:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 იაგრი-4 (ნიულანდერი-7, როჟსივალი-3), 2:0 შენეჰანი-5 (კულენი-3), 2:1 კოტალიკი-2 (ქონოლი-6).

სერია 2:2

ჯერჯერობით, მეტოქეები ამ სერიაში კარგად იყენებენ საკუთარი მოედნის ფაქტორს. ბაფალოში ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ, "რეინჯერსმა" შინ ორჯერ მოიგო და გაათანაბრა ანგარიში.

მასპინძლების გამარჯვება მისმა ვეტერანმა ფორვარდებმა და ბრწყინვალე შვედმა მეკარემ - **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** განაპირობეს. **იარომირ იაგრმა** და **ბრენდან შენეჰანმა** ორჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, ხოლო ლუნდკვისტმა 29 დარტყმა მოიგერია.

ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, ამჯერადაც საჭირო გახდა ვიდეორეფერის საქმეში ჩართვა. საფინალო სირენამდე 17 წამით ადრე, ლუნდკვისტმა ბაფალოელი **დანიელ ბრიერის** დარტყმა ზედ კარის ხაზზე შეაჩერა. სტუმრებმა ჩათვალეს, რომ შაიბამ პირითი ხაზი გადაკვეთა. მსაჯებმა დასახმარებლად ტექნიკას მიმართეს. პაუზა საკმაოდ დიდი ხანი გაიწელა და საბოლოოდ, მთავარმა არბიტრმა გოლი არ დააფიქსირა, რასაც ბაფალოელთა პროტესტი მოჰყვა.

ზედიზედ ორ ნაგებაში "ბაფალო", პირველ რიგში, თავად არის დამნაშავე. გუნდმა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი - 308 შაიბა შეაგდო, ბოლო სამ მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, "სეიბრზს" 10 მარტის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული ზედიზედ ორი თამაში.

სტუმრებმა ბოლო 10 წუთი ნამდვილი შტურმი მოაწყვეს "რეინჯერსის" კართან, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს. მატჩის შემდეგ, იარომირ იაგრმაც კი აღიარა, რომ ბოლო წუთებში მისი გუნდი მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. *"50 წუთი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ბოლოს დაცვის გარდა არაფერი გამოგვდიოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და კონფერენციის ფინალში გასვლის შანსი მოვიპოვეთ"*, - განაცხადა ჩეხმა ფორვარდმა, რომლის გუნდმაც ბოლო 20 წუთში მხოლოდ ოთხჯერ შეუტია **რაიან მილერის** კარს.

მართლაც, რეგულარულის ჩემპიონს ოდნავ ნერვიულობა ეტყობა და ამან, შესაძლოა "რეინჯერსის" წისქვილზე დაასხას წყალი.

ბოლო გოლი ლუონგოს კარში

დასავლეთი

ვანკუვერი (3)-ანაჰაიმი (2) 2:3 (ო)

1:0, 1:0, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 ნესლუნდი-4 (ოლუნდი-4, ლინდენი-5), 2:0 ბ. მორისონი-1 (დ. სედინი-3, ოლუნდი-5), 2:1 პრონგერი-3 (პალსონი-5, მეი-1), 2:2 სელიანე-3 (პრონგერი-8, კუნიტცი-5), 2:3 მოენი-3 (პალსონი-6, ს. ნიდერმაიერი-4).

სერია 1:3

მეოთხედფინალურ ეტაპზე ეს არის ერთადერთი სერია, რომელშიც ერთი გუნდი მეორეს ორი მატჩით უგებს.

"ვანკუვერს" ველარც მეკარე **რობერტო ლუონგოს** უდიდესი სათამაშო კლასი შველის. სწორედ კლასის ხარჯზე უგებს "ანაჰაიმი" ამ სერიას კანადურ კლუბს.

იმავე ლუონგოს გარდა, "კენაქსის" რიგებში ვინმეს გამოყოფა ძნელია. საშინელ ფორმაში არიან ტყუპი ძმები - **დანიელ** და **ჰენრიკ სედინები**. მთელს რეგულარულსა და სტენლის თასის პირველ ეტაპზე, სწორედ შვედები იყვნენ ხოლმე ყინულზე, როცა "ვანკუვერს" რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გუშინ, მწვრთნელი ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშებისას სედინებს სათადარიგოთა სკამზე სვამდა.

არადა, სერიის მეოთხე მატჩში მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. სტენლის თასზე მესამე პერიოდის წინ, ორშაიბიანი უპირატესობა დიდი ფორაა, მაგრამ საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე, ტაბლოზე უკვე 2:2 ეწერა, ხოლო ოვერტიამის დასაწყისში, **ტრევის მოენმა** მატჩის მოგების საბოლოო იმედი გადაუწურა "ვანკუვერს".

NHL. რეგულარული სეზონი 2006-07

ნომინანტები ცნობილია

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, 2006-07 წლების სეზონის მთავარი პრიზების ნომინანტები დაასახელა. 14 ივნისს, ტორონტოს Elgin Theatre-ში გაიმართება საზეიმო ცერემონიალი, სადაც გასული სეზონის გმირებს დაასახელებენ.

სამი პრიზის მფლობელი უკვე ცნობილია. **სიდნი კროსბიმ** ("პიტსბურგი") მოიგო Art Ross Trophy. ეს ჯილდო რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გადაეცემა. ახალგაზრდა პიტსბურგელმა ამ სეზონში 120 ქულა (36 გოლი+84 პასი) დააგროვა.

ვენსან ლეკავალიე ("ტამპა ბეი"), როგორც ლიგის საუკეთესო გოლეადორი, Maurice Richard Trophy-ის მიიღებს. ამ ფორვარდმა რეგულარული ყველაზე მეტი - 52 გოლით დაასრულა.

დაბოლოს, William Jennings Trophy-ის მფლობელები იქნებიან "მინესოტას" მეკარეები - **ნიკლას ბეკსტრიომი** და **მენი ფერნანდესი**, ანუ იმ გუნდის გოლკიპერები, რომელმაც ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვა.

ნომინანტთა სრული სია ასე გამოიყურება:

საუკეთესო მოთამაშე
HART MEMORIAL TROPHY

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი)
სიდნი კროსბი (პიტსბურგი)
რობერტო ლუონგო (ვანკუვერი)

საუკეთესო მეკარე
VEZINA TROPHY

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი)
მიკა კიპრუსოფი (კალგარი)
ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი)
რობერტო ლუონგო (ვანკუვერი)

საუკეთესო დებიუტანტი
CALDER MEMORIAL TROPHY

ევგენი მალკინი (პიტსბურგი)
ჯორდან სტაალი (პიტსბურგი)
პოლ შტასტნი (კოლორადო)

საუკეთესო მცველი
JAMES NORRIS TROPHY

ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი)
სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი)
კრის პრონგერი (ანაჰაიმი)

საუკეთესო მწვრთნელი
JACK ADAMS AWARD

ლინდი რაფი (ბაფალო)
მიშელ ტერიენი (პიტსბურგი)
ალენ ვინო (ვანკუვერი)

დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდი
FRANK J. SELKE TROPHY

როდ ბრინდამორი (კაროლინა)
სამუელ პალსონი (ანაჰაიმი)
ჯეი პანდოლფო (ნიუ ჯერსი)

წლის ჯენტლმენი
LADY BYNG MEMORIAL TROPHY

პაველ დაციუკი (დეტროიტი)
ჯო საკიკი (კოლორადო)
მარტინ სენტ ლუისი (ტამპა ბეი)

საუკეთესო მოთამაშე (ჰოკეისტების არჩევანი)
LESTER B. PEARSON AWARD

სიდნი კროსბი (პიტსბურგი)
ვენსან ლეკავალიე (ტამპა ბეი)
რობერტო ლუონგო (ვანკუვერი)



სიდნი კროსბი

რობერტო ლუონგო

მარტინ ბროდო

TV სპორტი

3 მაისი. ხუთშაბათი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.
14:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ამერიკა-კოლო კოლო.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 უიქენდის მატჩების ანონსი.
19:35 ტოქ-შოუ - 2:1.
20:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ამერიკა-კოლო კოლო.
22:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.
00:10 სასტვენი.
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

08:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
09:27 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:02 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილან-მანჩესტერ იუნ.
11:52 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:52 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიხაილ იუჟნი-ივან ლუბიჩიჩი. როტერდამი. ჰოლანდია.
14:08 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:38 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:33 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
16:39 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სან პაულუ-გრემიო.
18:58 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დეტროიტი. IV მატჩი.
21:35 სპორტინფორმი.
21:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალის წინ.
22:40 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ესპანიოლი (LIVE).
00:38 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
01:28 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.
03:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:43 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
05:03 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ანაჰაიმი-ვანკუვერი. V მატჩი (LIVE).

EUROSPORT

09:30 ავტოსპორტი. FIA WTCC. მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-უკრაინა. ბელგია.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ოსასუნა-სევილია.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ვერდერი.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ოსასუნა-სევილია.
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
20:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ოსასუნა-სევილია.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
16:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. პორტუგალია-საბერძნეთი. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. იტალია-უკრაინა. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. პოლონეთი-საფრანგეთი. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. ესპანეთი-შვეიცარია. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
23:30 მულტისპორტი.
00:00 ახალი ამბები.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა (LIVE).
02:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

UNDER 17

ინგლისი-ისლანდია	2:0
გერმანია-უკრაინა	2:0
ბელგია-პოლანდია	2:2

იტალია

კატანია-ასკოლი	3:3

შოტლანდია

ფლეი ოფი

ბრეჩინი-ეირდრი	1:3
ისტ ფაიფი-სტრანრარი	4:1
რეითი-სტირლინგი	0:0

დანიის თასი

1/2 ფინალი

კოპენჰაგენი-ლუნგბიუ	4:0
ვიბორგი-ოდენსე	0:2

რუსეთის თასი

1/2 ფინალი

დინამო (ბ)-მოსკოვი	1:1
ლოკომოტივი-სპარტაკი	3:0

პოლონეთი

არკა-ლეჩნა	5:1

ხორვატია

სიბალია-პულა	1:0
კამენი-ოსიეკი	0:2
მედიმურიე-ვარტექსი	1:2
ზაგრები-რიეკა	1:3
სლავენი-დინამო	0:3
შიბენიკი-ჰაიდუკი	2:2

სლოვენია

პრიმორიე-ბელა კრაინა	2:1
ფაქტორი-გორიცა	0:3
ნაფტა-დრავა	1:3
კოპერი-პუბლიკუმი	2:0
მარიბორი-დომჟალე	2:0

ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი

იტალია-ლატვია	3:3
ნორვეგია-გერმანია	3:5
კანადა-სლოვაკეთი	5:4
შვედეთი-შვეიცარია	6:0

კალათბურთი

ესპანეთი

ბილბაო-ვალენსია	70:85
გრანადა-ბარსელონა	75:68

საფრანგეთი

სტრასბური-ტულონი	98:79
დიჟონი-ნანსი	88:69
შალონი-პო ორტეზი	79:71
ბურკი-ვილერბანი	68:75
პავრი-პსქ	78:73
გრაველენი-ორლეანეჟი	99:96 (ო)
კლერმონი-რუანი	81:85
ლე მანი-რეიმსი	97:66
შოლე-ბეზანსონი	89:65

ჩოგბურთი

ATP. ეშტორილი

დავიდენკო-პატიენსი	5:7, 1:6
მონაკო-კერი	3:6, 6:1, 6:4
მატიო-კუნიცინი	6:2, 6:1
გარსია ლოპესი-ტურსუნოვი	6:4, 6:3
რობრედო-მონტანიესი	6:4, 6:3
ჯოკოვიჩი-ვენტურა	6:2, 6:2

ATP. მიუნხენი

ვასკე-ბრანდსი	7:6, 7:6
ბაღდატისი-ბაჩინგერი	6:7, 6:2, 6:4
იუჟნი-ბეკერი	7:6, 7:6
მელცერი-სლუიტერი	5:7, 6:1, 6:2

WTA. ეშტორილი

ბარტოლი-რუანო პასკუალი	6:3, 6:3
დომინგეს ლინო-ბრიანტი	6:1, 6:1
საფაროვა-იაკიმოვა	6:3, 2:6, 6:4
კირილენკო-ოჟეგოვიჩი	3:6, 6:3, 5:7

WTA. ვარშავა

პეტროვა-სანტანჯელო	3:6, 3:6
ვ. უილიამსი-კრაიჩეკი	6:4, 6:3
ჩაკვეტაძე-გარბინი	6:2, 6:2
ა. რადვანსკა-ა. ბონდარენკო	6:0, 4:6, 3:6
კუზნეცოვა-ე. ბონდარენკო	2:6, 6:2, 6:1

ჩოგბურთი

ტურნირები

კანიასს მუცლის პრესმა უმტყუნა

მიუნხენში მიმდინარე, "ბეემვეს" ღია პირველობას მეორე წრეში გამოეთიშა არგენტინელი **გილერმო კანიასი**, ვინც მიმდინარე სეზონში იმით გამოიჩინა თავი, რომ მასტერსის სერიის ზედიზედ ორ ტურნირს გამოთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

არგენტინელს ბევრისთვის უცნობი მეტოქე ჰყავდა ფრანგი **ნიკოლა დევილდერის** სახით, თუმცა რომ წააგო, მისი მეტოქის დამსახურება სულაც არაა. არგენტინელი წინ (6:4, 1:2) იყო, როცა მუცლის კუნთი დაეჭიმა და იძულებული შეიქნა, თამაში შეეწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ მაიამის მასტერსის ფინალში კანიასმა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო, ახლახანს კი, ბარსელონას ტურნირის ფინალში ის მსოფლიოს მეორე ჩოგანთან, ესპანელ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა.

სხვათა შორის, ნადალსა და ფედერერს გუშინ მეტად უჩვეულო საჩვენებელი შეხვედრა ჰქონდათ. მსოფლიოს ორ საუკეთესო მეჩოგნეს ერთმანეთის წინააღმდეგ მალიორკაზე, შერეულ კორტზე უნდა ეთამაშათ. შერეულზე იმიტომ, რომ მისი ერთი ნახევარი გრუნტის საფარითაა, მეორე კი - ბალახისა.

მიუნხენის ტურნირს კი პირველ წრეში კიდევ ერთი ფავორიტი - გერმანელი **ტომი ჰაასი** გამოეთიშა, რომელსაც ორ სეტში აჯობა ფრანგმა **სებასტიან გროჟანმა**. ტურნირს გამოეთიშა კიდევ ერთი განთესილი მეჩოგნე - ჩეხ **რადეკ სტეპანეკს** ორ სეტში აჯობა ტურნირზე უაილდ ქარდის წყალობით მოთამაშე გერმანელმა **ალექსანდერ ვასკემ**.

აღსანიშნავია, რომ ჰაასისთვის, ვინც მიუნხენშია გაზრდილი, "ბეემვეს" ღია პირველობა მეტად უიღბლოა. შარშანაც მან პირველივე წრეში წააგო. რეიტინგში მე-11 ადგილზე მყოფი ჩოგბურთელი ფრანგ მეტოქეს მხოლოდ 87 წუთი უწევდა წინააღმდეგობას. მის თამაშზე ვერც სავსე ტრიბუნის მხურვალე მხარდაჭერამ დაატყო კვალი.

"მესმის, ჩემს ქომაგებს ძალიან უნდოდათ, რომ მომეგო, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ძალიან განბილებული ვარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საკუთარი თავი თვითონვე დავმარხე", - განაცხადა ჰაასმა.

ტურნირს გამოეთიშა აწ უკვე მისი ყოფილი ჩემპიონი, ბელგიელი **ოლივიე როხუსი**, რომელმაც ორ სეტში წააგო მერვე ნომრად განთესილ ავსტრიელ **იურგენ მელცერთან**.

ლისაბონში კი, ეშტორილის ღია პირველობას პირველივე წრეში გამოეთიშა ტურნირის ფავორიტი, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**. მსოფლიოს მეექვსე ჩოგანს ორ სეტში აუგო ანდერძი ფრანგმა **პოლ-ანრი მატიომ**, ვინც რამდენიმე დღის წინათ, კარიერაში ატპ-ს მესამე ტიტული კასაბლანკას (მაროკო) ტურნირზე მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ძლიერი წვიმის გამო, თამაშები რამდენჯერმე შეწყდა. ამავე მიზეზით, რამდენიმე შეხვედრა გადაიდო.

ATP

ეშტორილის ღია

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 531 250 ევრო

I წრე

პოლ ანრი მატიო (საფ)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 4) 6:2, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 5)**-მაქს მირნი (ბლრ) 6:3, 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 6)**-ფლორან სერა (საფ) 4:6, 6:3, 6:1; **აგუსტინ კალერი (არგ, 7)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:4, 4:6, 6:1; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:1, 5:7, 6:4; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:1, 6:2.

BMW Open

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

II წრე

სებასტიან გროსჟანი (საფ)-ტომი ჰაასი (გერ, 1) 6:4, 6:4; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 2)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:2, 6:1; **იარკო ნიემინენი (ფინ, 5)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:4, 6:4; **ალექსანდრ ვასკე (გერ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 6) 7:6 (3), 6:3; **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-გილერმო კანიასი (არგ, 7) 4:6, 2:1 კანიასის უარი; **ტობიას სამერერი (გერ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 5:7, 6:4, 6:4; **მატიას ბახინგერი (გერ)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:2, 6:7 (5), 7:5; **რაიმონ სლუიტერი (ჰოლ)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 3:6, 6:2, 7:6 (5); **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ნენად ჟიმონიჩი (სერ) 7:6 (6), 6:3; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-ტ. იოჰანსონი (შვედ) 6:2, 6:1.

WTA

J&S Cup

ვარშავა (პოლონეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

I წრე

ელენა დემენტიევა (რუს, 7)-მეილინ ტუ (აშშ) 6:7 (5), 6:0, 7:5; **ელენა ვესნინა (რუს)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 2:6, 7:6 (4), 6:3; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:4, 6:2; **ანა ლენა გრონეფელდი (გერ)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 6:4; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:4, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:5, 6:1; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:1, 6:7 (3), 6:1.

ეშტორილის ღია

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

I წრე

მარიონ ბარტოლი (საფ, 1)-ნეუზა სილვა (პორ) 6:2, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 2)**-ივანა ლიშაკი (ხორ) 6:1, 7:5; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-მარტინა მიულერი (გერ, 4) 6:4, 6:0; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ელენი დანილიდუ (საბ, 8) 6:4, 3:1 უარი; **ფლავია პენეტა (იტა, 9)**-არანჩა სანტონხა (ესპ) 6:3, 6:1; **ანასტასია იაკომივა (ბლრ)**-ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხ) 2:6, 6:4, 6:3; **ვირხინია რ-პასკუალი (ესპ)**-კამილ პინი (საფ) 6:4, 7:6 (4); **ხისელა დულკო (არგ)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:1, 1:6, 6:1; **სოვია არვიდსონი (შვედ)**-ფრედერიკა პიედადე (პორ) 6:0, 6:0; **ლურდეს დომინგესი (ესპ)**-მარტინა სუხა (სლოვაკ) 7:5, 6:1; **გრეტა არნი (გერ)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:2, 6:2.

ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი

I ჯგუფური ეტაპი

B ჯგუფი

ავსტრია-ბელარუსი 2:5

1:2, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 გლებოვი-1 (უგაროვი-1, კოსტიუჩენოკი-1), 0:2 დუდიკი-1, 1:2 ლაკოსი-1 (ზეტცინგერი-1), 2:2 ლაკოსი-2, 2:3 უგაროვი-1 (ანტონენკო-1, ზადელენოვი-3), 2:4 ანტონენკო-4 (ზადელენოვი-4, კოსტიუჩენოკი-2), 2:5 კულაკოვი-1 (კურილინი-1).

ჩეხეთი-აშშ 4:3

1:0, 1:1, 2:2

გოლები: 1:0 ჩასლავა-2 (ვიბორნი-3, გლინკა-4), 1:1 სატერი-1 (სტემპნიაკი-1, კესელი-1), 2:1 ირგლი-2 (ოლეში-2, პლეკანეცი-3), 3:1 ტენკრატი-1 (მარეკი-1), 3:2 ლაროუზი-2 (ბალარდი-2), 3:3 ჰათჩინსონი-1 (სატერი-2, კესელი-2), 4:3 ბედნარი-1 (მარეკი-2).

	თ	მ	ოგ	ოწ	წ	ბ	ქ
1. ჩეხეთი	3	3	0	0	0	18-6	9
2. აშშ	3	2	0	0	1	14-7	6
3. ბელარუსი	3	1	0	0	2	8-15	3
4. ავსტრია	3	0	0	0	3	5-17	0

D ჯგუფი

დანია-უკრაინა 4:3

3:2, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 სტარკოვი-1 (ფ. ნილსენი-2), 1:1 მატერუხინი-1 (შაფარენკო-1), 2:1 ანდრესენი-1 (რეგინი-1), 3:1 კ. სტაალი-1 (რეგინი-2, ანდრესენი-1), 3:2 მატვიიჩუკი-1 (ბობროვნიკოვი-1), 4:2 კ. სტაალი-2 (დამგორდი-3, მორ. გრინი-1), 4:3 ზავალნიუკი-1 (ოლეცკი-1, ცირული-2).

ფინეთი-რუსეთი 4:5

1:2, 0:2, 3:1

გოლები: 0:1 კულემინი-2 (ემელინი-1, ნეპრიაევი-2), 1:1 ტ. რუუტუ-1 (ნ. კაპანენი-2, მიანტიულა-2), 1:2 ზარიპოვი-2 (ზინოვიევი-6, მოროზოვი-5), 1:3 გონჩარი-1 (მარკოვი-2, კოვალჩუკი-2), 1:4 მოროზოვი-5 (ზინოვიევი-7, ზარიპოვი-4), 2:4 ჰენტუნენი-2 (ნ. კაპანენი-3, კუკონენი-1), 3:4 ი. ლეჰტინენი-1 (პელტონენი-3, ნუმელინი-1), 3:5 სჩასტლივი-2 (გრებეშკოვი-1), 4:5 ნუმელინი-4 (ტ. რუუტუ-1).

	თ	მ	ოგ	ოწ	წ	ბ	ქ
1. რუსეთი	3	3	0	0	0	22-6	9
2. ფინეთი	3	2	0	0	1	15-7	6
3. დანია	3	1	0	0	2	7-18	3
4. უკრაინა	3	0	0	0	3	4-17	0

კრივი



ოქროს ბიჭმა ბრძოლის ველი მოინახულა



კარგი ბიჭი მოთელვას გადის

დიდი ბრძოლის წინ

ოქროს ბიჭი vs კარგი ბიჭი

ლეგენდების პროგნოზები

საკრივო სამყარო მოუთმენლად ელის პროფესიულ რინგზე ამ საუკუნის ყველაზე გამორჩეულ მოვლენას - WBC-ს ვერსიით ქვესაშუალო წონის ჩემპიონ **ოსკარ დე ლა ჰოიასა** და WBC-სა და IBF-ის ვერსიით როჭოს წონის ჩემპიონ **ფლოიდ მეივეზერ უმცროსს** შორის.

ბრძოლის ორგანიზატორების მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მოკრივეებმა აშშ-ის 11 ქალაქში ჩაატარეს ბრძოლის საპრომოუშენო აქციები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ, ეგრეთ წოდებული, "პეი-პერ-ვიუს" სისტემით (გადაიხადე-უყურე) ბრძოლას ალბათ ორ მილიონზე მეტი ამერიკელი ნახავს. თუ ასე მოხდა (ამაში უკვე ეჭვიც აღარავის ეპარება), მაშინ მოიხსნება კრივის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელი, რომელიც 1997 წელს დაფიქსირდა **მაიკ ტაისონისა** და **ევანდერ ჰოლიფილდის** განმეორებით ბრძოლაზე. მაშინ ტელეჩვენების გაყიდვებიდან ბრძოლის ორგანიზატორებმა 54.95 მილიონი დოლარი მიიღეს. ახლა კი უფრო მეტს ელიან.

რა თქმა უნდა, მომავალი გრანდიოზული ბრძოლის შესახებ, რომელიც ლას ვეგასის "MGM გრანდის" არენაზე ჩატარდება, კრივის სპეციალისტები, ლეგენდარული მოკრივეები და სპეციალისტები ათასნაირ პროგნოზს აკეთებენ.

მაგალითად, პანამელი **რობერტო დიურანი**, ვინც შარშან შეიყვანეს კრივის დიდების დარბაზში, უპირატესობას "ოქროს ბიჭს" ანიჭებს: *"ოსკარი ფიზიკურად უფრო ძლიერია და უფრო მძლავრ დარტყმასაც ფლობს. მის წინააღმდეგ კარლოს ბალდომირი ვერაფერს გახდა. ალბათ, ვერც მეივეზერი მოუხერხებს რამეს. ფლოიდს ასეთი ძლიერი მეტოქე ადრე არასოდეს ჰყოლია. დარწმუნებული ვარ, თუ ოსკარს დასაწყისში რამდენიმე ძლიერი დარტყმა გამოუვა, მაშინ ბრძოლასაც ის მოიგებს. ჩემის აზრით, დე ლა ჰოია ქულებით მოიგებს"*.

"ოქროს ბიჭს" უპირატესობას **შუგარ რეი ლეონარდიც** ანიჭებს: *"ამ პროგნოზზე ბევრი ვიფიქრე და ვფიქრობ, რომ ოსკარს მცირე უპირატესობა ექნება. ის უფრო დიდიცაა და ძლიერიც. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ ის რინგზე უფრო მოტივირებული გამოვა. თუმცა, გამორიცხული არაფერია და თუ ბრძოლას ფლოიდი მოიგებს, შეგიძლიათ თავისუფლად ჩაწეროთ გრანდების სიაში, ის ამას დაიმსახურებს"*.

განსხვავებული პროგნოზი აქვს WBO-ის და WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს საშუალო წონაში **ჯერმეინ ტეილორს**, ვინც თავის დროზე იმით გაითქვა სახელი, რომ ზედიზედ ორჯერ აჯობა მაშინდელ საშუალო წონის აბსოლუტურ ჩემპიონ **ბერნარდ ჰოპკინსს**. ტეილორი ამბობს, რომ დაძაბული ბრძოლის მოლოდინშია. *"ეს ბრძოლა თანამედროვე კრივს დაამშვენებს. ასაკი და სისწრაფე მეივეზერის მხარესაა. წესით, მან უნდა მოიგოს. ვფიქრობ, რომ მსაჯების გადაწყვეტილება არაერთგვაროვანი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ბრძოლა სრული 12 რაუნდი გაგრძელდება"*, - ვარაუდობს ტეილორი.

ანტონიო ტარვერის აზრი კი ორად იყოფა: *"რა თქმა უნდა, ფავორიტი ოსკარია. ის ძლიერიცაა და ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლის დიდი გამოცდილებაც აქვს. ვფიქრობ, ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ასეთ მეტოქეს რომ გაუმკლავდე, ღმერთისგან მომადლებული ნიჭი უნდა გქონდეს. ფლოიდს სწორედ ასეთ მოკრივედ მიიჩნევენ. ის არანორმალურად სწრაფი მოკრივეა და რინგზე ყველაფერი შეუძლია, მათ შორის, აღიარებული ფავორიტების ძლევაც"*.

WBA-ის ვერსიით მსუბუქი წონის მექსიკელი ჩემპიონის, **ხუან "ბეიბი ბულ" დიასის** აზრით, დე ლა ჰოიას მისი ძლიერი ცაცია მოაგებინებს. თავად დიასმა ახლახანს თავისი ტიტული მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთან, ბრაზილიელ **ასელინო ფრეიტაშთან** ბრძოლაში დაიცვა.

რა თქმა უნდა, საინტერესოა ზემძიმე წონის ბოლო აბსოლუტური ჩემპიონის, ბრიტანელი **ლენოქს ლუისის** პროგნოზიც: *"ძალიან საინტერესო ბრძოლის მოლოდინში ვარ. მეივეზერის უპირატესობა ასაკი და სისწრაფეა. მას არანორმალურად სწრაფი ხელები აქვს და ამით ნებისმიერი მეტოქისთვის უამრავი პრობლემის შექმნა შეუძლია. ოსკარის მხარეზე ძალა და სიმძლავრეა. მას ცაციათი უბადლოდ შეუძლია კაუჭის შესრულება, მარჯვენით კი ბრწყინვალედ მუშაობს. საკითხავია, შეძლებს კი ის სწრაფი ფლოიდის დაჭერას? თუ შეძლებს, მაშინ მოგების შანსიც გაეზრდება, თუ არა... მოკლედ, ახლა მარჩიელობა არ ღირს, დაველოდოთ ბრძოლას, რომელიც მჯერა, კრივის მოყვარულებს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს"*.

დაბოლოს, ბრძოლაში, რომელსაც პირდაპირ ეთერში მსოფლიოს 176 ქვეყანაში ნახავენ, 34 წლის დე ლა ჰოია (38-4, 30 ნოკაუტი), ვისაც თავისი კარიერის განმავლობაში, ჰონორარების სახით, თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარი აქვს აღებული, 30 მილიონ დოლარს მიიღებს. რაც შეეხება 30 წლის მეივეზერს (37-0, 24 ნოკაუტი), მისი ანაზღაურება "მხოლოდ" 12 მილიონი დოლარი იქნება, სამაგიეროდ, "კარგ ბიჭს" შანსი აქვს, მეხუთე წონაშიც გახდეს მსოფლიო ჩემპიონი.

რა თქმა უნდა, ორივეს სჯერა თავისი გამარჯვების. და თუ მეივეზერი საპრომოუშენო შეხვედრებზე გამომწვევად იქცეოდა და ასე აღიზიანებდა თავის მომავალ მეტოქეს, დე ლა ჰოია გაცილებით თავშეკავებული იყო და ღირსეულად ეჭირა თავი. ახლა კი ამბობს, რომ მეივეზერის ბაქიაობამ თავი მოაბეზრა და ამისთვის რინგზე სამაგალითოდ დასჯის. ოღონდ, ბრაზით ბრძოლას არ ვაპირებ, რადგან გამოცდილებამ მასწავლა, ეს შედეგზე უარყოფითად მოქმედებსო.

"სიბრაზეს ვარჯიშის დროს ვავლენ, რინგზე კი გაწონასწორებული ვიქნები: რაც უფრო ახლოვდება ბრძოლა, ალბათ შეამჩნევდით, რომ ფლოიდი სულ უფრო ნერვიულად გამოიყურება. ეს მის ლაპარაკშიც იგრძნობა. ვნახოთ, რისი თავი აქვს. მისი ლაპარაკი კი არ მაშინებს, საბრძოლოდ განმაწყობს. ის გვიან მიხვდება, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო", - იმუქრება დე ლა ჰოია.

მერაბ ლორთქიფანიძე

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა